აურზაური სიღნაღში A2 | წილი ნაყარია A2 | გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

შაბათი, 20 დეკემბერი, 2003 წელი. №328 (540) | ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

## პოლიტიკა

### როივ რივი: "დემოკრატიული არჩევნები თქვენ უნდა ჩაატაროთ"

ეუთო-ს წევრი ქვეყნები, მომავალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად, საქართველოს ექვს მილიონ ევროს გამოუყოფენ. აქედან ოთხ მილიონს უშუალოდ ეუთო მოიზიდავს, დანარჩენ ორ მილიონს ევროკავშირი და ევროკომისია გაიღებს.

A3

## ეკონომიკა

### პირველი ფინანსური ინექციები რევოლუციის შემდეგ

საქართველოს დროებითი ხელისუფლება პირველ საერთაშორისო ფინანსურ დახმარებებს "იმკის". გუშინ ფინანსთა სამინისტროში ხელი მოეწერა რამდენიმე ორმხრივ შეთანხმებას, რომელთა წყალობითაც საქართველოში არჩევნებთან, სოფლის მეურნეობასა და ენერგოსექტორთან დაკავშირებული რამდენიმე პროგრამის დაფინანსება მოხერხდება.

A4

## უცხოეთი

### ორშაბათს ჯინჯიჩის პროცესი იწყება

ორშაბათს სერბეთში პრემიერ ზორან ჯინჯიჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა პროცესი იწყება. სასამართლოს წინაშე ათობით ეჭვმიტანილი წარდგება.

A5

## საზოგადოება

### თსსუ ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი ხდება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრირების საშუალება მიეცა.

A6

## სამართალი

### 23-წლიანი სასჯელი ბოსნიის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსს

ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ბოსნიელ სერბს, რომელსაც ბრალად ედება 1992 წელს მუსულმანების წამება და მკვლელობა.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | ❄ |
| ქუთაისი | 8 | ❄ |
| ბათუმი | 9 | ❄ |
| სოხუმი | 6 | ❄ |
| ფოთი | 8 | ❄ |
| თელავი | 6 | ❄ |
| ზუგდიდი | 8 | ❄ |
| გორი | 3 | ❄ |
| ახმეტა | 6 | ❄ |
| ჭიათურა | 5 | ❄ |
| გაგრა | 4 | ☁ |
| სამტრედია | 8 | ❄ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0905 |
| ევრო | 2.5977 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7048 |
| რუბლი | 0.0715 |

# ბოლო შანსი როგორც საქართველოსთვის, ასევე ამერიკისთვის

ია მეურმიშვილი
*ვაშინგტონიდან*

**"ახალმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს რომ ეს არის ბოლო შანსი, როგორც საქართველოსთვის, ასევე ამერიკისთვის,"** - განაცხადა დეივიდ სმიტმა ქართული ფორუმის შეხვედრაზე, რომელიც ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტთან არსებულ ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტში გაიმართა.

ამერიკელი და ქართველი პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ამ შეხვედრაზე ის ნაბიჯები განიხილეს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, როგორც ახალი მთავრობის წარმატებისთვის, ასევე აშშ-ის ადმინისტრაციისთვის რეგიონში საკუთარი ინტერესების გასამყარებლად.

სამართლიანი არჩევნების ჩატარება ყველაზე ახლო და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რასაც ფისკალური, საგადასახადო და სამართალდამცავი სისტემების შეცვალა უნდა მოჰყვეს. დისკუსიიდან გამომდინარე, ინსტიტუციონალური ცვლილებები და ძლიერი ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შექმნა, აგრეთვე, ხელს შეუწყობს ქვეყნის კანონზომიერ განვითარებას, რაც ასევე დიდად იქნება დამოკიდებული საგარეო პოლიტიკის სწორი კურსის ჩამოყალიბებაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შემდეგი - აკაკი ჩხაიძე

შინაგან საქმეთა მინისტრის ანგარიში

*ხათუნა ჯანგირაშვილი*

**პირადობის მოწმობა - უფასოდ**

4 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა აქტიური რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ ზომებს მიმართავს: მოქალაქეებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, ან უკვე მოასწრეს მათი დაკარგვა, რეგისტრაციის გაადვილების მიზნით, უფასო მომსახურებას სთავაზობს.

მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ამომრჩეველთათვის საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შექმნისა და ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლების შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, 20-დან 30 დეკემბრამდე

გაგრძელება A7 გვერდზე


*გიორგი ბარამიძე ყველას სთხოვს, მიაკითხონ საპასპორტო განყოფილებებს და აიღონ პირადობის მოწმობები.*

# რას შეცვლის რუსეთი მეზობლებთან ურთიერთობებში?

დავით აფრასიძე

რუსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 7 დეკემბერს გამართული დუმის არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა. არჩევნებში მოსახლეობის 55,75 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. პუტინის მომხრე გაერთიანებამ "ერთიანი რუსეთი" ხმების 37,57 პროცენტი მიიღო, კომპარტიამ - 12,61 პროცენტი, ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ – 11,45 პროცენტი, ბლოკმა "სამშობლო" – 9,02 პროცენტი. "იაბლოკოსა" და მემარჯვენე ძალთა გაერთიანებას არჩევნებში მონაწილეთა 4,3 და 3,97 პროცენტმა დაუჭირა მხარი, ანუ მათ რუსეთის საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული 5-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# "ხუთჯვრიანი" დროშა ქართველთა სიმბოლურ აზროვნებაში

ირაკლი სურგულაძე

უკანასკნელ ხანს ჯვრის ფორმისა და დროშაზე მისი განთავსების პრინციპთა გამო ატეხილმა დავამ, ბუნებრივია, ჩემი რეაქციაც გამოიწვია, რადგან ხალხური სიმბოლიკის საკითხებით მრავალი წლის მანძილზე დაინტერესებული ვიყავი. ამ მიმართულებით კვლევამ თვალსაჩინოდ აჩვენა, რომ ჯვრიანი დროშა გარკვეულ დროს ქართველთა სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფოს უპირველესი სიმბოლო უნდა ყოფილიყო, რასაც, ასეთი მნიშვნელობით, არა მარტო ქართველები, არამედ თვით უცხოელი კარტოგრაფებიც აღიარებენ. ეს პოზიცია მე სარწმუნოდ მეჩვენება და ამ რწმუნებას, გარდა წერილობითი ისტორიული მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციისა, მხარს უმაგრებს არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის მონაცემები. კონკრეტული მასალების საფუძველზე სრულიად აშკარად ჩანს ჯვრისა და მისი სხვადასხვა ფორმის, ჯვრის გეგმით აგებული კომპოზიციებისა და,

გაგრძელება A3 გვერდზე


*ხუთჯვრიანი დროშა - ვარდების რევოლუციის მთავარი სიმბოლოც იყო.*

# პარლამენტი არდადეგებზე "გაასვენეს"

*საქართველოს პარლამენტი დაუმარხავ მკვდარს დაემსგავსა: პოლიტიკურ სივრცეში უძრავად, უსიცოცხლოდ ასვენია, მის "გაპატიოსნებაზე" კი არავინ ფიქრობს. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა, უკვე დიდი ხანია, პრაქტიკულად, მთლიანად პარალიზებულია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დეპუტატები სამსახურში არ ცხადდებიან. პარლამენტში ისინი გუშინ მხოლოდ ხელფასის დარიგებით შეიტყუეს. ისე, ჯამაგირი ბევრმა აიღო, მაგრამ სხდომაზე ყველა არ შევიდა. თუმცა, ისეთებიც გამოერივნენ, ვინც სინდისმა შეაწუხა და სხდომათა დარბაზში შებრძანება ინება. მოქმედმა სპიკერმა სწორედ ამით ისარგებლა და მთელი დღის წვალების შემდეგ, საღამოს ხუთ საათზე საშემოდგომო სესიის ბოლო სხდომის გახსნა მოახერხა.*

გიორგი ასანიშვილი

**"რა უბედურებაა, ასე როგორ შეიძლება! ამათზე არც ჩხუბი მოქმედებს, არც სიის ამოკითხვა, არც ფინანსური სანქციები, არც პოლიტიკური სიტუაცია! ერთადერთი საშველი ის იქნება, ამ პარლამენტის მოღვაწეობა რაც შეიძლება მალე დამთავრდეს,"** - პარლამენტარების უპასუხისმგებლობამ მუდამ დინჯი და თავშეკავებული გიგი წერეთელიც კი გამოიყვანა წონასწორობიდან. სპიკერის მოვალეობის შემსრულებელი აღიარებს, რომ მისთვის უკვე აუტანელი ხდება საპარლამენტო ლექსიკაში მყარად ფეხმოკიდებული ისეთი გამოთქმა, როგორიც არის - "გთხოვთ, მობრძანდეთ რეგისტრაციის გასავლელად."

გაგრძელება A3 გვერდზე

# იგორ გიორგაძე კვლავ აქტუალურია

უშიშროების ექსმინისტრის მომხრეები შეიარაღებულ ამბოხებას გეგმავენ

*1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ, უშიშროების ექსმინისტრის იგორ გიორგაძის სახით შექმნილი ტერორისტული "ბუა", ახლაც, გარდამავალი ხელისუფლებისთვისაც პოლიტიკურ საფრთხობელად რჩება.*

ინგა ალავიძე

გუშინ, დილით სახელმწიფო კანცელარიაში, სახელმწიფო მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან გამართული შეხვედრიდან გამოსულმა შს მინისტრმა გია ბარამიძემ ქვეყანაში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ კიდევ ერთხელ ისაუბრა. გია ბარამიძის განცხადებით, ამჯერად ლაპარაკია არა მარტო კრიმინოგენული ვითარების დაძაბვაზე, არამედ სამხედრო გზით შეიარაღებული ამბოხის მოწყობაზე. თუმცა, გია ბარამიძე ამბოხების მომწყობ კონკრეტულ ძალებსა და დეტალებს

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალ წელსაც და არჩევნებზეც გარანტირებული დენი გვექნება

*წინასაახალწლოდ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის უმთავრესი საზრუნავი, ბუნებრივია, ქვეყნის უწყვეტი ელექტრომომარაგება ხდება. ენგურჰესიდან წყლის მარაგის ხარჯვის გრაფიკის შესათანხმებლად გუშინ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი საბერიოში გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რუსლან ქიშმარიას და აფხაზეთის ენერგოსისტემის - "ჩერნომორენერგოს" დირექტორს სერგეი ბაღაფშს შეხვდა.*

ნიკა მარიამიძე

ვიზიტს წინ უძღოდა საბითუმო ბაზრის შემაშფოთებელი პროგნოზი, რომლის თანახმადაც, "ენგურჰესის" წყალსაცავში არსებული ჰიდრორესურსის ამოწურვა 10 იანვრისთვისაა მოსალოდნელი.

აფხაზებთან შეხვედრის წინ მამუკა ნიკოლაიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ **"დიალოგი კონსტრუქციული იქნებოდა"** და ქართული მხარე **"შესძლებდა აფხაზურის დარწმუნებას იმაში, რომ ჰესის წყალსაცავში არსებული მარაგის შენარჩუნება ამჟამად აუცილებელია."** თუმცა საეჭვოა, აფხაზურ მხარეს განსხვავებული აზრი ჰქონოდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთადერთი საორჭოფო საკითხი ის იყო, რომ აფხაზური მხარე ზამთრის დამდეგს ენგურჰესის წყლის ეკონომიის გაკეთებას, ტრადიციულად, ქართული მხარის ხარჯზე ამჯობინებს ხოლმე.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ვალერი ხაბურძანია მოსკოვში პუტინსაც შეხვდა

სამი ქვეყნის აშშ-ს, რუსეთის, საქართველოს სპეცსამსახურები ერთობლივი გეგმით იმუშავებენ

*"ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ რუსეთში პირველი სამთავრობო ვიზიტი გასულ კვირას შედგა. მოსკოვში ჩასულ საქართველოს უშიშროების მინისტრს თავის რუსი კოლეგა, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელი ნიკოლაი პატრუშევი მასპინძლობდა. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს სპეცსამსახურის ხელმძღვანელი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურსაც შეხვდა.*

ინგა ალავიძე

საქართველოში დაბრუნებულმა მინისტრმა მისი მოსკოვური ვიზიტის შესახებ ანგარიში ჟურნალისტებსაც ჩააბარა. ოფიციალურად დასახელდა, რომ უშიშროების მინისტრი მოსკოვს ეწვია ქისტი კრიმინალის შოთა ჭიჭიაშვილის ექსტრადიციის საკითხის მოსაგვარებლად. ითქვა ისიც, რომ ძირითადი საკითხის – ექსტრადიციის პრობლემის მოგვარების გარდა, რუსმა და ქართველმა ძალოვანებმა საერთაშორისო ტერორიზმისა და ტერორისტობაში ეჭვმიტანილი იგორ გიორგაძის შესახებაც მოილაპარაკეს. თუმცა, არაფერი თქმულა უშიშროების მინისტრის მოსკოვში ვიზიტის მთავარი მიზნისა და შედეგის შესახებ, რომლითაც ვალერი ხაბურძანია ძალზე კმაყოფილი იყო და ემოციას ჟურნალისტებთანაც არ ფარავდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 პოლიტიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B1 ომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ქვიზი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# აურზაური სიღნაღში

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთის რეგიონში "ნაციონალურ მოძრაობასა" და "გაერთიანებულ დემოკრატებს" შორის დაპირისპირება გამწვავდა. ამის მიზეზი საკადრო ცვლილებებია. ამ პროცესში უპირატესობა "გაერთიანებულ დემოკრატებს" ენიჭებათ. თითქმის ყველა წამყვანი თანამდებობები კახეთში ჟვანიას გუნდმა დაიკავა. ქიზიყელების აღელვების მიზეზად სწორედ ეს სახელდება.

გუშინწინ, მოქმედი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის ბრძანების თანახმად, სიღნაღის რაიონის გამგებლად "გაერთიანებული დემოკრატების" აქტიური მხარდამჭერი მალხაზ მჭედლიშვილი დაინიშნა. ამ ფაქტის გამო რაიონის მოსახლეობამ გამგეობის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა. ქიზიყელები ახალი გამგებლის მისვლას აპროტესტებდნენ და მის მაგივრად 17 დეკემბრამდე გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, თენგიზ ბეჟაშვილის დანიშვნას მოითხოვდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თენგიზ ბეჟაშვილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად კახეთის გუბერნატორმა თამაზ ხიდაშელმა დანიშნა და იგი გამგებლის თანამდებობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მოიაზრებოდა. მოვლენები კი სიღნაღში მას შემდეგ დაიძაბა, როცა თენგიზ ბეჟაშვილმა საჯაროდ გამოააშკარავა ყველა ის მსხვილი მიწის მფლობელები, რომელთაც წლების განმავლობაში დაგროვილი ჰქონდათ სახელმწიფოს ვალი. მათ შორის სიაში აღმოჩნდა მალხაზ ბეგიაშვილი. მას რაიონის ბიუჯეტის 5 000 ლარი ემართა. როგორც ბეჟაშვილი ამბობს, "დემოკრატებმა" სწორედ ამის შემდეგ მიიტანეს მასზე იერიში. **"მე, როდესაც გადავამოწმე საბუთები იმის შესახებ, თუ როგორ მალავდნენ რაიონის მაშინდელი ჩინოვნიკები ბევრ მიწის მფლობელს, აღმოვაჩინე მალხაზ ბეგიაშვილის საბუთებიც. მას საერთოდ არ გადაუხდია მიწის გადასახადი",** - აცხადებს ბეჟაშვილი. აღნიშნული ინფორმაციის შესახებ ხმამაღალი განცხადება ბეჟაშვილმა რაიონის გამგეობის სხდომაზე გააკეთა. მისივე თქმით, შეკრება დამთავრებული არ იყო, როცა კანცელარიის აპარატის უფროსმა მალხაზ ბეგიაშვილმა მას დაურეკა და დაემუქრა. **"როგორ გეტყვით მე იმ სიტყვებს, რომლითაც ბეგიაშვილმა შეურაცხყოფა მომაყენა. იგი დამემუქრა და შედეგიც სახეზეა. იმის გულისთვის, რომ დარღვევები არ აღმომეჩინა, გამგებლად თავისი ძმაკაცი დანიშნა,"** - ამბობს ბეჟაშვილი. უფრო მეტიც, როგორც "ნაციონალები" აცხადებენ, ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ სამოქალაქო დაპირისპირება მოხდეს და 4 იანვრის არჩევნები ჩაიშალოს. ამის მაგალითად "ნაციონალების" რაიონული ორგანიზაციის ლიდერი ნუგზარ აბულაშვილი სიღნაღში ამ ორი დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს ასახელებს.

ამ აურზაურის თავი და თავი მალხაზ ბეგიაშვილი კი, როგორც ჩანს, ჟურნალისტებთან საუბარს არ აპირებს. მისი მდივანი ამის მიზეზად ბეგიაშვილის მოუცლელობას ასახელებს. რაც შეეხება სიღნაღელ "დემოკრატებს", ისინი ამ ყველაფერში ბრალს კახეთის გუბერნატორს თამაზ ხიდაშელს სდებენ. **"ამ ყველაფერში დამნაშავე ხიდაშელია. იგი რომ არ შეპირებოდა სიღნაღელებს, რომ თქვენი მომავალი გამგებელი ბეჟაშვილიაო, ასე არ მოხდებოდა. ხალხს ადვილად ვერ მოატყუებ,"** - ამბობს "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენელი სიღნაღში მარიკა ჯანიაშვილი.

მიუხედავად გადაბრალებ-გადმობრალებისა, სიღნაღელები მაინც ერთ აზრზე დგანან. ამის გამო გუშინწინ საღამოს 8 საათზე პოლიციასა და თამაზ ბეჟაშვილის მხარდამჭერებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. შეტაკების დროს დაშავდა სამი ქალბატონი. ერთ-ერთ მათგანს, თინა მირიანაშვილს, პოლიციელებმა თავიც კი გაუტეხეს. ქიზიყელებმა ასეთი ზეწოლის გამო, პროტესტის ნიშნად, შიმშილობის აქცია დაიწყეს. **"ჩვენ მანამდე არ შევწყვეტთ შიმშილობას, სანამ სააკაშვილი ან ბურჯანაძე არ ჩამოვა და არ აგვიხსნიან, თუ რა ხდება ჩვენს თავს",** - აცხადებენ მოშიმშილე სიღნაღელები. ამ დროისთვის აქციას ათი "ნაციონალიც" შეუერთდა.

# დუშეთში ვითარება უკიდურესად დაძაბულია

ორი დღის წინ დუშეთის მოსახლეობის ნაწილმა დაბის ცენტრში საპროტესტო აქციები დაიწყო. ისინი გამგებლის თანამდებობაზე რაიონის "ლეიბორისტი" გამგებლის გოდერძი ბერბერაშვილის აღდგენას მოითხოვდნენ. გუშინ კი მომიტინგეთა ერთმა ნაწილმა 1999 წლის დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატის მარინა მოლოდინის სამუშაო კაბინეტი დაარბია და მისი სკამი ფანჯრიდან გადააგდო. გამგეობის შენობასთან ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის აქცია გაიმართა, სადაც გოდერძი ბერბერაშვილის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გადაყენებას აპროტესტებენ.

გუშინვე დუშეთში ჩავიდა "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი, რომელიც მიტინგზე სიტყვით გამოვიდა და აქციის მონაწილეებს "რჩეული გამგებლის დაცვისკენ მოუწოდა".

პოლიტიკოსთა ნაწილი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ ფაქტს. პარლამენტარმა ელენე თევდორაძემ კი სამართალდამცველებს ვანდალიზმის აღკვეთისკენ მოუწოდა.

ამავე დროს, გუშინ საღამოს "ლეიბორისტული პარტიის" საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსმა გელა დანელიამ განაცხადა, რომ დუშეთის შესასვლელთან შს სამინისტროს სპეცრაზმის მობილიზება ხდებოდა და ისინი აქციის მონაწილეთა დარბევას გეგმავდნენ.

"ლეიბორისტულმა პარტიამ" გუშინვე გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც, "დემოკრატების" ოფისი არა "ლეიბორისტებმა", არამედ დუშეთის რაიონის მოსახლეობამ დაარბია, რომელმაც ამ ფორმით გამოხატა პროტესტი "დემოკრატების" წარმომადგენლის მარინა მოლოდინის წინააღმდეგ. **"თვითმარქვია ხელისუფლებამ გადაწყვიტა ხალხის არჩეული გამგებელი ბუჩუკურ-მოლოდინის ბიზნესინტერესების დამცველით შეეცვალა",** - ნათქვამია განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

# საკონსტიტუციო საჩივარი ასლან აბაშიძის წინააღმდეგ

*როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გაუქმების მოთხოვნით, სარჩელი შევიდა. სარჩელის ადრესატი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური გახლავთ, ავტორი კი - ბათუმელი თამაზ დიასამიძე. სხვათა შორის, დიასამიძე აჭარის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს ორი მოწვევის პარლამენტის ყოფილი წევრი გახლავთ.*

ხათუნა ჭანბირაშვილი

**"მე გამოვიყენე საქართველოს კონსტიტუციით ჩემთვის მინიჭებული უფლება. ის, რაც არ გააკეთეს იმ სახელისუფლებო ორგანოებმა, ვისაც სკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანისა და აჭარის ტერიტორიაზე 23 ნოემბრიდან მოქმედი საგანგებო მდგომარეობის გაუქმების მოთხოვნის უფლება ჰქონდა, მე გავაკეთე,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თამაზ დიასამიძემ. ჩვენი ინფორმაციით, მისი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად უკვე მიიღო.

**"ჩემი სარჩელით, ვითხოვ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა სასწრაფოდ გააუქმოს საკუთარი ბრძანებულება საგანგებო მდგომარეობის შესახებ. ამ ბრძანებულებას პოლიტიკური დატვირთვა აქვს, რომელიც მე, ისევე, როგორც აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს, თავისუფალი გადაადგილების, თავისუფალი სიტყვისა და მიტინგის მოწყობის უფლებას მართმევს. აჭარაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დაბლოკვის დატვირთვა აქვს. რადგანაც ასლან აბაშიძესთან პოლიტიკურ საუბარს აზრი არ აქვს, მე მივმართე სამართლებრივ ნორმებს და ვაპირებ როგორც საკუთარი, ასევე აჭარაში მცხოვრები საქართველოს სხვა მოქალაქეების უფლებების დაცვას, რომელიც ასლან აბაშიძის მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობით უხეშად ილახება,"** - აცხადებს თამაზ დიასამიძე და საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლებს იშველიებს, რომელთა მიხედვითაც, აბაშიძეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება არ ჰქონდა. თანაც, კონსტიტუციით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მის გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტი 48 საათის განმავლობაში დაამტკიცებს.

# წილი ნაყარია



გივი თარგამაძე მიხეილ სააკაშვილის ნომრით.

*1. როინ ლიპარტელიანი, 2. ქართლოს ღარიბაშვილი, 3. ზურაბ ქელეხსაშვილი, 4. თემურ შაშიაშვილი, 5. მიხეილ სააკაშვილი, 6. ზაზა სიხარულიძე – სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განლაგდებიან პრეზიდენტობის მსურველები საარჩევნო ბიულეტენებში. გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაიმართა წილისყრა, რომელსაც მცირეოდენი უხერხულობა ახლდა თან.*

თამარ მჭედლიშვილი

უფრო ზუსტად კი, წილისყრა ორჯერ გაიმართა. პირველად პირველი ნომერი მიხეილ სააკაშვილს ერგო, მაგრამ ზურაბ ქელეხსაშვილის წარმომადგენელმა, რომელსაც ურნიდან მომდევნო ნომერი უნდა ამოეღო, განაცხადა, რომ ურნაში ჩაყრილ ფურცლებზე ციფრები შესანიშნავად ჩანდა. ცესკო-მ ეს საჩივარი გაითვალისწინა და წილისყრის პროცედურა თავიდან დაიწყო.

ასე რომ, გაუგებრობა საკმაოდ მალე მოგვარდა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით იმ უცნაურობაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ცესკო-ში "აღორძინების" წარმომადგენლებში "შეინიშნება" – ისინი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ქვედა დონის კომისიებში წევრთა დანიშვნის ვადების გაგრძელებას სთხოვენ. თანაც იმ დროს, როდესაც აჭარის ხელმძღვანელობას რეგიონში საგანგებო მდგომარეობა, ხოლო არჩევნებისთვის ბოიკოტი აქვს გამოცხადებული.

გუშინ ზურაბ ჭიაბერაშვილი აშკარად გაკვირვებული ჩანდა "აღორძინების" ამ აქტიურობით. იგი აცხადებს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ მიიღებს, როდესაც იგი აჭარაში ჩავა და ადგილობრივ საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობას და, თუკი შესაძლებელი იქნება, ასლან აბაშიძეს ან მისი გარემოცვის რომელიმე წევრს შეხვდება (ეს, რა თქმა უნდა, აჭარის ლიდერის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული და წინასწარ არავინ იცის, მოისურვებს თუ არა ბატონი აბაშიძე ჭიაბერაშვილთან საუბარს).

თუკი აჭარასთან და "აღორძინებასთან" დაკავშირებით ვითარება ჯერ კიდევ ბუნდოვანია, ყველაფერი გარკვეულია საზღვარგარეთის იმ ქვეყნებისთვის, სადაც ქართველები სახლობენ. გუშინ გადაწყდა, რომ 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის მსოფლიოს 18 ქვეყანაში 26 საარჩევნო უბანი გაიხსნება. აქედან ყველაზე მეტი, ანუ ოთხი უბანი, რუსეთსა და უკრაინაში იქნება.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ ამომრჩეველთა 12-ათასიანი სია ცესკო-ში უკვე წარადგინა.

ცესკო-ს გადაწყვეტილებით, საარჩევნო უბნები გაიხსნება მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, კიევში, ოდესაში, დონეცკში, ლუგანსკში, ვაშინგტონში, ნიუ იორკში, ბაქოში, ერევანში, ბრიუსელში, ბერლინში, ლონდონში, ანკარაში, სტამბოლში, რომში, თელ-ავივში, ვილნიუსში, ათენში, ტაშკენტში, ასტანაში, ჟენევაში, ვენაში.

და კიდევ: ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენები ორენოვანი - ქართულ-რუსული იქნება.

რაც შეეხება წინასწარი რეგისტრაციის მიმდინარეობას. გუშინდელი მონაცემებით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე წინასწარი რეგისტრაცია 507 ათას 876-მა ამომრჩეველმა გაიარა. გუშინ საარჩევნო უბანზე ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილიც მივიდა და წინასწარი რეგისტრაცია გაიარა.

## სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ იმუშავებს.

**სამუშაოს აღწერა**
სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი პასუხისმგებელია ოფისში მომუშავე პერსონალის დახმარებასა და ტრეინინგზე სხვადასხვა სახის პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის მოხმარების კუთხით, როგორიცაა Microsoft Windows 2000, Microsoft Office 2000 Professional, მათ შორის Word, Excel, Power Point და MS Access.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა**
IT ინჟინრის ზოგადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
■ კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
■ მომხმარებლებისთვის MS Office 2000-ისა და იმ სხვადასხვა პროგრამული პაკეტების მოხმარების სწავლება, რომელთაც ოფისის პერსონალი იყენებს.
■ სამაგიდო საოპერაციო სისტემისა და ადგილობრივად ინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება.
■ კლიენტის გამოყენებითი პროგრამის ინსტალირება, ტესტირება, კონფიგურირება და შენახვა უკანასკნელად დამტკიცებული ვერსიით.
■ ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალირება და კონფიგურირება საჭიროებისამებრ ყველა სამუშაო ტერმინალზე.
■ სატელეფონო ქსელის და სხვა სატელეკომუნიკაციო აპარატურის, მაგალითად ოფისის ტელეფონების შესახებ სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება.
■ სამუშაო სადგურებზე საოპერაციო სისტემების საწყისი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
■ ჯგუფის წევრების დახმარება გამოყენებითი სისტემებით სარგებლობაში და ოფიციალური და არაოფიციალური ტრეინინგების ჩატარება.
■ მომხმარებლების დახმარება ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში და საჭიროებისამებრ სხვა ჯგუფებთან კოორდინირება.
■ მითითებისამებრ პროცედურების, ინსტრუქციების, დოკუმენტაციის და საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების მომზადება.
■ საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობები.

**გამოცდილება და განათლება**
სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
■ სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის სფეროში
■ ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების უმაღლეს დონეზე ფლობა
■ სერტიფიკატი Microsoft-ის პროგრამულ უზრუნველყოფაში
■ თვითმოტივაცია, სამშენებლო პროექტის დინამიკურ ატმოსფეროში მუშაობის და დაწესებული მოთხოვნების ალღოს აღების უნარი
■ დადებითი პირადი თვისებები და ურთიერთობის დამყარების შესანიშნავი უნარი
■ პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დამატებითი სამუშაოს შესრულებისთვის მზადყოფნა
■ სისტემატურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისების და ეფექტურად გამოყენების უნარი
■ **თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი:** სისტემატიზირებულ და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
■ **ზეგავლენა:** პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
■ **სამუშაოს კომპლექსურობა:** სხვადასხვა დიაპაზონის და კონტექსტის მქონე დავალებების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირად მიმართვის გარეშე.
■ **აუცილებელი უნარ-ჩვევები:** შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, გრაფიკზე აყვანის და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური კავშირის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი ურთიერთობის უნარი.
■ **საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციფიკის ცოდნა:** IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდიკის, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2003 წლის 29 დეკემბერი, ორშაბათი.**
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38
"ბი-პი ჯორჯია"
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
**კადრების დეპარტამენტი**

## ორი სიტყვით

**მოსკოვი.** საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ხუთშაბათის განცხადება, რომლითაც რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მოსკოვის "პირველი ხარისხიანი ნაბიჯია" თბილისთან ურთიერთობების ნორმალიზაციის მხრივ. **"ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება იყო, თუმცა რუსეთის წარმომადგენლები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ადრეც საუბრობდნენ, მაგრამ ამ განცხადების ტონალობა და სტილისტიკა სწორედ ის პირველი ხარისხიანი ნაბიჯია, რომელიც რუსეთმა საქართველოსკენ გადადგა",** - განაცხადა თედო ჯაფარიძემ რადიოსადგურ "ეხო მასკვისთან" პირდაპირ ეთერში საუბრისას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია საქართველოში ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ირჟი ნეკვასილს სახელმწიფო კანცელარიაში შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ჩეხეთსა და საქართველოს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს. ჩეხეთის ელჩი საპრეზიდენტო არჩევნებითაც დაინტერესდა და იმედი გამოთქვა, რომ "4 იანვრის შემდეგ საქართველო ახალ ეტაპზე გადავა, რაც მას ევროპასთან და დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციას გაუიოლებს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ქართლოს ღარიბაშვილი უახლოეს დღეებში ბათუმში ჩასვლას აპირებს, რათა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძეს საკუთარი პროგრამა გააცნოს. ღარიბაშვილის განცხადებით, იგი ეცდება დაარწმუნოს აჭარის მეთაური 4 იანვარს დანიშნულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში რეგიონის მონაწილეობის აუცილებლობაში, როდესაც მას საქართველოს კონსტიტუციური კრიზისიდან გამოყვანის საკუთარ პროგრამას გააცნობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატების" წევრი ვასილ მაღლაფერიძე საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების საფუძველზე ქვეყანაში მინისტრთა კაბინეტის შემოღებას მიზანშეწონილად მიიჩნევს, თუმცა მიაჩნია, რომ დღევანდელი არასრულფასოვანი პარლამენტი ასეთი სერიოზული გადაწყვეტილების მიღებას ვერ შეძლებს. **მედიაა-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალები 25 დეკემბრიდან სარდლის მოვალეობის შემსრულებლის სვიატოსლავ ნაბზდოროვის გარეშე რჩება. სამშვიდობო ძალების გაერთიანებულ შტაბში აცხადებენ, რომ ეს ფაქტი ნაბზდოროვის კონფლიქტის ზონიდან შესაძლო გაწვევას არ უკავშირდება, იგი, უბრალოდ, საშობაო შვებულებაში გადის და დაახლოებით ორ კვირაში რუსეთიდან ისევ ცხინვალში დაბრუნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური მოძრაობა "სიცოცხლისათვის" ლიდერი გიორგი ყორღანაშვილი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურის საშუალებით, 22 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტში ოპოზიციურ ძალთა შეჭრის ფაქტის მოკვლევასა და სამართლებრივ შეფასებას ითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მრეწველების" ლიდერი გოგი თოფაძე კრიმინალური დაჯგუფებების მიერ ქვეყანაში სიტუაციის უკიდურესად დაძაბვას არ გამორიცხავს, თუმცა მიაჩნია, რომ კრიმინალური გაერთიანებები არც ერთი ჭკუათმყოფელი პოლიტიკური ძალების მიერ არ იქნება გამოყენებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "არჩევნებისა და მმართველობის ინსტიტუტი" საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლებამოსილების გადაჭარბებაში და პარლამენტის ფუნქციების მითვისებაში ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყველანაირი იურიდიული მექანიზმი ამოწურულია. ახლა ბრძოლამ პოლიტიკურ სივრცეში უნდა გადაინაცვლოს. სასამართლომ არ გაითვალისწინა არც ერთი მოწმის ჩვენება, რომ მათ იგორ გიორგაძე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ნახეს თბილისში, - აცხადებს პოლიტიკური გაერთიანება "სამშობლოს" ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოკლედ

## ბათუმში საზოგადოებრივი კომიტეტი შეიქმნა

აჭარაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, ბათუმში საზოგადოებრივი კომიტეტი შეიქმნა. კომიტეტის წევრები საკუთარ უსაფრთხოებაზე მთელ პასუხისმგებლობას აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს აკისრებენ.

მემედ აბაშიძის სახელობის სტიპენდიანტთა ვიცე-პრეზიდენტის ლევან კაჭარავას განცხადებით, საზოგადოებრივი კომიტეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარისგან კატეგორიულად მოითხოვს საპრეზიდენტო არჩევნების აჭარაში ჩატარებას. მისი თქმით, 4 იანვრისათვის საქართველოში დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების აჭარაში ჩატარებას ავტონომიურ რესპუბლიკაში იმაზე ბევრად მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე ხელისუფლებას წარმოუდგენია. მისივე განცხადებით, აჭარის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისგან საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვს, სულაც არ არის დესტრუქციული ძალა და მზადაა ხელისუფლებასთან კონსტრუქციული დიალოგისათვის.

საზოგადოებრივი კომიტეტის წევრები ასლან აბაშიძისგან ასევე მოითხოვენ, გამჭვირვალე გახადოს მისი საზღვარგარეთული ვიზიტები და წერტილი დაუსვას 4 იანვრის არჩევნებთან დაკავშირებით იმ გაურკვევლობას, რომელიც დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაშია. კომიტეტის წევრები სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე არსებულ აჭარის ტელევიზიას მოუწოდებენ, თავის გადაცემებში აქტიურად გააშუქოს 4 იანვრისათვის საქართველოში დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული პრობლემატიკა. აჭარაში საგანგებო მდგომარეობის გამო, კომიტეტი საპროტესტო აქციებისგან თავს იკავებს და ხელისუფლების მხრიდან მათზე ზეწოლის განხორციელების შემთხვევაში, მთელ პასუხისმგებლობას აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს აკისრებს. **ინტერ-პრესი**

## სოხუმი იმედს არ კარგავს

სოხუმის ხელისუფლება რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ასოცირებულ წევრად გაერთიანების იმედს არ კარგავს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ რუსეთის მოსახლეობისადმი ვლადიმირ პუტინის სატელევიზიო მიმართვაში "ახალი, მოულოდნელი და გასაკვირი" ვერაფერი შეამჩნია, როცა რუსეთის პრეზიდენტი საქართველოში არსებული კონფლიქტების საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად მოგვარების პერსპექტივებთან დაკავშირებით საუბრობდა.

შამბას შეფასებით, მოსკოვში აფხაზეთის სურვილს - გახდეს რუსეთის ფედერაციის ასოცირებული წევრი, ჯერჯერობით "მთელი სერიოზულობით არ იხილავენ", რადგან აფხაზეთის ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ "ამ სამომავლო საქმისთვის ჯერ აფხაზეთში ბევრი რამ არის გასაკეთებელი". **ინტერ-პრესი**

## ... მცირედიც შეიწირების

ჩეხეთის ელჩმა ირჟი ნეკვასილიმ სახელმწიფო მინისტრს გუშინ კონვერტით 12 ათასი დოლარი მიუტანა. ელჩი ფულს ახალ მთავრობას უპატრონო ბავშვებზე საჭიროებისამებრ დასახარჯად საჩუქრად აძლევს. ნეკვასილი, თანხის განკარგვის თვალსაზრისით, მთავრობის გაკონტროლებას ან მისთვის რაიმე "მითითების" მიცემას არ აპირებს. მისი თქმით, ხელისუფლებამ თავად უკეთ უწყის, თუ კონკრეტულად როგორ დახარჯოს ნაჩუქარი თანხა. ჩეხეთის მთავრობას კი წინასაარჩევნოდ საქართველოს ფინანსური დახმარება, ელჩის თქმით, გადაწყვეტილი ნამდვილად არ აქვს. თუმცა, ჩეხეთიდან ამ პერიოდში დამკვირვებელთა პატარა დელეგაცია აპირებს ჩამოსვლას.

*24 საათი*

## ნადარეიშვილის იმედი

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი დარწმუნებულია, რომ ახალი ხელისუფლება, ედუარდ შევარდნაძისაგან განსხვავებით, **"საქართველოსათვის უფრო მომგებიან, მკაცრ პოზიციას დაიკავებს"**. ამგვარი გარანტია მან გუშინ მოქმედ პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, კიდევ ერთხელ, **"რუსეთის სამშვიდობო ძალებთან და ჰააგის ტრიბუნალთან დაკავშირებით"** საუბრისას მიიღო.

*24 საათი*

# პარლამენტი არდადეგებზე "გაასვენეს"



ზაალ ბულაშვილის ფოტო

*პარლამენტის საშემოდგომო სესია თითქმის ცარიელ დარბაზში დაიხურა.*

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება თავად სხდომას, დიდად ნაყოფიერი ვერც ის გამოდგა. მისი ერთადერთი ხელშესახები შედეგი ის იყო, რომ დეპუტატებმა 104 ხმით ერთსულოვნად გაუგრძელეს უფლებამოსილების ვადა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით საპარლამენტო კომისიას (თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია).

მაღალი, 118-კაციანი კვორუმის საჭიროებისა და დეპუტატთა მცირერიცხოვნობის გამო, პარლამენტის მოქმედმა თავმჯდომარემ ვერ გაბედა, თავდაცვისა და უშიშროების თავმჯდომარის პოსტზე ზაზა შერაზადიშვილის დამტკიცების საკითხი კენჭისყრაზე დაეყენებინა.

გუშინ ასევე დაუმტკიცებლად დაბრუნდა სახლში კიდევ ორი პიროვნება: პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ეთერ ასტემიროვა ლტოლვითა და განსახლების მინისტრის თანამდებობაზე იყო წარდგენილი, ხოლო ამირან კალაძე - დიდ ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად. თუმცა, კენჭისყრის არჩატარების მიზეზი, მათ შემთხვევაში, სხვა გახლდათ. კერძოდ, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის, დავით გამყრელიძის პროტესტი იმის შესახებ, რომ აღნიშნული კანდიდატურების ირგვლივ პარლამენტის ბიუროს არ უმსჯელია.

"ახლების" პროტესტი დაკმაყოფილდა: გადაწყდა, რომ ამ საკითხს ზეგისთვის დანიშნულ ბიუროს სხდომაზე განიხილავენ, რის შემდეგაც სამშაბათისთვის ნავარაუდევ რიგგარეშე სესიაზე შეიტანენ დასამტკიცებლად.

ხელფასის აღებასთან ერთად, გუშინ დეპუტატებმა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის შესახებაც მიიღეს ინფორმაცია. ბევრისთვის მოულოდნელად, ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის გამოსვლა საკმაოდ ოპტიმისტური გამოდგა.

**"ასეთ დინამიკას მე თვითონაც არ ველოდი: ადრე ვამბობდი, 2003 წლის ბიუჯეტში გარღვევა 240-250 მილიონი ლარი იქნებამეთქი, ახლა კი დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ დეფიციტი 230 მილიონს არ გადააჭარბებს,"** - აღნიშნავს ნოღაიდელი. იგი მხოლოდ ეკონომიკური ანალიზით არ შემოიფარგლება და პოლიტიკურ განცხადებასაც აკეთებს: **"ბოლო წლინახევრის განმავლობაში საქართველოს მთავრობა არ ჰყავდა. რომ არ ყოფილიყო ნოემბრის რევოლუცია, უბედურება მოხდებოდა - ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა კატასტროფული იყო, მის გამოსწორებაზე კი არავინ ფიქრობდა"...**

პარლამენტის საშემოდგომო სესია საქართველოს ჰიმნზე გაჭიმულმა 19-მა დეპუტატმა დახურა. დღეიდან პარლამენტარებს არდადეგები ეწყებათ. ისე, საპარლამენტო კონტექსტში, არდადეგების ხსენება ცოტა უხერხულია - არდადეგები და დასვენება ადამიანებს შრომის შემდეგ სჭირდებათ. ხოლო თუ როგორ შრომობენ ჩვენი რჩეულები, ამაზე სიტყვის გაგრძელება ნამდვილად არ ღირს.

# იგორ გიორგაძე კვლავ აქტუალურია

პირველი გვერდიდან

არ აკონკრეტებს და ზოგადად ამბობს, რომ **"არსებობენ გარკვეული ძალები, რომლებმაც იციან, რომ მათი მხრიდან პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლას აზრი არ აქვს და ამიტომაც სამხედრო გზით შეიარაღებულ ამბოხებას გეგმავენ. ეს ის ძალებია, რომელთა დაფინანსება და პოლიტიკური მხარდაჭერა ქვეყნის გარედან ხდება, თუმცა შემსრულებლები ქართველები არიან."**

გია ბარამიძემ შსს-ში ჩატარებულ ბრიფინგზე ეს ინფორმაცია უფრო გააღრმავა. მისი თქმით, **"არსებობს ინფორმაცია ჯგუფების შესახებ, რომლებიც გადატრიალებას გეგმავენ და რომლებიც ქვეყნის გარედან იმართებიან და ფინანსდებიან, ცნობილია კონკრეტული ინფორმაცია კონკრეტულ პიროვნებებზე და გარკვეული ღონისძიებები უკვე ტარდება."** თუმცა მან დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა და ჟურნალისტებს დაჰპირდა, რომ დეტალურ ინფორმაციას გვიან ღამით, მას შემდეგ შეიტყობდნენ, რაც უშიშროების საბჭოს სხდომა მინისტრისგან ოპერატიულ შეტყობინებას მიიღებდა.

გვიან ღამით, საქართველოში მოსალოდნელი შეიარაღებული გადატრიალების რეალურ საფრთხესთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს სხდომა შეიკრიბა და მოქმედ პრეზიდენტს ოპერატიული ინფორმაციები ჩაბარდა. სხდომაზე საგანგაშო სიტუაციიდან ეფექტურად გამოსვლის გეგმა შეიმუშავეს.

ჟურნალისტებთან ბრიფინგი მხოლოდ სახელმწიფო კანცელარიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა გიორგი არველაძემ ჩაატარა. საქმე ისაა, რომ უშიშროების სხდომის დასრულების შემდეგ ძალოვანი მინისტრები კანცელარიის შენობიდან, შეუმჩნევლად გავიდნენ. როგორც ჩანს, მათ ჟურნალისტებისთვის სათქმელი არაფერი ჰქონდათ.

გიორგი არველაძემ გადატრიალების ორგანიზატორის ვინაობა დაასახელა. მისი ინფორმაციით, გადატრიალებას ტერორისტობაში ეჭვმიტანილი ექსმინისტრი იგორ გიორგაძე ხელმძღვანელობს, შემსრულებლები კი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები არიან, რომელთაც სამართალდამცველი უწყების თანამშრომლები უწევენ დახმარებას. **"უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროებს გააჩნიათ ინფორმაცია, რომ გარკვეული ძალები ქვეყანაში იგორ გიორგაძის ჩამოყვანას აპირებენ და ამ მიზნისთვის, გამორიცხული არ არის, შეიარაღებული ამბოხების მოწყობაც სცადონ. საქართველოს ძალოვანი უწყებებისთვის ცნობილია იმ პირების ვინაობა, ვინც გადატრიალებას გეგმავს და ისინი ახლო მომავალში ნეიტრალიზებულნი იქნებიან,"** – განაცხადა გიორგი არველაძემ.

**"ნურავინ იოცნებებს, რომ შეძლებენ ქვეყანაში სიტუაციის არევას. საქართველოს ხელისუფლება სრულად აკონტროლებს ვითარებას და ყველა ზომას მიიღებს იმისთვის, რომ ქვეყანაში სტაბილურობა შენარჩუნებული იქნას,"** – ამბობს პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი.

გიორგი არველაძე ირწმუნება, რომ ხელისუფლება არსებულ სიტუაციას აკონტროლებს და **"კონკრეტული პირების წინააღმდეგ კონკრეტული სამართლებრივი ზომები იქნება მიიღებული"**.

ერთი სიტყვით, პოლიტიკურ ავანსცენაზე კვლავ გამოჩნდა რვა წლის წინ საქართველოდან მძიმე ბრალდებებით გაქცეული იგორ გიორგაძე. სხვათა შორის, მისი სახელი ამ რვა წლის მანძილზე ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისას ყოველთვის აქტუალური ხდებოდა.

# როივ რივი: "დემოკრატიული არჩევნები თქვენ უნდა ჩაატაროთ"

*ეუთო-ს წევრი ქვეყნები, მომავალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად, საქართველოს ექვს მილიონ ევროს გამოუყოფენ. აქედან ოთხ მილიონს უშუალოდ ეუთო მოიზიდავს, დანარჩენ ორ მილიონს ევროკავშირი და ევროკომისია გაიღებს.*

ვერიკო თევზაძე

საქართველოში ეუთო-ს მისიის წარმომადგენელმა როივ რივიმ განაცხადა, რომ აღნიშნული თანხა უკვე არსებობს და ახლა მთავარია, იგი მიზანმიმართულად გამოვიყენოთ არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად. ვინაიდან საარჩევნო სამზადისისთვის ვადები საკმაოდ მცირეა, ეუთო-მ გაზარდა თავისი მისიის წარმომადგენლობა საქართველოში.

**"ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, ასევე ფინანსთა სამინისტროსთან, რათა თანხები რეალურად იქნეს გამოყენებული",** - რივის თქმით, ფინანსთა სამინისტროსა და ეუთო-ს შორის გუშინ გაფორმებული ხელშეკრულება ამ უკანასკნელს დაეხმარება არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება, იქნება ეს ხმების პარალელური დათვლა თუ ტრენინგები, ნორმალურად ჩაატაროს.

რივის განცხადებით, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისას სიების კომპიუტერული ვერსია აღარ იქნება. ჟურნალისტის შეკითხვას – რატომ, დროის სიმცირის გამო? - რივიმ შეკითხვითვე უპასუხა: **"რას დავეყრდნოთ, რისი ელექტრონული სისტემა შევქმნათ?"**

კითხვაზე: რა მოხდება, თუ აჭარის რეგიონი არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას? – რივიმ პასუხის გაცემა ვერ შეძლო. პრესა იმითაც დაინტერესდა, თუ ოდესმე ყოფილა ბატონი რივის პრაქტიკაში, მთლიანად რომელიმე რეგიონს არ მიეღოს არჩევნებში მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ ეუთო-ს მისიის წარმომადგენელს მსგავსი ინფორმაცია არ მოეპოვება. უფრო ადრე ჟურნალისტმა 2 ნოემბრის არჩევნებში მარკირებისას გამოყენებული სითხის უხარისხობაზე მიუთითა. **"ეს არის საერთაშორისო სტანდარტული სითხე. მსგავსი რამ არც ერთ ქვეყანაში არ მსმენია",** - გაკვირვება ვერ დაფარა რივიმ. ყველაფერ ამის შემდეგ როივ რივი იძულებული გახდა, კეთილი ირონიით ეხუმრა: **"საქართველო მრავალმხრივ უნიკალური ქვეყანაა".**

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ეუთო საქართველოში 450 გრძელვადიან დამკვირვებელს გამოგზავნის. დამკვირვებელთა დელეგაციაში შევლენ ევროპის საბჭოსა და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრები.

**"ჩვენ ყველა პირობას შეგიქმნით იმისთვის, რომ 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნები ნორმალურად ჩაატაროთ, დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული, დემოკრატიული არჩევნები თქვენ უნდა ჩაატაროთ",** - განაცხადა რივიმ.

# რას ჩამოიტანს ჟვანია ბათუმიდან

დღეს დილას სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია ბათუმში მიემგზავრება. ჟვანიამ აჭარის ლიდერი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უნდა დაითანხმოს. როგორც ელიან, სახელმწიფო მინისტრის ვიზიტი, ამ მხრივ, მოქმედ პრეზიდენტ ნინო ბურჯანაძის ვიზიტზე უფრო შედეგიანი უნდა იყოს. არა იმიტომ, რომ სახელმწიფო მინისტრი აბაშიძესთან დაპირებებით დახუნძლული ჩავა. უბრალოდ, ავტონომიის ლიდერის არჩევნებისაკენ, უფრო კი, ახალი ხელისუფლებისაკენ გულის მოსაბრუნებლად მცდელობაში ახლა ლამის მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა ჩაება, აშშ-ს ელჩით დაწყებული, ევროსაბჭოთი დამთავრებული. მართალია, ვალტერ შვიმერთან შეხვედრის სურვილი ასლან აბაშიძემ თავად გამოთქვა, მაგრამ შვიმერიც არ იყო აჭარის ლიდერთან შეხვედრის წინააღმდეგი. სტრასბურგში ვიზიტის დეტალების დასაზუსტებლად, აბაშიძის გამგზავრებამდე, ბათუმში ჩასვლა საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენელმა პლამენ ნიკოლოვმაც არ დაიზარა.

აბაშიძის მხრიდან არჩევნების მიმართ კეთილგანწყობა აჭარაში მიმდინარე პროცესებითაც არის განპირობებული. გააქტიურება იგრძნობა აჭარის სტუდენტურ მოძრაობაშიც. სახელმწიფო მინისტრი თბილისში დაბრუნებას ხვალვე აპირებს.

*24 საათი*

# ბოლო შანსი როგორც საქართველოსთვის, ასევე ამერიკისთვის

პირველი გვერდიდან

დისკუსია დეივიდ სმიტმა გახსნა, რომელიც ახლახან დაბრუნდა თბილისიდან. მისი თქმით, საზოგადოების ოპტიმიზმი და ნდობა ახალი მთავრობისადმი დიდია, რაც ახალ ხელისუფლებას გარკვეული ზეწოლის ქვეშ აქცევს. სმიტის თქმით, აშშ-ს დელეგაციის ვიზიტი თბილისში, ამერიკის თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის ხელმძღვანელობით, ნიშანი იყო იმისა, რომ ამერიკის ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას და მზადაა დასახმარებლად.

სმიტის განცხადებით, საქართველოსთვის კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად **"საჭიროა მოეწყოს ღირსეული არჩევნები,"** შემდეგ კი **"ქვეყანამ უნდა გამოიზამთროს ამერიკისა და სხვა დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით."** ამასთან ერთად, ხელისუფლებამ უნდა **"შეიმუშაოს გეგმა, რომელიც მიუთითებს თუ რა რეფორმების გატარებას ისახავს მიზნად მთავრობა, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფრონტზე. უნდა შემუშავდეს ეტაპობრივი გეგმა იმისა, თუ რაშია საჭირო ამერიკის დახმარება."** სმიტის განცხადებით, ნებისმიერ გრძელვადიან რეფორმასა თუ პრობლემის გადაჭრაზე საუბარი უშედეგო იქნება კორუფციის აღმოფხვრის გარეშე.

ლევან მიქელაძემ ამერიკელ კოლეგებს შეახსენა, რომ საქართველოს ახლა, როგორც არასდროს, სჭირდება თანადგომა და მხარდაჭერა. სიტყვით გამოსვლისას, ელჩმა იმ გამოწვევებსა და რისკფაქტორებზე ისაუბრა, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას როგორც მოკლე, ისე გრძლევადიან პერსპექტივაში.

4 იანვრის არჩევნებზე საუბარისას, მიქელაძემ აჭარის კრიტიკულ როლს გაუსვა ხაზი: **"თუ აჭარა მონაწილეობას არ მიიღებს არჩევნებში, წინააღმდეგობა შეიქმნება ტექნიკურ საკითხებში, რადგანაც გაძნელდება ქვეყნის მასშტაბით კონსტიტუციის თანახმად საჭირო ამომრჩეველთა 50 პროცენტის მონაწილეობის უზრუნველყოფა."**

ელჩმა ყურადღება ქვეყნის კატასტროფულ ეკონომიურ სიტუაციაზე გაამახვილა, რომელიც ახალ მთავრობას მემკვიდრეობით ერგო. **"ფისკალური სისტემა სასწრაფო დახმარებას საჭიროებს, მაგრამ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში არსებული პროცედუალური მექანიზმების გათვალისწინებით, რეალურად დახმარების მიღება მხოლოდ 2-3 თვის შემდეგ თუ მოხერხდება,"** - განაცხადა მიქელაძემ.

რევაზ ადამიამ ელჩის ნათქვამს დასძინა, რომ **"ფისკალური და საგადასახადო სისტემის შეცვლის გარეშე, საქართველოში მუდმივად იქნება ფულის დეფიციტი. კარგი იქნება, თუ შეიქმნება მრჩეველთა საბჭო, რომელიც ხელისუფლებას ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო პრიორიტეტებისა და რეფორმების კურსის შემუშავებაში დაეხმარება."**

ფორუმზე აღინიშნა, რომ ახალი ლიდერების სამეულის კონსოლიდაციისა და სოლიდარობის შენარჩუნებასთან ერთად, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი ფაქტორია მთავრობის სრულფასოვანი მოღვაწეობისთვის. ამის მისაღწევად კი საჭიროა **"ქაოტური პლურალიზმის ქმედით დემოკრატიულ ინსტიტუტებად გარდაქმნა,"** - თქვა ლევან მიქელაძემ.

ბრუკინგსის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ფიონა ჰილმა განაცხადა, რომ პრიორიტეტად დასახულ ქმედითი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან ერთად, **"საჭიროა გაძლიერდეს პარლამენტი და შემცირდეს პრეზიდენტის ძალაუფლება. ამისათვის კარგ მოდელად შეიძლება გამოდგეს თურქეთი, სადაც პოლიტიკური სისტემა ძალზე მოქნილია და პრეზიდენტს აქვს სრულიად განსხვავებული ფუნქციები."**

რუსეთიდან მომავალი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ენერგეტიკული საშიშროების ნეიტრალიზება ახალი მთავრობისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს. რუსეთის პრობლემაზე საუბრისას რევაზ ადამიამ აღნიშნა, რომ რუსეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ნათლად მიუთითებს ამ ქვეყნის ავტოკრატიული მიმართულებით განვითარებაზე, რაც საქართველოს დამატებით საფრთხეს უქმნის. ამ საფრთხის გამოვლინება კი, მიქელაძის განცხადებით, ქვეყნის დანაწევრებაა, **"რომელიც არის არა ობიექტური პროცესი, არამედ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის პირდაპირი შედეგი."**

ფორუმზე უკმაყოფილება გამოითქვა დასავლეთის დუმილის მიმართ, რუსეთის მიერ აჭარისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე. **"ეს არის სუვერენიტეტის აშკარა დარღვევა. თუ ახლა, როცა საქართველო მზადაა დაიწყოს რუსეთთან ურთიერთობის ახალი ფურცელი, არ მოხდა რუსეთის უხეში პოლიტიკის დაგმობა ჩვენ მიერ, შემდგომისთვის დრო აღარ დაგვრჩება,"** - თქვა ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგო პროგრამების დირექტორმა ზეინო ბარანმა.

ლევამ მიქელაძემ, თავისი სიტყვის დასასრულ, ნატო-ს მომავალ სამიტზე გაამახვილა ყურადღება (სამიტი მომავალი წლის ზაფხულში სტამბოლში გაიმართება). საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ სამიტზე მოხდება უსაფრთხოებისა და სამხედრო სფეროში მანამდე გადადგმული ნაბიჯების შეფასება. ამასთან ერთად, სტრატეგიული გეგმის შემუშავების შემდეგ, შესაძლებელია საუბრის დაწყება საქართველოს იმ გეგმაში ჩართვაზე, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას ისახავს მიზნად.

ფორუმზე სიტყვით გამოსული ჩარლზ ფეარბენქსის თქმით, ახალმა მთავრობამ მხედველობაში უნდა იქონიოს ის გარემოება, რომ **"პოსტ-საბჭოთა მოსახლეობაში მთავრობის მიმართ უნდობლობის ხარისხი მაღალია."** პროფესორის თქმით, ილუზიების მსხვრევა, როგორც წესი, ძალიან მალე იწყება და შექმნილ სიტუაციაში **"არსებობს დიდი საფრთხე იმისა, რომ იმედგაცრუება, როგორც მოსახლეობაში, ასევე ქვეყნის გარეთაც სწრაფად მოხდება."**

ფეარბენქსის აზრით, არ უნდა შეიქმნას ისეთი სტრუქტურები, რომლის სათავეშიც ახალი ლიდერები იქნებიან, ხოლო ქვედა საფეხურებზე ძველი, კორუმპირებული ქსელი დარჩება. მისი აზრით, კარგი იქნება, თუ **"საპარლამენტო არჩევნებისთვის ახალი ლიდერები შექმნიან უფრო ფართო კოალიციას, რომელშიც დემოკრატიულად განწყობილ სხვა ძალებსაც შეიყვანენ."**

ფერბენქსის განცხადებით, ახალი მთავრობის ცუდი გადაწყვეტილება, რომელმაც დასავლეთის თვალში შეიძლება სერიოზული უნდობლობა გამოიწვიოს, მაჟორიტარი დეპუტატებისთვის მანდატების შენარჩუნება იყო. ამერიკელი ექსპერტების აზრით, ეს არ არის ახალი მთავრობის ერთადერთი სერიოზული შეცდომა. "ინტერკონ ინტერნეშნალისა" და "შევარდნაძის ფონდის" პრეზიდენტმა პოლ ჯოელმა, რომელმაც არჩევნებისთვის მთავრობას 34 კომპიუტერი აჩუქა, დისკუსიისას განაცხადა, რომ გურამ აბსანძის სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დანიშვნა მიუღებელი იყო.

ზეინო ბარანმა აბსანძის დანიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი **"შეიძლება რეგიონული ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად, მაგრამ ნუ დავივიწყებთ შევარდნაძის მაგალითს, როცა კომპრომისებმა პრეზიდენტი საკუთარი დათმობების მძევლად აქცია და, საბოლოო ჯამში, კონტროლი დააკარგვინა."**

ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს პრეზიდენტმა ენდერს ვინბუშმა დისკუსიის ყურადღება საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე გადაიტანა. მისი თქმით, **"საქართველოს არა აქვს საგარეო პოლიტიკა, როგორც ასეთი. საქართველოს მთავრობამ თავი უნდა დაანებოს მსოფლიოზე რუსოცენტრული პრიზმიდან ყურებას და იფიქროს იმაზე, თუ რა ადგილი უკავია საქართველოს სხვა მოთამაშეების გეგმაში."** ამ პერიოდს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს და სწორედ ამ პროცესზეა დამოკიდებული, **"ემახსოვრებათ თუ არა საქართველო მსოფლიოში ექვსი თვის შემდეგ."** ვინბუშის აზრით, ახლა საქართველოს **"სჭირდება არა პიროვნებაზე, არამედ შინაარსზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა, რაც წარმოუდგენელია ინსტიტუციური ცვლილებებისა და უაღრესად ძლიერი ეროვნული უსაფრთხოების სისტემის გარეშე."**

# ახალ წელსაც და არჩევნებზეც გარანტირებული დენი გვექნება

პირველი გვერდიდან

საბოლოოდ, შეთანხმება მიღწეულია. ძალაში რჩება ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ამ სამიოდე კვირის წინ ოფიციალურად შეთანხმებული გეგმა-გრაფიკი, რომელიც ენგურზე გამომუშავებული დენის განაწილებას ეხება. ამასთან, ქართული მხარე საახალწლოდ და საარჩევნოდ ენგურჰესიდან დენის საჭირო რაოდენობას – დღეში 11 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მიიღებს. სანაცვლოდ, აფხაზურ მხარეს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სექტორის ხელმძღვანელისგან იმის გარანტია აქვს, რომ ენგურჰესზე წყლის მარაგის ამოწურვის შემდეგ (სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოსთვის) აფხაზეთი თავის დანაკლისს საქართველოს მიერ რუსეთისგან თუ სომხეთისგან ნაყიდი დენით შეივსებს. აფხაზებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება დენის "კავკასიონიდან" მიღება – ამ ხაზით აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდება ტექნიკურად ყველაზე მარტივია.

აფხაზეთში მინისტრის ვიზიტს ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. ვიზიტის გასაშუქებლად საბერიოსკენ მიმავალ "რუსთავი-2"-ის ჯგუფს უსიამოვნება ხვდა ნასვამი აფხაზებისგან, რომელთაც, თურმე, "რუსთავი-2"-ის კორესპონდენტი ემა გოგოხია "არ ჰყვარებიათ". აფხაზებმა "რუსთავი-2"-ის გადამღებ ჯგუფს, რომელიც მინისტრის გვერდით იმყოფებოდა, იარაღის მუქარით, სასწრაფოდ მოსთხოვეს ტერიტორიის დატოვება.

# "თბილგაზი" საშველად არასამთავრობოებს უხმობს

მაია ურუშაძე

თბილისის გაზმომარაგების სისტემაში არსებული ქაოსით შეწუხებულმა "თბილგაზის" მმართველმა "ახალმა მენეჯმენტმა" ორიგინალური გამოსავალი იპოვა. ამიერიდან ის გაზის მომხმარებლებს არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით აღრიცხავს.

**"ვიცოდით, რომ თბილისის გაზმომარაგების სისტემაში სრული განუკითხაობა იყო, მაგრამ იმ მდგომარეობამ, რაც აქ დაგვხვდა, ჩვენს ყველაზე სკეპტიკურ პროგნოზებსაც კი გადააჭარბა,"** – აცხადებენ "თბილგაზის" ახალი მენეჯერები და საკუთარი ინკასატორების მიერ შედგენილ აბონენტთა ნუსხებს აღარ ენდობიან.

"თბილგაზში" მიიჩნევენ, რომ ინკასატორთა მიერ მოტანილი მონაცემები სანდო არ არის, რადგან ისინი "ჯიბისათვის იტოვებენ" და ოფიციალურ დოკუმენტაციაში არ აღრიცხავენ დიდ სიმძლავრეებს, საიდანაც, შესაბამისად, "თბილგაზში" დიდი თანხები უნდა შედიოდეს. სწორედ ამიტომ, "თბილგაზმა" საშველად უხმო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთათვისაც დედაქალაქის პრობლემები უცხო არ არის. ამ ორგანიზაციების უმეტესობა დედაქალაქის საკრებულოსთან, უკვე დიდი ხანია, თანამშრომლობს. გუშინ "თბილგაზმა" სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოსთან საგანგებო "ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი" გააფორმა.

შედეგად, 20 დეკემბრიდან ახალი მობილური ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაშიც "თბილგაზის" თანამშრომლებთან ერთად 12 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შევლენ, მთელი ქალაქის მასშტაბით ჩაატარებენ გაზის აბონენტთა აღრიცხვას. ისინი თბილისის უბნებში გამრიცხველიანების პროცესს გააკონტროლებენ, შეადგენენ აღურიცხავი აბონენტების ნუსხას, აღრიცხავენ აქამდე აღურიცხავ საწარმოებს, დააფიქსირებენ ცალკეულ აბონენტთა მიერ მოხმარებული გაზის სიმძლავრეს. ამ მომსახურებისთვის "თბილგაზი" არასამთავრობოებს იმ თანხებს გადაუხდის, რომელიც ორგანიზაციის ბიუჯეტში ინვენტარიზაციის პროცედურის ჩასატარებლად იყო გათვალისწინებული.

ინვენტარიზაციის შემდგომი ეტაპი გაზის საფასურის აკრეფაზე ზრუნვა იქნება. "თბილგაზში" ვარაუდობენ, რომ თუ ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ, თითოეულ აღრიცხულ დანადგარზე ფიქსირებულ გადასახადს დააწესებენ, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას მოახერხებენ. ამასთან, "თბილგაზში" აცხადებენ, რომ ფიქსირებული ტარიფით გადასახდელი თანხა მრიცხველის მიხედვით გადასახდელზე გაცილებით ნაკლები იქნება. **"ჩვენ ფიქსირებულ გადასახადს გაზის დადგმული სიმძლავრის მიხედვით ვადგენთ. ათვლას არ ვაწარმოებთ მაქსიმალური ხარჯის მიხედვით. პირიქით – დღე-ღამეში მხოლოდ 4-5 საათიან მოხმარებას ვვარაუდობთ,"** – აცხადებენ "თბილგაზში" და იმედოვნებენ, რომ სემეკი დააკმაყოფილებს მათ ინიციატივას ფიქსირებული გადასახადის დაწესების თაობაზე, რომელიც, სხვათა შორის, მარეგულირებელ კომისიაში გუშინვე შევიდა.

პარალელურად, "თბილგაზის" მენეჯერები უბნების მიხედვით ახალი ტიპის მრიცხველების დადგმას იწყებენ. ახალი მრიცხველების დამონტაჟების ხარჯებს მთლიანად "თბილგაზი" გაიღებს.

## მოკლედ

### ისლამაბადში ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნები იკრიბებიან

29 იანვარს შედგება ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სამდღიანი შეხვედრა, რომელზეც ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებული ქვეყნების მინისტრები ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების სამომავლო გზებს განიხილავენ. ამ ორგანიზაციაში შედის: პაკისტანი, ირანი, თურქეთი, ავღანეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და აზერბაიჯანი. მინისტრები შეხვედრაზე განიხილავენ და მოამზადებენ რეკომენდაციებს ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრისთვის, რომელიც დუშამბეში გაიმართება. სავარაუდოდ, ამ შეხვედრაზე ტაჯიკეთის პრეზიდენტი წარადგენს თავის გეგმას წევრი ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების შესახებ; ასევე განიხილავენ არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების საუკეთესო გზებს, შეიმუშავებენ ყველაზე ოპტიმალურ გეგმას მათ ქვეყნებში სიღარიბის დაძლევის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე შეიმჩნევა სერიოზული ძვრები ამ ქვეყნებს შორის სატრანსპორტო ინფრასტუქტურის შექმნის მიმართულებით. ამ შეხვედრაზე ასევე განხილული იქნება ავღანეთის აღდგენისა და რეკონსტრუციის გეგმა.

***ანა გახარია***

### Microsoft-ს ისევ სასამართლოში იბარებენ

"მობილურმა მედიაკომპანიამ RealNetworks შეიტანა სარჩელი სასამართლოში Microsoft-ის წინააღმდეგ," - იუწუყება "ბიბისი". მსოფლიოში საინფორმაციო ტექნოლოგიების უდიდეს მწარმოებელს მედიაკომპანია ადანაშაულებს ციფრული მუსიკისა და ვიდეოს ბაზრის არაკანონიერ მონოპოლიზაციაში. მედიაკომპანია Microsoft-სგან ერთი მილიარდი დოლარის კომპენსაციას მოითხოვს. **"ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი ბიზნესი დღეს უფრო მსხვილი იქნებოდა, თუკი Microsoft წესების დაცვით ითამაშებდა",** - განაცხადა მედიაკომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა რობ გლეიზერმა. ბილ გეითსის იმპერია ბრალდებებს უარყოფს და დაჟინებით ირწმუნება, რომ კონკურენციის წესებს ბაზარი თავად არეგულირებს. Microsoft-ის იურისტი მიუთითებს, რომ RealNetworks ბაზარზე მედიატექნოლოგიების გაყიდვაში ლიდერობს. იურისტმა აქვე დაამატა, რომ მისი კომპანია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ცდილობს, დაიცვას საკუთარი პოზიცია ბაზარზე. RealNetworks-ის სარჩელი დაემთხვა იმ გამოძიების მსვლელობას, რომელსაც ევროკომისია აწარმოებს. ბრიუსელი შეწუხებულია იმით, რომ შესაძლოა, Microsoft-მა გამოიყენოს საკუთარი დომინირებული პოზიცია ბაზარზე იმით, რომ მომხმარებელს აიძულოს საკუთარი მედიატექნოლოგიების გამოყენება. იმავეს ამტკიცებენ RealNetworks კომპანიაშიც.

# EBRD-ის ნობათი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის

*საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა პოსტრევოლუციური საქართველოს მიმართ კვლავაც გრძელდება. გუშინ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკსა (EBRD) და "თი-ბი-სი" ბანკს შორის სასტუმრო "მარიოტში" ხელი მოეწერა ხელშეკრულებას 6 მილიონი აშშ დოლარის საკრედიტო ხაზის გამოყოფის თაობაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები ქართული ბიზნესის, კერძოდ კი, საშუალო და მცირე კერძო საწარმოების საშუალო და გრძელვადიან დაფინანსებას მოხმარდება.*



*გუშინ საკრედიტო ხაზი ოფიციალურად გაიხსნა.*

"თი-ბი-სი" ბანკის ხელმძღვანელი პირები დარწმუნებულები არიან, რომ აღნიშნული საკრედიტო რესურსი მნიშვნელოვნად დაეხმარება საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში. მაშინ, როცა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდესი წილი კერძო სექტორში, ძირითადად, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ იქმნება, EBRD-ის ეს საახალწლო "საჩუქარი" პოსტრევოლუციური საქართველოსთვის მართლაც მნიშვნელოვანი იქნება.

ხსენებული ხელშეკრულებით მოზიდული იქნება დამატებითი რესურსები კერძო საწარმოების დაფინასებისთვის. "თი-ბი-სი" ბანკის მიერ გაცემული სესხის საშუალო მოცულობა 200 ათასი ამერიკული დოლარი იქნება. საშუალო და გრძელვადიანი EBRD-ის საკრედიტო ხაზი უზრუნველყოფს კერძო ბიზნეს-ინიციატივის მხარდაჭერას და ქართული სექტორის შემდგომი წარმატებული განვითარების ხელშეწყობას.

"თი-ბი-სი" ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მამუკა ხაზარაძის განცხადებით, EBRD-თან გაფორმებული ხელშეკრულება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ეს არის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან პირველი მასშტაბური ინვესტიცია, რომელიც საქართველოში "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ განხორციელდა. ხელმოწერის ცერემონიაზე მოწვეულმა სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ნდობისათვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა: **"საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი ინსტიტუტის მხრიდან ასეთი ნდობის გამოცხადება კიდევ ერთი ღია დადასტურებაა იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლეთი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში რეალურად ეხმარება".**

სახელმწიფო მინისტრის ეს სიტყვები EBRD-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ნორინ დოილმაც დაადასტურა. **"საქართველოსთვის ამ ძალზე მნიშვნელოვან პერიოდში "თი-ბი-სი" ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულება ცალსახად გამოხატავს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერას საქართველოს მომავალი განვითარებისადმი",** - აღნიშნა ნორინ დოილმა.

სხვათა შორის, "თი-ბი-სი" ბანკსა და EBRD-ს შორის თანამშრომლობა, დაახლოებით, რვა წლის წინათ დაიწყო. 1996 წლიდან მოყოლებული, EBRD "თი-ბი-სი"-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია. ზუსტად რვა წლის წინათ ამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი სამი მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზით "თი-ბი-სი" ბანკმა წარმოების სხვადასხვა დარგში მოქმედი ათეულობით ქართული საწარმო დააფინანსა.

***24 საათი***

# პირველი ფინანსური ინექციები რევოლუციის შემდეგ

*საქართველოს დროებითი ხელისუფლება პირველ საერთაშორისო ფინანსურ დახმარებებს "იმკის". გუშინ ფინანსთა სამინისტროში ხელი მოეწერა რამდენიმე ორმხრივ შეთანხმებას, რომელთა წყალობითაც საქართველოში არჩევნებთან, სოფლის მეურნეობასა და ენერგოსექტორთან დაკავშირებული რამდენიმე პროგრამის დაფინანსება მოხერხდება.*

თამარ ივანიძე

როგორც ცნობილი გახლდათ, არჩევნების დაფინანსებისთვის სახსრებს ეუთო გამოყოფს. გუშინ დაზუსტდა დახმარების ოდენობაც: 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთვის ეუთო საქართველოს მთავრობას 1,282 მილიონი ევროთი დაეხმარება. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროში ორმხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერეს მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ეს თანხა - 3,3 მილიონი ლარი, მოხმარდება ცესკო-სა და საარჩევნო ადმინისტრაციების სახელფასო ანაზღაურებას, რაც არჩევნების ნორმალურად ჩატარების საწინდარი იქნება.

ხელშეკრულების მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან შესაბამისი ხარჯის გაწევის შესახებ ინფორმაციის წარდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში ეუთო-ს დახმარება ჩაირიცხება ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშზე.

ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, ეს თანხა უკვე გადაირიცხა ხაზინიდან თანამშრომელთა ხელფასების ასანაზღაურებლად.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ეუთო-ს ელჩმა როი რივმა განაცხადა, რომ **„ეუთო გაკვირვებულია ფინანსთა სამინისტროში მომუშავე პროფესიონალებით, რომლებმაც ძალიან მოკლე დროში შეძლეს ხელშეკრულების მომზადება, მისი ხელმოწერა".**

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ეუთო-ს გარდა, საქართველოს 4 იანვრის არჩევნების ჩატარებაში დაეხმარება: ჰოლანდია, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, შვეცია, თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, კანადა, დანია, სოროსის ფონდი, ფინეთი. გრძელდება მუშაობა გაერო-ს წარმომადგენლებთან. მათ ფინანსურ დახმარებას არჩევნებში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარავად გამოიყენებენ. დაფინანსდება არჩევნების ყველა ეტაპი, მათ შორის - მარკირება, ეგზითპოლების ჩატარება და სასამართლო ხარჯები.

გუშინვე ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და გერმანიის რეკონსტრუციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის ევროპის რეგიონულმა დირექტორმა ლევონ მაციოშეკმა ხელი მოაწერეს ორ ხელშეკრულებას.

პირველი მათგანი ითვალისწინებს საქართველოს კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის განვითარების მეორე პროექტის დაფინანსებას. პროექტის თანხის ოდენობა 8 მილიონი ევროა, საიდანაც 4 მილიონი გრანტია, ხოლო დარჩენილი თანხა – შეღავათიანი კრედიტი.

პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს ნიადაგის არსებული მონაცემების აქტუალიზება და მათი დამუშავება. ამ პროექტის განხორციელებასა და დაგეგმარებაზე პასუხისმგებელია მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. პროექტის დასრულების ვადაა 2006 წლის 31 დეკემბერი. კრედიტის ხანგრძლივობა 40 წელია, ხოლო საპროცენტო განაკვეთი - 0,75 პროცენტი. მეორე კი გახლავთ სასესხო ხელშეკრულება „სასაქონლო დახმარება".

ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და გერმანიის მთავრობას შორის ფინანსური შეთანხმების საფუძველზე. კრედიტის ოდენობაა 11,967 მილიონი ევრო. კრედიტი გამიზნულია ენერგეტიკული სექტორის დასახმარებლად და ითვალისწინებს ენერგეტიკის სექტორისათვის გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსებას.

კრედიტის ვადაა 40 წელი, აქედან შეღავათიანი პერიოდი 10 წელს შეადგენს, ხოლო საპროცენტო განაკვეთი - 0,75 პროცენტს; კრედიტის თანხის 73,08 პროცენტი გრანტელემენტია.

# მეთორმეტე სატელევიზიო არხზე მაუწყებლობის ლიცენზია "იბერიამ" მოიპოვა

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მეთორმეტე სატელევიზიო არხზე (მეცხრე სამაუწყებლო ზონა) მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად 26 სექტემბერს გამოცხადებული კონკურსის შედეგები გაახმაურა.

კონკურსში ტელეკომპანია "იბერია" და შპს "ფაზისი" (ქ. ფოთის სატელევიზიო არხი) მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ მეცხრე სამაუწყებლო ზონა ქალაქ ფოთს, სენაკის, მარტვილის, აბაშისა და ხობის რაიონებს მოიცავს. სალიცენზიო გადასახადის საწყისი ოდენობა 30 807 ლარს შეადგენდა, საიდანაც გამარჯვებულ კომპანიას საერთო თანხის 30 პროცენტი ერთი თვის ვადაში უნდა დაეფარა. დანარჩენის გადახდა ლიცენზიის მოქმედების ათწლიან ვადაში ეტაპობრივად არის ნებადართული. საინტერესოა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები; კერძოდ, ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

სამივე განხრით "იბერიას" უდავოდ პრიორიტეტული მდგომარეობა ჰქონდა. ტელეკომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში მათი მაუწყებლობა საუკეთესო ტელეაპარატურითა და გადამცემით განხორციელდება, ხოლო რაც შეეხება საჭირო თანხებს, ტელეკომპანიის საკუთარი სახსრების გარდა, "იბერიას" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფინანსურად საკმაოდ ძლიერი კომპანია "ომეგა მოტორსი" 200 ათასი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.



*კომისიამ უპირატესობა "იბერიას" მიანიჭა.*

"ფაზისი" კი, რომელსაც, მართალია, მაუწყებლობის ათწლიანი სტაჟი აქვს, მაგრამ ორი წელია არ ფუნქციონირებს, თანაც ხანძარმა, რომელიც ფოთის ტელევიზიის შენობას გაუჩნდა (თუ გაუჩინეს - სამართალდამცავ ორგანოებს ეს ჯერაც არ გაურკვევიათ), აპარატურის უდიდესი ნაწილი გაანადგურა, ასეთი სპონსორებით ვერ დაიკვეხნის. "ფაზისის" წარმომადგენლების განცხადებით, ქალაქ ფოთის მერია და საკრებულო ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეხმარება მას და გარანტად უდგება გართიანებული ქართული ბანკიდან 125 ათასი ლარის ოდენობის კრედიტის აღებაში, თანაც ვალდებულებას იღებს საპროცენტო თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფაროს.

ასეთი გახლდათ კონკურსში მონაწილეთა მახასიათებლები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე, რომლის მოვალეობასაც ისევ ვახტანგ აბაშიძე ასრულებს, იმთავითვე აცხადებდა, რომ **"ხარისხიანი პროდუქციის მისაღებად, სამწუხაროდ, გადამწყვეტ პოზიციას ფინანსები განსაზღვრავს".**

უნდა აღინიშნოს, რომ მარეგულირებელმა კომისიამ ხანგრძლივი თათბირის შედეგად ორივე კონკურსანტს თანაბარი ქულები მიანიჭა. რის შემდეგაც, განსაზღვრული წესის შესაბამისად, აუქციონი გაიმართა. აუქციონზე სამაუწყებლო ლიცენზიის საწყისი ფასი 30 000 ლარიდან 750 000 ლარამდე ავიდა და ამ თანხით მაუწყებლობის უფლება ტელეკომპანია "იბერიამ" მოიპოვა.

## მოკლედ

### ფინანსთა სამინისტრო 2004 წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტში მარტში შეიტანს

გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის დავით სალარიძის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრო 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტში, სავარაუდოდ, მარტის თვეში შეიტანს. სალარიძის თქმით, პროექტის მიღების ყველა კონსტიტუციური ვადა დარღვეულია, რადგან ის პარლამენტს დეკემბერში უნდა მიეღო. სალარიძე ვარაუდობს, რომ პარლამენტი ბიუჯეტს ერთი თვის მსჯელობის შემდეგ მიიღებს. 2004 წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში ძველი მთავრობის მიერ ყველა წესის დაცვით იყო შეტანილი, თუმცა ახალმა მთავრობამ პროექტი გაიწვია. ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ძველი მთავრობის მიერ დაწერილ ბიუჯეტს არაფერი ჰქონდა საერთო არსებულ რეალობასთან. **ინტერ-პრესი**

### ნავთობსადენზე სამუშაოები აღდგა

გუშინ, დილიდან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე სამშენებლო სამუშაოები განახლდა. მუშებმა გაფიცვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც კონტრაქტორი დათანხმდა, რომ მათ მოთხოვნებს შეასრულებდა. გაფიცულებს საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირებისა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ხელმძღვანელებმა დაუჭირეს მხარი და სამშენებლო კონტრაქტორ კომპანია "პეტროფაგთან" მოლაპარაკებებში ჩაერთვნენ. კონტრაქტორი მუშებს ხელფასის გაზრდას დაჰპირდა. შეგახსენებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა ექვსი დღის წინ რამდენიმე მონაკვეთზე შეჩერდა. თავდაპირველად, გაფიცვა რუსთავში, მილების ეზოს მშენებლობაზე დასაქმებულმა მუშებმა დაიწყეს. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ჯანდარას, თეთრი წყაროსა და მარნეულის მონაკვეთებზე დასაქმებული მუშები. ისინი ხელფასების გაზრდას, მივლინების თანხების სრულად გაცემას და ქართული ადმინისტრაციის შეცვლას ითხოვდნენ. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე პარასკევს გამართული ვაჭრობის შედეგებით, ეროვნული ვალუტის კურსი 2,0905 ლარით განისაზღვრა. შიდა სავალუტო ბაზარზე დოლარის შესყიდვის კურსი - 2,0950 ლარს, ხოლო გაყიდვის კურსი 2,10 ლარს გაუტოლდა. 20 დეკემბრიდან ძალაშია ლარის შემდეგი კურსი უცხოური ვალუტის მიმართ: 1 ევრო - 2, 5977 ლარი; 1 რუსული რუბლი - 0, 0715 ლარი, 1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი - 3, 7048 ლარი. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, 11.45 საათზე, ავარიულად გამოირთო "ალავერდის" 220-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი, რის გამოც სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდა. ავარიის მიზეზი ძლიერი ქარი იყო. "მომხდარის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა ვაკის, საბურთალოსა და მთაწმინდის რაიონებს, თუმცა ავარიიდან ერთ საათში, ელექტროსისტემაში სქემის გადალაგების შემდეგ, გამორთული რაიონები სრულად დაიტვირთა. ავარიის მიზეზის დადგენისთანავე ჩვენმა ტექნიკურმა პერსონალმა მისი აღდგენა შეძლო და სომხეთიდან 60 მეგავატის სიმძლავრის იმპორტი ისევ დაიწყო," - განაცხადეს "თელასში". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საახალწლოდ თბილის-მოსკოვის მიმართულებით დამატებითი ავიარეისებია დაგეგმილი. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ცნობით, ეს გადაწყვეტილება ამ დღეებში მგზავრთა ნაკადის მკვეთრი ზრდით არის გამოწვეული. თბილისი-მოსკოვის თითო რეისს ყოველდღიურად ქართული კომპანია "აირზენა" და სამი რუსული ავიაკომპანია ასრულებენ. "აირზენა" 27, 28 და 30 დეკემბერს ამ მიმართულებით ორ-ორ დამატებით რეისს შეასრულებს. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ რუსეთის ავიაკომპანიებიდან დამატებითი რეისების დანიშვნაზე განაცხადები მათ ჯერ არ მიუღიათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვებზე ახალი ნებართვები გაიცემა და ამ მიზნით კონკურსი გაისად, წლის ბოლოს ჩატარდება. საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციაში ამისთვის უკვე ემზადებიან. ნებართვების გაცემის ახალი ფორმა და პროცედურები "სამეწარმეო საქმიანობაზე ნებართვისა და ლიცენზიის გაცემის შესახებ" კანონში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა. ახალი კანონით მოთხოვნები უფრო გამკაცრდა როგორც გადამზიდავების, ისე ავტოსადგურების მიმართ. ამის მიზანია სფეროში აღრიცხვიანობის მოწესრიგება და "ჩრდილოვანი სექტორის" წილის შემცირება. აღურიცხავი რეისებით ქვეყნის ბიუჯეტი შემოსავლების დიდ ნაწილს კარგავს. ახალი კანონის თანახმად, მოთხოვნები იზრდება მგზავრთა გადაზიდვების უსაფრთხოებისა და კომფორტულობის უზრუნველყოფისადმი; ამიტომაც გადამზიდავი ფირმები იძულებულნი იქნებიან ავტოპარკი განაახლონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ყველა სახის ტრანსპორტის მიერ გადაზიდული ტვირთისა და გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა წლეულს, იანვარ-ნოემბერში, შარშანდელთან შედარებით გაიზარდა. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ცნობით, წელს, 11 თვეში, სატრანსპორტო საშუალებების მიერ გადატანილია 36,9 მილიონი ტონა ტვირთი, რაც შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 9,2 პროცენტით მეტია. წლის ბოლომდე გეგმავენ ამ მაჩვენებლის 41 მილიონ ტონამდე გაზრდას. **მედია-ნიუსი**

მოკლედ

### აზერბაიჯანის გაზი თურქეთისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს

კასპიის ზღვის აუზის საკითხებში ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველს სტივენ მანს, თურქეთში ვიზიტისას, შეხვედრები ჰქონდა თურქეთის ენერგეტიკის სამინისტროში.

ენერგეტიკის სამინისტროში გამართულ შეხვედრებზე ბუშის პირადმა მრჩეველმა სტივენ მანმა თურქეთის მხარეს მოუწოდა, ირანის გაზის ნაცვლად, აზერბაიჯანის გაზით დაინტერესდეს.

"შეხვედრაზე თურქეთის მხარეს ვუთხარი, რომ აუცილებელია, პრიორიტეტი მიენიჭოს შაჰდენიზის პროექტს. ასევე საუბარი მქონდა აშშ-ს პოლიტიკაზე ირანთან მიმართებაში," - განაცხადა მანმა ჟურნალისტებთან საუბრისას. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ თითქოსდა "ნავთობი საკმარისი არ არის", მანმა ასეთი კომენტარი გააკეთა: "პირიქით, აზერბაიჯანის ნავთობი საკმარისზე მეტიცაა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ნავთობი მილსადენს შეავსებს."

მანის განცხადებით, აზერბაიჯანის გაზი ირანის გაზზე გაცილებით იაფია. "შაჰდენიზის პროექტის განხორციელებით აზერბაიჯანი და საქართველოც გარკვეულ სარგებელს ნახავენ," - განაცხადა მანმა.

სტივენ მანის ვარაუდით, 2020 წელს ამერიკას 45 პროცენტით მეტი გაზი დასჭირდება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი 2005 წლისთვის დასრულდება. შაჰდენიზის გაზსადენი 2006 წლისთვის ექსპლუატაციაში შევა.

### თურქეთი და უზბეკეთი შერიგდნენ

თურქეთის პრემიერ-მინისტრი აგრძელებს ვიზიტს უზბეკეთში. ერდოგანმა და კარიმოვმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს ტერორიზმთან ბრძოლის, სავიზო საკითხებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

ვიზიტის დასაწყისში გაიმართა კარიმოვისა და ერდოგანის ერთი-ერთზე შეხვედრა, რის შემდეგაც დელეგაციები გაფართოებული შემადგენლობებით შეხვდნენ ერთმანეთს.

შეხვედრის შემდეგ კარიმოვმა განაცხადა, რომ ისევ გააგზავნის ოფიცრებს თურქეთის სამხედრო სასწავლებლებში მოსამზადებლად. თურქეთში გაიგზავნებიან, აგრეთვე, უზბეკი პილოტებიც, რათა ამერიკული გამანადგურებლის, F-16-ის მართვას დაეუფლონ.

კარიმოვს თურქეთში თავისი სამხედროები 1999 წლის შემდეგ აღარ გაუგზავნია. 1998 წელს უზბეკეთის პრეზიდენტზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, სიკვდილს გადარჩენილმა პრეზიდენტმა თურქეთი თავდამსხმელების მფარველობაში დაადანაშაულა. ბუნებრივია, ამ განცხადების შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობები საკმაოდ დაიძაბა.

ამ ვიზიტის დროს კი ანკარა და ტაშკენტი შერიგდნენ. "უზბეკეთის უსაფრთხოება თურქეთის უსაფრთხოებაა," – განაცხადა ერდოგანმა. "ეს განცხადება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია," – სტუმარს თავაზიანობაში არ ჩამორჩა კარიმოვიც.

### იაპონია სარაკეტო ფარის შექმნას აპირებს

გუშინ, ოფიციალურმა ტოკიომ განაცხადა, რომ იაპონია ამერიკისაგან სარაკეტო თავდაცვის სისტემის შეძენას აპირებს. კონტრაქტი, რომლის ღირებულებაც 6,5 მილიარდ დოლარია, "პატრიოტ-3" სარაკეტო სისტემების შესყიდვას და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა "ეგიდის" მოდერნიზაციას მოიცავს.

სარაკეტო თავდაცვის სისტემის შექმნა იაპონიამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტების გამოცდა დაიწყო. ხუთი წლის წინ ერთი ასეთი რაკეტა იაპონიის თავზე აფეთქდა.

ტოკიო აცხადებს, რომ 2005 წლისათვის აპირებს, თავის თავდაცვით პოლიტიკას მთლიანად გადახედოს.

მართალია, იაპონია აცხადებს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა მხოლოდ თავდაცვით მიზნებს ემსახურება, მისი მეზობლები, რომელთაც მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონური ოკუპაცია ჯერ არ დავიწყებიათ, ტოკიოში მიმდინარე პროცესებს შეშფოთებით ადევნებენ თვალს.

# ორშაბათს ჯინჯიჩის პროცესი იწყება



REUTERS

ზორან ჯინჯიჩის დაკრძალვის პროცესია.



ჯინჯიჩის მკვლელი

ორშაბათს სერბეთში პრემიერ ზორან ჯინჯიჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა პროცესი იწყება. სასამართლოს წინაშე ათობით ეჭვმიტანილი წარდგება, თუმცა მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი, მაფიოზი-პოლიციელი ჯერაც იმალება.

პროცესის დაწყება სულ რამდენიმე დღით უსწრებს წინ 28 დეკემბერს დანიშნულ საყოველთაო არჩევნებს, რომელშიც ჯინჯიჩის მოკავშირეები ულტრანაციონალისტების წინააღმდეგ გამოდიან.

ჯინჯიჩმა ნაციონალისტების უკმაყოფილება იმით გამოიწვია, რომ ჰააგის ტრიბუნალს გადასცა სერბიის ყოფილი პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი. ჯინჯიჩის მკვლელობაში მთავარი ეჭვმიტანილი, საიდუმლო პოლიციის მაღალი რანგის ყოფილი ოფიცერი, მილორად ლუკოვიჩი 9 თვეა, იმალება.

ლუკოვიჩს, რომელიც ადრე მილოშევიჩის მიერ შექმნილ საგანგებო დანიშნულების რაზმს "წითელ ბერეტებს" ხელმძღვანელობდა, პროცესზე მისი ოჯახის მიერ დაქირავებული ადვოკატები დაიცავენ.

ლუკოვიჩის გარდა, დაუსწრებლად გაასამართლებენ კიდევ 14 ადამიანს. 21 ეჭვმიტანილი სასამართლო პროცესს დაესწრება.

ეჭვმიტანილთა ადვოკატები აცხადებენ, რომ პროცესზე ნამდვილი იურიდიული ომი დაიწყება. "სერბიის მოსახლეობა იმსახურებს, რომ იცოდეს, ვინ მოკლა მისი პრემიერ-მინისტრი."

გამოძიება ამტკიცებს, რომ ორგანიზებულმა ბანდებმა ჯინჯიჩი სერბიის მთავრობის დამხობის მიზნით მოკლეს. ამ საქმეში მათი მოკავშირე სწორედ ხსენებული ელიტარული ქვედანაყოფი "წითელი ბერეტები" იყო. შეთქმულების კოდური სახელწოდება იყო "შეაჩერეთ ჰააგა". სერბების ერთი ნაწილი გაერო-სა და, მთლიანად, საერთაშორისო საზოგადოებას ანტი-სერბულ განწყობაში ადანაშაულებენ. შეთქმულებს სწორედ მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ.

ჯინჯიჩი 12 მარტს, მთავრობის სასახლის წინ სნაიპერმა მოჰკლა. მთავრობამ მკვლელობას სწრაფი და რადიკალური პასუხი გასცა. გამოცხადდა 40-დღიანი საგანგებო მდგომარეობა, რომლის განმავლობაშიც 11 ათასი ადამიანი დააპატიმრეს. ცხადია, მათი უმრავლესობა მალევე გაათავისუფლეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ პოლიციასა და ორგანიზებულ დამნაშავეობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. იუგოსლავიის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების დროს, კონტრაბანდის საშუალებით ორივე მხარემ უზარმაზარი სიმდიდრე დააგროვა.

შეთქმულთა უმრავლესობა ცნობილ ზემუნის ბანდას ეკუთვნოდა. ეს დაჯგუფება მილიონებს ნარკოტიკებით ვაჭრობით შოულობდა. გამოძიების მტკიცებით, მათ ჯინჯიჩის მოკვლა მას შემდეგ ჩაიფიქრეს, რაც მთავრობამ ამ ბანდის განადგურება გადაწყვიტა.

მარტის ბოლოს პოლიციამ დაპატიმრებისადმი წინააღმდეგობის გაწევისას მოკლა ზემუნის ბანდის ორი ხელმძღვანელი სპასოევიჩი და ლუკოვიჩი.

"არავისთვის ყოფილა საიდუმლო, რომ მილოშევიჩის დროს როგორც პოლიცია, ისე, განსაკუთრებით, უსაფრთხოების სამსახურები თავიდან ბოლომდე კრიმინალიზებული იყვნენ. ახალმა მთავრობამ მემკვიდრეობით მძიმე ვითარება მიიღო," – ამბობს სერბი ჟურნალისტი ანასტასიევიჩი.

ჯინჯიჩის მკვლელობის შემდეგ სერბიაში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები ჩიხში შევიდა. მისმა მოკავშირეებმა ერთიანობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. იმის გამო, რომ პარლამენტში უმრავლესობა აღარ არსებობდა, მთავრობა იძულებული გახდა, რიგგარეშე არჩევნები დაენიშნა.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მოწმობს, რომ რაც უფრო იწელება ტრანზიციის პროცესი, მით უფრო მტკივნეული ხდება იგი მოსახლეობისათვის და მით უფრო იზრდება ნაციონალისტური პარტიების მხარდამჭერთა რიცხვი. თუმცა, დემოკრატებს არჩევნებში გამარჯვების შანსი ჯერ კიდევ აქვთ.

*როიტერი*

### ირანი რუსეთსა და სომხეთთან ენერგეტიკულ თანამშრომლობას აღრმავებს

მოსკოვში იუწყებიან, რომ მომავალი წლიდან რუსეთ-ირანს შორის დაიწყება მოლაპარაკებები ბუშერის ატომური ელექტროსადგურის მეორე ბლოკის მშენებლობის შესახებ. თეირანის მხრიდან, როგორც ჩანს, ამგვარი წინადადება უკვე არსებობს და ჯერი ახლა რუსებზეა. აღსანიშნავია, რომ პირველ ბლოკს ასევე რუსები აშენებენ და, გეგმით, იგი 2004 წელს უნდა შესულიყო მწყობრში. თუმცა, ტექნიკური მიზეზების გამო ეს, ალბათ, ვერ მოხერხდება. რუსეთ-ირანის თანამშრომლობა შეშფოთებას იწვევს აშშ-ში. ვაშინგტონი შიშობს, რომ ბუშერის ატომური ელსადგურის ტექნოლოგია ბირთვული იარაღის დასამზადებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული. ხუთშაბათს ირანმა, საერთაშორისო ზეწოლის შემდეგ, ხელი მოაწერა ატომური იარაღის გავრცელების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების დამატებით პროტოკოლს, რის საფუძველზეც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ირანის ბირთვული პროგრამების შეუზღუდავი ინსპექტირების უფლება მიეცემა.

პარალელურად, ამ დღეებში სომხეთში ირანელ ექსპერტთა დელეგაციას ელიან, რომელიც ირანიდან სომხეთში გაზსადენის მშენებლობის საკითხებს განიხილავს. ამ შეხვედრის შემდეგ უკვე პროექტის კონკრეტული დეტალები გახდება ცნობილი. ირან-სომხეთის გაზსადენის მშენებლობის საკითხი ორი წლის წინ, პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანის ირანში ვიზიტის დროს გადაწყდა. თავდაპირველი დაგეგმარების მიხედვით, გაზსადენის მთლიანი სიგრძე 141 კმ იქნება, ხოლო გამტარუნარიანობა 1,5 მლნ კუბური მეტრი დღეში. გაზსადენით შესაძლებელი იქნება თურქმენული გაზის ტრანზიტის განხორციელებაც. პროექტის საერთო ღირებულება, ჯერჯერობით, 120 მლნ დოლარად ფასდება. სომხეთი ბუნებრივ აირს დღემდე რუსეთიდან, საქართველოს გავლით იღებს. ამასთან, საკითხავია, თუ რამდენად ეყოფა ირანს საკუთარი რესურსები სომხეთის მოსამარაგებლად. ახლახან ირანმა დროებით შეწყვიტა თურქეთის გაზით მომარაგება, რის უმთავრეს მიზეზადაც თეირანში ზამთრის პირობებში გაზრდილ შიდა მოხმარებას ასახელებენ.

### ბულგარეთი თანახმაა, აშშ სამხედრო ბაზას უმასპინძლოს

ბულგარეთის პარლამენტმა გუშინ მიიღო საგანგებო დეკლარაცია, რომლითაც მხარი დაუჭირა მთავრობის განზრახვას, ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზა განთავსდეს. კონსულტაციები ამის თაობაზე აშშ-სთან და ნატო-ს სხვა ქვეყნებთან უკვე მიმდინარეობს. ამ თვის დასაწყისში ამერიკული სამხედრო დელეგაცია ათამდე ევროპულ ქვეყანას ესტუმრა და ახალი სამხედრო სტრატეგია წარუდგინა, რომელიც დასავლეთ ევროპაში ამერიკული სამხედრო ბაზების დახურვასა და აღმოსავლეთით მათ გადანაცვლებას ითვალისწინებს. სამხედროები აცხადებენ, რომ რაკი დასავლეთ ევროპას არავითარი სამხედრო საფრთხე არ ემუქრება, იქ ამერიკული ბაზების ყოფნაც მიზანშეუწონელია.

ბულგარეთი და მისი მეზობელი რუმინეთი ნატო-ში მომავალ წელს შედიან. ორივე ქვეყანამ ერაყის ომის დროს ამერიკულ ავიაციას თავისი საჰაერო სივრცე გაუხსნა. ამერიკული თვითმფრინავები საწვავის შესავსებად ბულგარეთში, საფაროვოს ავიაბაზაზე სხდებოდნენ.

სამხედრო ბაზების გახსნის შესახებ სოფიასა და ბუქარესტთან კონსულტაციები აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, დუგლას ფიტმა გასულ კვირას დაიწყო. ექსპერტები ამბობენ, რომ ბალკანეთზე სამხედრო ბაზების მნიშვნელობა, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთთან მათი სიახლოვით განისაზღვრება. ბულგარეთსა და რუმინეთს კი ისინი საგრძნობ ეკონომიკურ სარგებელსაც ჰპირდება. მოლაპარაკებათა შემდეგი რაუნდი ამ საკითხზე იანვარში გაიმართება.

# რას შეცვლის რუსეთი მეზობლებთან ურთიერთობებში?

პირველი გვერდიდან

საბოლოო შედეგები წინასწარი მონაცემებისაგან დიდად არ განსხვავდება და, ამდენად, ძალაში რჩება ყველა ის შეფასება, რომელიც არჩევნების დასრულებისთანავე გამოითქვა. პუტინი ერთპიროვნული მმართველი გახდა და მისი ძალაუფლება ახლა რუსეთის ისტორიისათვის კარგად ნაცნობი "ვლასტიტელების" თვითმპყრობელობას უტოლდება. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ის ფაქტი, რომ რუსეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი მხარს უჭერს "ძლიერი მმართველის" იდეას და მას "რუსეთის ოდინდელი ძლიერების" დაბრუნებას უკავშირებს. მართალია, მოსახლეობის მეორე ნახევარს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ამ ფაქტის მიღმა ხელისუფლების მიმართ პროტესტის ფორმა კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ პოსტსაბჭოურ სივრცეში საკმაოდ გავრცელებული პოლიტიკური ნიჰილიზმი. ანუ, მოსახლეობის ეს სეგმენტიც, პრინციპში, იგივე იდეებს იზიარებს, უბრალოდ, მათი განხორციელების იმედი არა აქვს.



REUTERS

ვლადიმირ პუტინი

გამოითქვა ვარაუდი, რომ პუტინი თავის თვითმპყრობელობას ქვეყნის "ვესტერნიზაციისათვის" გამოიყენებს, ანუ საბჭოური ტოტალიტარიზმიდან დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლა პუტინის ავტორიტარული შუალედის გავლით მოხდება. თუმცა, სკეპტიკოსები აღნიშნავენ, რომ პუტინის უკან მდგომი ძალები, რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში არსებული ძალთა ბალანსი და გაბატონებული პოლიტიკური იდეები მოვლენათა ამგვარი განვითარების შანსებს მინიმუმამდე ამცირებს.

საინტერესოა, თუ რა გავლენას მოახდენს პუტინის ძალაუფლების კონსოლიდაცია მის საგარეო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით კი - მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხშირად საუბრობდნენ რუსეთში არსებულ სხვადასხვა ძალებსა თუ სახელმწიფო ინსტიტუტებზე, რომლებიც საგარეო პოლიტიკის სფეროში კერძო, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ინტერესებს უწევენ ლობირებას. უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ამ ქვეყნის შიგნით არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების, ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფების და, ხშირად, საზოგადოებრივი აზრის მონაწილეობით ყალიბდება და ამ მხრივ, ვერც რუსეთი იქნება გამონაკლისი. შესაბამისად, ისმის კითხვა, თუ როგორი იქნება რუსეთის საგარეო პოლიტიკა იმ პირობებში, როცა რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ნაციონალისტურ-შოვინისტური, დერჟავნიკული იდეების მატარებელი სუბიექტები (განსაკუთრებით, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, "როდინა") სჭარბობენ და მათ მოსახლეობის ფართო ფენებიც უჭერს მხარს. პარადოქსია, რომ რუსულ დემოკრატიას დღეს გუშაგად ზიუგანოვის კომპარტია უდგას. თუმცა, საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი, მეზობლებთან მიმართებაში, ისინიც, ალბათ, ხელისუფლებასთან იქნებიან უნისონში. დუმის არჩევნების შემდეგ მალევე გაჩნდა კითხვა, თუ როგორ აპირებს პუტინი მისი "დასავლური ორიენტაციის" პარლამენტში გაძლიერებულ ნაციონალისტ-შოვინისტებთან შეთანხმებას. პუტინმა ხუთშაბათს გამართულ სამსაათიან ინტერვიუში აღნიშნა, რომ იგი მხარს უჭერს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას და არ აპირებს სეპარატისტული რეგიონების რუსეთის ფედერაციაში მიღებას. ალბათ, ყველას სურს, რომ ირწმუნოს რუსეთის პრეზიდენტის, თუმცა, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ მოსკოვს სეპარატისტებისთვის მხარი ოფიციალურად არც ადრე დაუჭერია.

დსთ-ს საკითხთა ექსპერტი, იგორ ტორბაკოვი მიიჩნევს, რომ დუმის არჩევნების შემდეგ მიღებული პოლიტიკური ლანდშაფტი რუსეთის პოლიტიკას პოსტსაბჭოურ რეგიონში უფრო აგრესიულს გახდის. მისი თქმით, დუმაში გასული ყველა პარტია, სხვადასხვა დონით, "ეტატისტური და ნაციონალისტური" იდეების მატარებელია, ანუ ძლიერ (შიგნით და გარეთ) სახელმწიფოს უჭერს მხარს. მემარჯვენე ორიენტაციის ლიბერალების მარცხი, ერთი მხრივ, ტაქტიკური შეცდომებით იყო განპირობებული, რადგან მათ ვერ მოახერხეს გაერთიანება და მოსახლეობისათვის ახალი სახეების მიწოდება. მეორე მხრივ, როგორც თავად რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, "არჩევნებმა რუსეთის მოსახლეობის ფსიქოლოგიური განწყობა აჩვენა". რუსეთის ტრადიციულ-ქარიზმატულ პოლიტიკურ კულტურაში ჯერ კიდევ არ ჯდება დასავლური ტიპის ლიბერალური დემოკრატია. მით უფრო, რომ ეს იდეები ელცინის ქაოსური დემოკრატიის პირობებში კლანურ მმართველობასთან, ძარცვასა და საგარეო პრესტიჟის ვარდნასთან ასოცირდებოდა.

როგორც მიმომხილველი ვიტალი ტრეტიაკოვი მიუთითებს, არჩევნებში მოსახლეობამ აჩვენა, რომ მას რუსეთის ოდინდელი ძლიერების დაბრუნება სურს და ამაში, პირველ ყოვლისა, პოსტსაბჭოური სივრცის რეინტეგრაცია იგულისხმება. "დერჟავნიკობა დღევანდელ რუსეთში წამყვანი იდეოლოგიაა," – ასკვნის იგი. ასეთ პირობებში ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთის პოლიტიკა პოსტსაბჭოური სივრცის მიმართ უფრო მკაცრი გახდება. ეს განსაკუთრებით პოსტსაბჭოური სივრცის ე.წ. სამხრეთ ფლანგს – სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას ეხება, რადგან ამ სივრცეში ბოლო დროს აშკარად გააქტიურდა აშშ. ვაშინგტონმა 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, სამხედრო ბაზები შექმნა ცენტრალურ აზიაში. საქართველოში, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში, ამერიკელი ინსტრუქტორები იმყოფებიან, ხოლო აზერბაიჯანში უახლოეს მომავალში ამერიკის მობილურ ჯგუფებს შეიძლება სამხედრო ბაზები გადაეცეს. ვაშინგტონის საფინანსო და პოლიტიკურ-სამხედრო რესურსები აშკარად აღემატება რუსეთისას. მოსკოვი აქამდე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის მხარდაჭერით ვაჭრობდა. იყო საუბარი, რომ ამერიკელები ავღანეთსა თუ ერაყში რუსეთის მხარდაჭერის სანაცვლოდ მოსკოვს, სულ მცირე, ჩეჩნეთში დაუჭერდნენ მხარს, ხოლო, კრემლში იმის იმედიც ჰქონდათ, რომ ვაშინგტონი პოსტსაბჭოური სივრცის რეინტეგრაციაზეც დახუჭავდა თვალს. თუმცა, ცივი ომისდროინდელი გაცვლა-გამოცვლა რომ არ შედგებოდა, იქიდანაც ჩანდა, რომ მსოფლიოს მარტოსულ ჰეგემონს მოსკოვის მხარდაჭერა, უბრალოდ რომ ვთქვათ, არაფერში სჭირდებოდა. სამხედრო თუ სადაზვერვო ოპერაციების წარმოების ტექნოლოგიებში ვაშინგტონს არათუ მოსკოვის, არამედ ნატო-ს წევრი ქვეყნების თანადგომაც კი არაფერში დასჭირვებია. ერთადერთი, რაც რუსეთს ვაშინგტონისთვის შეეძლო შეეთავაზებინა, გაერო-ს უშიშროების საბჭოში მისი ხმა იყო. თუმცა, ერაყის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ვაშინგტონში გაერო-ს ცივი ომის რელიქტად უფრო აღიქვამენ და მას მხოლოდ post factum აყენებენ საქმის კურსში.

ასე რომ, აშშ-რუსეთის პაექრობის შემთხვევაში, მოსკოვის შანსები, თითქოსდა, ძალზე მცირეა. თუმცა, მოკოვის მხარესაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ადგილობრივ მოსახლეობასა და მმართველ ელიტასთან ფასეულობითი ნათესაობა. ბალტიისპირეთის გამოკლებით, პოსტსაბჭოურ სივრცეში საბჭოურ ტოტალიტარიზმს პოსტსაბჭოური ავტორიტარიზმი ჩაენაცვლა. პოსტსაბჭოთა ლიდერებს, რომლებიც, ძირითადად, ძველი ნომენკლატურის წარმომადგენლები არიან, უბრალოდ, არ ესმით, რას ნიშნავს დასავლური ტიპის საზოგადოება და სახელმწიფო და დასავლურად მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს გარე ფასადს რთავენ. ამდენად, მათთვის ამერიკასთან თანამშრომლობა მხოლოდ იმდენადაა მიმზიდველი, რამდენ ხანსაც ვაშინგტონი მათ საფინანსო რესურსებით ამარაგებს, მაგრამ არ კითხულობს, თუ რას ხმარდება ეს რესურსები. პოსტსაბჭოური ელიტები ბრწყინვალედ უგებენ ერთმანეთს. დსთ-ს დამკვირვებელთა კომისია ხომ ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში ყველა სახის არჩევნებს მუდამ უმაღლეს შეფასებას აძლევს, მაშინ, როცა საერთაშორისო თანამეგობრობა უამრავ დარღვევაზე საუბრობს. სწორედ ეს ელიტები არიან მოსკოვის უმთავრესი დასაყრდენი, რადგან, აშშ-სგან შესაბამისი ზეწოლის შემთხვევაში, ისინი კვლავაც კრემლისაკენ იბრუნებენ პირს. თანაც მოსკოვი უფრო "სტაბილური" ხდება და "მაგალითს" აჩვენებს სხვებს, როგორ უნდა ტარდებოდეს საპარლამენტო არჩევნები. პოსტსაბჭოური ლიდერებიც ფიქრობენ, რომ ისინიც "სწორ გზაზე" არიან.

რუსეთის მთავარ მეტოქეს, ამ ლოგიკით, ის ქვეყანა თუ ქვეყნები წარმოადგენს, სადაც დასავლურმა ფასეულობებმა ფასადს მიღმა შეაღწიეს და რეალურ მოვლენად იქცნენ. საქართველოში განვითარებული პროცესები ამგვარი განვითარების პრეცედენტს ქმნის. საქართველოში ახალი ხელისუფლების წარმატება შეიძლება "გადამდები" აღმოჩნდეს სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისა და, სავსებით შესაძლებელია, თავად რუსეთისათვის. 2 ნოემბრის არჩევნების წინ რუსეთის პრესაში ნაციონალისტურად განწყობილი ძალები წერდნენ, რომ, თუმც შევარდნაძე მათ გულზე არ ეხატებოდათ, მაგრამ მაინც მის წარმატებას უჭერდნენ მხარს, რადგან ოპოზიციის წარმატების შემთხვევაში, საქართველოს სათავეში მოვიდოდნენ არა მხოლოდ "ფორმალურად", არამედ "რეალურად" პროდასავლური ძალები. ამდენად, გასაგებია, თუ რატომაა აშშ-სა და მთლიანად, დასავლეთის მოლოდინი და მხარდაჭერა საქართველოს მიმართ ასე დიდი. დასავლეთს სურს დაადასტუროს, რომ ბოლო დროს გავრცელებული ნიჰილიზმი პოსტსაბჭოურ სივრცეში ლიბერალური დემოკრატიის წარმატების შესაძლებლობის შესახებ, რეალობას არ შეესაბამება.

რუსეთი, განსაკუთრებით კი, ნაციონალისტურ-შოვინისტური ძალების მომძლავრების პირობებში, ამგვარი რეჟიმების წარმატებას შეეწინააღმდეგება. როგორც რუსი ექსპერტი პაველ ფელგენჰაუერი აღნიშნავს, რუსეთის მთავრობა, ალბათ, უფრო მეტი გულმოდგინებით შეეცდება მისი მომხრე რეჟიმების გაძლიერებასა და მათ დასუსტებას, ვისაც პოსტსაბჭოური სივრცის განვითარებაზე სხვა, მოსკოვისაგან განსხვავებული შეხედულებები აქვთ.

# „რა კარგია, ერთმანეთი რომ ვიპოვეთ"



ნიკო ლომოური: "აღტაცებული ვარ თქვენი ნამუშევრებით"

ეკა გაბარაია

19 დეკემბერს - ნიკოლოზობის დღესასწაულზე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა ძალიან ლამაზი და საინტერესო შეხვედრა მოაწყვეს მზრუნველობამოკლებულ ორმოცამდე ბავშვს. ეს პატარა აქცია მთლიანად მიეძღვნა ნიკო ფიროსმანის შემოქმედებას.

მუზეუმის ფოიეში გამოფენილი იყო ფიროსმანის თემებზე შექმნილი ბავშვების ნახატები; მათ ქართველი პოეტების მიერ ფიროსმანზე დაწერილი ლექსებიც წაიკითხეს. "მეთევზე", "ყარაჩოღელები", "აქტრისა მარგარიტა", "ირემი", "თავადების ქეიფი", "ქალი კათხა ლუდით"... ეს გახლავთ არასრული სია იმ ნახატებისა, რომლებიც ბავშვებმა თავისებურად აღიქვეს და დახატეს. ყველაფერმა ძალიან თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. **"აღტაცებული ვარ თქვენი ნამუშევრებით",** - განუცხადა პატარებს მუზეუმის დირექტორმა ნოდარ ლომოურმა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, უკვე დიდი ხანია, არსებობს ხელოვნების მოყვარულ მოსწავლეთა კლუბი "კენტავრი", რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი გახლავთ ქალბატონი ცისანა კუხიანიძე. კლუბს, უკვე ორი წელია, დიდი მეგობრობა აკავშირებს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა თავშესაფრებთან - "ბელორბი" და "სოციალური თერაპიის ცენტრი", რომელსაც ცენტრი "ბავშვი და გარემო" (ხელმძღვანელი ნანა იაშვილი) კურირებს. ისინი ერთობლივად აწყობენ შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან, დადიან ექსკურსიებზე, მუზეუმებში და სპექტაკლებზე, მართავენ სპორტულ შეჯიბრებებს. როდესაც ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, ქალბატონმა ცისანამ პატარებს შთაბეჭდილებების წიგნში ჩაუწერა: " რა კარგია, ერთმანეთი რომ ვიპოვეთ". ეს ფრაზა მას შემდეგ კლუბ "კენტავრის" და თავშესაფრის ბავშვებისათვის ერთგვარ დევიზად იქცა. ამ რამდენიმე წლის წინ ფიროსმანის თემებზე შექმნილი ბავშვების ნახატების გამოფენა მოეწყო ფიროსმანის მუზეუმში, სადაც, რასაკვირველია, დაპატიჟებულნი იყვნენ ქალბატონი ცისანა და კლუბის წევრებიც. სწორედ მაშინ დაიბადა მსგავსი აქციის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამართვის იდეა. **"ეს ბავშვები ნამდვილად ძლიერები არიან,** - ამბობს ქალბატონი ცისანა კუხიანიძე, - **ეს ის ბავშვები არიან, რომლებმაც, თავიანთი მანსაცლებლობის მიუხედავად, ნიჭი და ტალანტი შეინარჩუნეს. ეს ის ბავშვები არიან, რომლებიც ქუჩაში მაოხრეებად არ იქცნენ".** დღეს ისინი ფიროსმანის თავისუფლებაზე ხატავენ და საკუთარ ნამუშევრებით ამაყობენ.

ასეთი იყო ნიკოლოზობის ხელოვნების მუზეუმში, რომელიც თავშესაფრის ბავშვებმა ყოველთვის ძალიან თბილად და კარგად გაახსენდებათ. ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე კი, ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის პატარ-პატარა დღესასწაულების მოწყობას ახერხებენ.

# „ქვეყანაზე ბოროტება გამქრალიყო"...

*"ყოველი გოგონა და ბიჭუნა თავისუფალი და თანასწორი იბადება - თავისი ღირსებითა და უფლებებით. ამიტომ, დისკრიმანაციისა და აკრძალვების ყველა ფორმა, რომელიც ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, უნდა აღმოიფხვრას," - წერია გაერო-ს რეზოლუციის ტექსტში. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას. რამდენიმე წელია, ეს პროცესი საქართველოშიც დაიწყო. ამის კიდევ ერთი დასტური იყო მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გუშინ გამართული ნახევარსაათიანი კონცერტი.*

ლელა მარგიანი

"მუსიკის მოყვარულთა ინტეგრირებული ჯგუფის" საშობაო-საახალწლო კონცერტი დღის სამ საათზე უნდა დაწყებულიყო. ჩვენი მისვლისას ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტში როიალის გვერდით შეკრებილიყვნენ კონცერტის მონაწილენი და მათი სტუმრები - დედები, და-ძმები, სოციალური თერაპიის სახლის ახალგაზრდები. სტუმართა ნაწილი ქუჩაში შექმნილი სამანქანო "საცობის" გამო იგვიანებდა. ამით "დრო იხელთა" სოციალური თერაპიის სახლის ბინადარმა ქეთი მუსელიანმა, რომელიც შესანიშნავად უკრავს როიალზე და კლასიკური მუსიკის რამდენიმე მცირე ნაწარმოები ააჟღერა. ამასობაში დაგვიანებული სტუმრები - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა კოალიციის, ჰოლანდიური საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის, "ჟენევის ინიციატივა - ფსიქიატრიაში," წევრები და "წითელი ჯვრის" წარმომადგენლები მოვიდნენ და კონცერტიც დაიწყო.

ინტეგრირებული ჯგუფის წევრი თხუთმეტი ბავშვი გატაცებით მღეროდა ქართულ და რუსულ სიმღერებს. უნარშეზღუდული ბავშვები ემოციებს ვერ იკავებდნენ, სიმღერის დროს სახე უბრწყინავდათ და უხაროდათ, რომ დეიდები და ბიძიები მათ მოსასმენად იყვნენ მოსულები. ტელეკამერის წინ ყოფნაც ძალიან მოსწონდათ.

ცნობილი სიმღერების შემდეგ ბავშვებმა დიდი ხალისით შეასრულეს ორი თანატოლის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ნიკა მელქაძის და თიკა რეხვიაშვილის ლექსებზე მათივე მუსიკის მასწავლებლის სალომე ხმიადაშვილის დაწერილი სიმღერები - "ლამაზი ზღაპარი" და "ახალი წელი".

კონცერტის დამთავრების შემდეგ ინტეგრირებული ჯგუფის სულისჩამდგმელმა, არასამთავრობო ორგანიზაცია "მშობელთა ხმის" ხელმძღვანელმა, თეონა ყაჭეიშვილმა თქვა, რომ მან, თავად უნარშეზღუდული ბავშვის დედამ, სამი წლის წინ დააფუძნა ორგანიზაცია. როგორც მან თქვა, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, თანადგომა კი ჯერჯერობით - ნაკლებად. თეონამ აღნიშნა, რომ მას ძალიან კარგად ესმის ასეთი ოჯახების პრობლემები, იცის, რომ "უნარშეზღუდულ ბავშვებს სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ყველაზე მეტად თანატოლების თანადგომა, მათთან ხშირი ურთიერთობა სჭირდებათ".

სწორედ ამიტომ შეიქმნა "მუსიკისმოყვარულთა ინტეგრირებული ჯგუფი", რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველაზე კარგ საშუალებად ორგანიზაციის წევრებს სიმღერა და მუსიკა მიაჩნიათ. "ოდითგანვე ქართველი კაცი სიმღერაში გამოხატავდა თავისი სულის სათქმელს, "- ამბობენ ისინი.

"კონცერტზე ბავშვების მიერ შესრულებული ერთი ცნობილი სიმღერისა არ იყოს, იმედი გვაქვს, ქვეყანაზე, მართლაც, მალე გაქრება ბოროტება და ყველა ბავშვი ბედნიერი იქნება," - გვითხრა თეონა ყაჭეიშვილმა..

"საოცარია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ბავშვს მეტყველების პრობლემა აქვს, სიმღერა ძალიან უადვილდებათ. ისინი მუსიკის საშუალებით უფრო კარგად გადმოსცემენ თავიანთ გრძნობებს," - განაცხადა სალომე ხმიადაშვილმა.

13 წლის თამუნას დედამ, ქალბატონმა მაიამ გულწრფელად გვითხრა, რომ მისი შვილი ძალიან ბედნიერია იმ დროს, როდესაც იგი თავის თანატოლებთან ერთად იმყოფება – სწავლობს სიმღერებს, ხატავს. "ერთი სული აქვს სკოლიდან იმ ოთახში გავიდეს, სადაც მეცადინეობები უტარდებათ. კვირაში სამჯერ დამხმარე სკოლაში აქვთ მეცადინეობა, კვირა დღეს კი აქ, ჯანმრთელ ბავშვებთან ერთად სწავლობს სიმღერებს. ჯანმრთელი ბავშვების მშობლებისგან არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება არ გვიგვრძვნია, პირიქით, ბავშვები მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებენ უნარშეზღუდულ თანატოლებს".

კონცერტის ბოლოს ბავშვები ძალიან გაახარა სტუმრების საახალწლო საჩუქრებმა.

# თსსუ ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი ხდება

ნინო ცინცაძე

*გუშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი ბატონი ზურაბ ჟვანია და პრეზიდენტობის კანდიდატი ბატონი მიხეილ სააკაშვილი მიიწვიეს. მათ ევრო-საბჭოს სარევიზიო კომისიის დასკვნა უნდა მოესმინათ, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრირების საშუალებას მისცემს. ბატონი მიხეილისგან განსხვავებით, ქალბატონმა ნინომ და ბატონმა ზურაბმა სამედიცინო უნივერსიტეტში მისვლა მოახერხეს. როგორც თავად ამბობდნენ, ეს სტუმრობა მათთვის ორმაგად სასიამოვნო იყო იმ დაძაბული რეჟიმის ფონზე, რომელშიც მათ უწევთ მუშაობა.*



შეხვედრა "სამედიცინოს" ეზოში.

1999 წელს იტალიის ქალაქ ბოლონიაში 29 ევროპული ქვეყნის განათლების მინისტრმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელიც 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის შექმნას ითვალისწინებს. ამ დეკლარაციის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეებს საერთო ევროპული სტანდარტებისათვის შესაბამის განათლებას მისცემენ. ამის შედეგად, დეკლარაციის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა უმაღლესი განათლების დიპლომები საერთაშორისო სტატუსს შეიძენს. 1999 წელს ბოლონიის დეკლარაციას ყველა წამყვან ევროპულ ქვეყანასთან ერთად ხელი მოაწერეს ბულგარეთის, ესტონეთის, თურქეთის, ლატვიისა და რუმინეთის განათლების მინისტრებმაც. წელს, სექტემბერში დეკლარაციას რუსეთი, ლიტვა და ალბანეთიც შეუერთდნენ. სახელმწიფოებრივ დონეზე ამ პროცესში საქართველოს გაწევრიანებაზე საუბარი რამდენიმე წლის წინ დაიწყო. შემდეგ შეჩერდა... თუმცა, ჩვენ ქვეყანას ამ პროცესში ჩართვის ყველა შესაძლებლობა აქვს, რადგან ევროპული კულტურული კონვენციის წევრებიც ვართ და ჩვენთან ტასისისა და იუნესკო-ს პროგრამებიც ხორციელდება.

მართალია, სახელმწიფო დონეზე ამ პროცესში ჩართვა ვერ მოხერხდა და ჯერჯერობით ჩვენი უმაღლესების უმრავლესობა ევროპული საგანმანათლებლო სივრცის გარეთ რჩება, სამაგიეროდ, ამ პროცესში ჩვენი ქვეყნის ერთი უმაღლესი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩაერთო. კერძო ინიციატივამ და აქტიურობამ შედეგი გამოიღო. გუშინ სამედიცინო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში **პრორექტორის ზაზა ავალიანის** მიერ საჯაროდ წაკითხული დასკვნის საფუძველზე, სამედიცინო უნივერსიტეტს უფლება ეძლევა, ბოლონიის პროცესს შეუერთდეს. ეს კი ნიშნავს, რომ 2010 წლისათვის ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სტატუსი ევროპულისას უნდა უტოლდებოდეს.

სააქტო დარბაზის პრეზიდიუმში ისხდნენ: მოქმედი პრეზიდენტი - ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი - ბატონი ზურაბ ჟვანია, უნივერსიტეტის რექტორი - ბატონი რამაზ ხეცურიანი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი - ბატონი ალბერტ თავხელიძე და იუნესკო-ს სამედიცინო და საგანმანათლებლო საქმეთა კოორდინატორი ქალბატონი მარლენ ბუში. განათლების სამინისტრო მხოლოდ მსმენელის როლში გახლდათ. მინისტრის მოადგილე უმაღლესი განათლების დარგში - ბატონი გიგა მათიაშვილი დარბაზში იჯდა და წარდგენის პროცესში მონაწილეობას არ იღებდა.

გაწეული მუშაობის თაობაზე განცხადება **შინაგან სნეულებათა კათედრის პროფესორმა გაიანე სიმონიამ** გააკეთა. მან ისიც აღნიშნა, რომ წელს ესპანეთის ქალაქ გრანადაში ევროპის ვირტუალური უნივერსიტეტების დიდი ქსელი Euroface შეიქმნა. მასში სამოცი ორგანიზაცია, მათ შორის - 41 ევროპული უნივერსიტეტია გაწევრიანებული. ამ ქსელში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჩართვა გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ, ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური ცვლილებების გამო, მიიღეს გადაწყვეტილება, ქსელში საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტიც ჩაბმულიყო. ამას გარდა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხორციელდება სოკრატესის ფონდის პროექტიც, რომელიც, როგორც ცნობილია, მხოლოდ ევროპულ უმაღლესებს აფინანსებს. ამ პროექტის შედეგია 25 კომპიუტერით ინტერნეტის ქსელში ჩართული ბიბლიოთეკა, რომელიც დღეს საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს.

ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დიდი მადლობა გადაუხადა, – **"მე მესმის, რა ენერგია და ძალისხმევაა დახარჯული ამ საქმეში, თანაც იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფოსგან, დახმარება კი არა, რიგ შემთხვევებში, ხელის შეშლა ხდება."** ბატონმა ზურაბ ჟვანიამ სიმბოლოების ენაზე საუბრის მოდა გააგრძელა და აღნიშნა, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, ევროსაბჭოს დასკვნის წარდგინება წმინდა მკურნალი ნიკოლოზის ხსენების დღეს რომ დაემთხვა. **"ჩვენ დღეს სახანძრო გუნდის რეჟიმში გვიწევს მუშაობა. ჩვენი მთავარი მიზანია, გაიცეს გაუცემელი ხელფასები და პენსიები, არ გაიზარდოს პურის ფასი, არ ჩავბნელდეთ შუა იანვრიდან, არ დავუშვათ ჩვენი გუნდის წევრების ფიზიკური ლიკვიდაცია, რისი საფრთხეც დღეს რეალურად არსებობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენთვის აქ ყოფნა, მაინც, განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან სამედიცინო უნივერსიტეტმა კარი ევროპისაკენ გააღო. მის მაგალითს მომავალში უკლებლივ ყველა ორგანიზაციამ უნდა მიბაძოს. ჩვენ ვაპირებთ, უმაღლესი განათლების რეფორმის თვალსაზრისით, მომავალი წელი გარდამტეხი იყოს. შესაბამისად, ის გამოცდილება, რომელიც თქვენ ამ წლების განმავლობაში ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრაციისას დააგროვეთ, ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება",** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ რამაზ ხეცურიანს მთავრობისათვის სამედიცინო უნივერსიტეტისათვის დაფინანსების გაზრდა არ მოუთხოვია, – **"როდესაც პარლამენტში უმაღლესი განათლების კანონი იქნება მიღებული, აუცილებლად უნდა შეიცვალოს მიდგომა დაფინანსების მიმართ. სახელმწიფო, უმაღლესებს კი არა, სტუდენტებს უნდა აფინანსებდეს, თანაც იმდენ სტუდენტს, რამდენიც სახელმწიფოს სჭირდება. ასეთი სტუდენტი შემდეგ თავისი ვაუჩერით იმ უმაღლესში უნდა მიდიოდეს, რომელსაც იგი აირჩევს და განათლების სურვილს იქ იკმაყოფილებდეს."**

სამედიცინო და საგანმანათლებლო სფეროებში არსებულ სხვა ბევრ სირთულესთან ერთად სამედიცინო უნივერსიტეტის ნომერ პირველ პრობლემად უნივერსიტეტის კლინიკის (ყოფილი რესპუბლიკიური საავადმყოფო) რეორგანიზაციის საკითხი რჩება. უცხოელი ექსპერტებიც და უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც ერთხმად აცხადებენ, რომ, ეფექტურად მოქმედი კლინიკის გარეშე, სამედიცინო უმაღლესის არსებობა წარმოუდგენელია. რესპუბლიკური საავადმყოფო უნივერსიტეტს კი გადაეცა, მაგრამ, სამაგიეროდ, კლინიკას ყველანაირი დაფინანსება შეუწყდა. შენობის ნახევარზე მეტი ლტოლვილებს აქვთ დაკავებული. სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები ჩივიან, რომ მთავრობამ ყველა გრანტი, რომელიც კი გააჩნდა, "ღუდუშაურის კლინიკას" გადასცა, უნივერსიტეტის კლინიკა კი უყურადღებოდ დატოვა. თუ ევროპულ სივრცეში გაწევრიანება უნივერსიტეტმა სახელმწიფოს დახმარების გარეშე მოახერხა, კლინიკის რეორგანიზაცია მთავრობის დახმარების გარეშე ვერ მოხერხდება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამ დახმარების იმედს იტოვებს.

# „ერთი ოჯახი ვართ და ერთად უნდა ვიმუშაოთ"

## სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალი ხელმძღვანელი მუშაობას შეუდგა

მაკა ჭაიანი

*პირველი, ვინც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალ გენერალურ დირექტორს ლადო ჭიპაშვილს სამსახურთან დახვდა, გულზე აბრაჩამოკიდებული, დახმარების მთხოვნელი მოხუცი ქალბატონი იყო. ასეთი – გაჭირვებული, უქონელი და დახმარების მაძიებელი საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრია - იმაზე მეტი, ვიდრე ათი წლის განმავლობაში დამოუკიდებლობის გზით მავალ და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დახმარებით განებივრებულ ქვეყანას შეეფერება. სწორედ ისინი - ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე მოწყვლადი ფენის წარმომადგენლები არიან ამიერიდან ლადო ჭიპაშვილის ყოველდღიური ზრუნვის საგანი.*



ლადო ჭიპაშვილი ამირან გამყრელიძემ წარადგინა.

მემკვიდრეობას, რომელიც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალ გენერალურ დირექტორს ხვდება, მომხიბვლელს ნამდვილად ვერ უწოდებ. მარტო წლევანდელმა გარღვევამ ფონდის დაფინანსებაში 50 მილიონი ლარი შეადგინა. ამას ყველაზე რთული – წლების განმავლობაში დაგროვილი 80-მილიონიანი საპენსიო დავალიანება ემატება. პრობლემებია, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, სამედიცინო და დასაქმების პროგრამების დაფინანსების თვალსაზრისით. მოკლედ, საქმე უამრავია. ერთია, ამ პრობლემების საფუძველთა საფუძველი - ფონდისთვის თანხების მობილიზება ისევ საგადასახადო სამსახურების ხელში რჩება.

პროფესიით ექიმი ლადო ჭიპაშვილი ბოლო მოწვევის პარლამენტში ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ჯანდაცვის ქვეკომიტეტს უძღვებოდა. მის ხელში სოციალური მიმართულების ოცამდე კანონპროექტს გაუვლია; პენსიონერთა უფლებების დასაცავად იუსტიციის სამინისტროში გამართულ შიმშილობაშიც იღებდა მონაწილეობას, შესაბამისად, სფეროში მოსაგვარებელი საკითხები მისთვის უცხო არ არის. მიუხედავად ამისა, ახალმა გენერალურმა დირექტორმა ვითარების შესასწავლად რამდენიმე დღე ითხოვა და საქმიანი თათბირის ჩატარება მომავალი კვირისთვის გადადო. იქამდე რაიმე კონკრეტული განცხადების გაკეთებას იგი არც მედიის წინაშე აპირებს.

**"მოვდივარ იმისთვის, რომ ეს ფონდი იყოს ერთ-ერთი ყველაზე ჯანსაღი საჯარო სამსახური და ამისთვის ყველა აქაურ ჯანსაღ ძალას დავეყრდნობი,** - მხოლოდ ეს განაცხადა ლადო ჭიპაშვილმა გუშინ, სამსახურის ხელმძღვანელების წინაშე წარდგენისას, - **ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და ერთად უნდა ვიმუშაოთ."** ერთი წევრი ამ ოჯახს უკვე გამოაკლდა - გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დავით გოდერძიშვილმა გუშინ, ახალი ხელმძღვანელის გამოსვლისთანავე გააკეთა განცხადება გადადგომის თაობაზე. **"სამი წელი ამ სფეროში მუშაობა დიდი ტვირთი იყო ჩემთვის და დღეს ამ ტვირთს სიამოვნებით ვიხსნი,"** – თქვა მან.

გენერალურ დირექტორთან ერთად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა სამსახურების ხელმძღვანელებს გუშინ სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს ახალი თავმჯდომარე ზაზა სოფრომაძეც წარუდგინა. ამირან გამყრელიძის გარდა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით, მათ სრულ თანადგომას დაჰპირდნენ მაია ნადირაძე და კოტე კემულარია: **"თქვენზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის დამშვიდება, რადგან "ვარდების რევოლუცია," დიდწილად, სწორედ გაუსაძლისმა სოციალურმა მდგომარეობამ გამოიწვია. გქონდეთ ჩვენი მხარდაჭერის იმედი."**

# ლევან მეტრეველი ელიტური საავადმყოფოების გაუქმებას გვპირდება

*საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი ლევან მეტრეველი ჯანდაცვის სისტემის ხელმძღვანელებისა და სისტემაში მიმდინარე პროცესების კრიტიკას არ ივიწყებს. გუშინდელი პრესკონფერენციაც სამედიცინო დაწესებულებების რესტრუქტურიზაციის თემას მიუძღვნა. იგი ეკონომიკის სამინისტროსა და იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ხელმძღვანელობას სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს.*

ნანა ქადაგიშვილი

**"მიუხედავად იმისა, რომ საოლქო სასამართლომ სამედიცინო დაწესებულებების რესტრუქტურიზაციის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მინისტრის ბრძანება შეაჩერა, საავადმყოფოების პრივატიზებისა და მედიკოსების შემცირების პროცესი კვლავ გრძელდება. ამ ამბავს უყურადღებოდ არ დავტოვებთ - დარღვევებს ჩვენი კომისია და კონტროლის პალატა შეამოწმებენ,"** - აცხადებს მეტრეველი.

როგორც ცნობილია, სამედიცინო დაწესებულებების რესტრუქტურიზაციის შესახებ პრეზიდენტის 2000 წელს გამოცემული ბრძანებულება და ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება საოლქო სასამართლომ გასული წლის ნოემბერში შეაჩერა. როგორც ლევან მეტრეველი აცადებს, ამჟამად ეს პროცესი მთელ საქართველოში შეჩერებულია. **"მე და კობა დავითაშვილმა წელს, აპრილში, საავადმყოფოების რესტრუქტურიზაციის შეჩერების მოთხოვნით, საოლქო სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ. სასამართლო საქმეს უკვე იხილავს, ამიტომაც რესტრუქტურიზაციის პროცესი ავტომატურად შეჩერდა. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც არ სრულდება. წელს აგვისტოში გაზეთ "მესაკუთრეში" რესპუბლიკური საავადმყოფოს ორი ფლიგელის პრივატიზებაზე აუქციონი გამოცხადდა, ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ხელმძღვანელობა კი თანამშრომლებს ავიწროებს და სამსახურიდან ითხოვს,"** – აცხადებს მეტრეველი. საკუთარი განცხადების დასტურად, მას პრესკონფერენციაზე საავადმყოფოს თანამშრომლებიც ჰყავდა მიწვეული. **"როგორ შეიძლება ერთი განყოფილების ორ სხვადასხვა თანამშრომელს ერთსა და იმავე თანამდებობაზე განსხვავებული ხელფასი ჰქონდეს. ვინც უწყვეტი სამედიცინო განათლების სემინარებს ესწრებოდა, მას ხელფასი 400 ლარზე მეტი აქვს, დანარჩენებს კი - 32 ლარი. აღნიშნული სემინარები ფასიანია და მასზე დასწრება ყველამ ვერ შევძელით,"** – განაცხადეს ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების ექიმებმა.

საავადმყოფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თინათინ ცომაია კი განმარტავს, რომ ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა ირაკლი სასანიამ უწყვეტი სამედიცინო განათლების მეთოდი საავადმყოფოში ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დანერგა. **"მედიცინაში მუდმივად უამრავი რამ იცვლება. ექიმი ყოველი ახალი ინფორმაციის მიღებას, ბუნებრივია, ვერ მოახერხებს. უწყვეტი სამედიცინო განათლების სემინარები ამიტომაც არსებობს და, რაც მთავარია - უფასოდ. ირაკლი სასანიამ ყველა პირობა შექმნა იმისთვის, რომ საავადმყოფოში მომსახურების მაღალი ხარისხი იყოს. უწყვეტი სამედიცინო განათლების სემინარების მოსმენისა და თემების დამუშავების შემდეგ საავადმყოფოს თანამშრომლები შესაბამის ქულებს იღებდნენ და ხელფასიც ამ ქულების მიხედვით ენიშნებოდათ. ბუნებრივია, ვინც უკეთ მუშაობს, თანამდებობაც უკეთესი ექნება და ხელფასსაც მეტს მიიღებს,"** – აცხადებს ცომაია.

პრესკონფერენციის ბოლოს ლევან მეტრეველი აკადემიკოს შოთა ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრსაც გადასწვდა და დასძინა, - ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვალთ, სახელმწიფო პროგრამები ყველა საავადმყოფოზე თანაბრად გადანაწილდება და ელიტური საავადმყოფოები აღარ იქნებაო.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დედაქალაქში საახალწლო დღესასწაულისთვის მზადება უკვე დაწყებულია. წინა წლებისგან განსხვავებით, დიდი ნაძვის ხე, თავისუფლების მოედნის გარდა, ფილარმონიასა და სპორტის სასახლესთანაც დაიდგმება.

რუსთაველის გამზირი მოირთვება ილუმინაციებით. ახალი წლის ღამეს ფუნიკულიორიდან მერიის შენობასა და რესპუბლიკის მოედანზე ფეიერვერკებს გაუშვებენ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ბებოშვილის თქმით, საახალწლო ღონისძიებებს, ძირითადად, კერძო სექტორი დააფინანსებს, თბილისის ბიუჯეტის წვლილი კი მინიმალური იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე თბილისის განათლების სისტემის განვითარების პროგრამას მიიღებენ. როგორც განათლების სისტემის დემოკრატიზაციისა და განვითარების პროგრამის დირექტორმა ალუდა გოგლიჩიძემ განაცხადა, აღნიშნული პროგრამა სამოქალაქო ინსტიტუტების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

აღნიშნული პროგრამის შესახებ ჯერ თბილისის საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფი იმსჯელებს, შემდეგ კი საკრებულო დაამტკიცებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის 52 საგანმანათლებლო ობიექტზე, სადაც რამდენიმე დღის წინათ, ცენტრალური გათბობის სისტემის საქვაბეების ტექნიკური გაუმართაობის გამო, პრობლემები შეიქმნა, ამჟამად სტაბილური მდგომარეობაა. საქვაბეების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება ქართულ-ბერძნული ფირმა „სოლისის" ხელმძღვანელობამ ითავა - 46 ობიექტი უკვე აღადგინა, ორიც ახლა რემონტდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში რუსთაველის გამზირზე ხეთა გადაბელვითი სამუშაოები ამ დღეებში დასრულდება, ხოლო გადაბელილი ტოტები სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და სკოლებს გადაეცემა. როგორც თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ჩაჩანიძემ განაცხადა, გადაბელილი ტოტების ცენტრალური გამზირიდან გატანა, დაუფინანსებლობის გამო, დროულად ვერ ხერხდება, თუმცა ტოტების ნაწილი რამდენიმე სკოლასა და ოჯახს უკვე გადაეცა.

რუსთაველის გამზირზე სამუშაოების დასრულების შემდეგ, წლის ბოლომდე მსგავსი სამუშაოები ჭავჭავაძის გამზირზეც ჩატარდება.

რუსთაველის გამზირზე ხეთა გადაბელვაზე 24 ათასი ლარი დაიხარჯა, ხოლო ჭავჭავაძის გამზირზე იგივე სამუშაოებს, სავარაუდოდ, 40 ათას ლარამდე დასჭირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ გამთენიისას დიღმის მასივს წყალმომარაგება შეუწყდა. შპს „თბილწყალკანალის" ინფორმაციით, ავარია დიღმის მასივის მეხუთე კვარტალში მოხდა, სადაც 250-მილიმეტრიანი მილი დაზიანდა. სარემონტო სამუშაოები დილიდანვე დაიწყო და რამდენიმე საათში დასრულდა. დიღმის მასივის წყალმომარაგება აღდგა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ცნობით, საახალწლოდ, თბილის-მოსკოვის მიმართულებით, დამატებითი ავიარეისებია დაგეგმილი. ეს გადაწყვეტილება ამ დღეებში მგზავრთა ნაკადის მკვეთრი ზრდით არის გამოწვეული. თბილისი-მოსკოვის თითო რეისს ყოველდღიურად ასრულებენ ქართული კომპანია „აირზენა" და სამი რუსული გადამზიდველი ავიაკომპანია. „აირზენა" 27, 28 და 30 დეკემბერს ამ მიმართულებით ორ-ორ რეისსაც შეასრულებს.

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ რუსეთის ავიაკომპანიებიდან დამატებითი რეისების დანიშვნაზე განაცხადები ჯერ არ მიუღიათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სამცხე-ჯავახეთი.** გუშინ საქართველო-სომხეთის საზღვრის სამცხე-ჯავახეთის მონაკვეთზე ნაძვის ხეებით დატვირთული ორი სატვირთო მანქანა დააკავეს. როგორც „მწვანეთა პარტიის" ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, მანქანებს ტვირთი სომხეთში გადაჰქონდათ. მისივე თქმით, საქართველოს მწვანეების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა მობილური ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებში ადგილზე შეამოწმებენ, ხდება თუ არა ნაძვის ხეების უკანონო ჭრა და საქართველოდან გატანა.

საქართველოდან ნაძვის ხეები, ძირითადად, სომხეთსა და აზერბაიჯანში გააქვთ. სომხეთში ნაძვის ხის ღირებულება 30-40 აშშ დოლარამდე მერყეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვეტერინარიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ირაკლი მოსიძის ცნობით, დეზერტირების ბაზრობის ლაბორატორიაში დიდი რაოდენობით ტრიქინელოზით დაავადებული ღორის ხორცი აღმოჩნდა. 102 კილოგრამი ღორის ხორცი ბაზრობაზე სარეალიზაციოდ გატანამდე ვეტერინარიის სამსახურის ლაბორატორიაში შეამოწმეს. პროდუქტის უვარგისობა სწორედ იქ დადგინდა და შესაბამის სამარხში განადგურდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წინასაახალწლო ბაზრობებზე პროდუქტის ვარგისიანობის შემოწმებას სანიტარული და ვეტერინარული სამსახურები 25 დეკემბრიდან დაიწყებენ. როგორც სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ჯულული ახვლედიანი აცხადებს, ყველა იმ პროდუქტს, რომელიც შესაბამის სანიტარულ ნორმებს არ დაექვემდებარება, რეალიზაციიდან ამოიღებენ და გაანადგურებენ.

ვეტერინარიის სამსახური ხორცპროდუქტების ვარგისიანობას მკაცრად გააკონტროლებს ბაზრებსა და გარე ვაჭრობების ტერიტორიებზეც. 29, 30 და 31 დეკემბერს კი სანიტარული სამსახური ქალაქში სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგებაზე იზრუნებს. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინწინ კუკიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს მამაკაცის გვამი. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოში განაცხადეს, გარდაცვლილის ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. პოლიციელთა განმარტებით, გარდაცვლილს პირველადი გარეგნული დათვალიერებისას ძალადობის კვალი არ აღმოაჩნდა. ვარაუდობენ, რომ იგი დაბალი ტემპერატურის გამო გაიყინა. მამაკაცი საშუალო ასაკის იქნებოდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მოსამართლეთა ასოციაციის" ოფისში დღეს ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა სამართლისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის ფსიქოლოგიურ ტრენინგს ჩაატარებს. აღნიშნული შეხვედრა სამართლისა და მასმედიის წარმომადგენელთა ურთიერთობის გაღრმავება-დახვეწას შეუწყობს ხელს. შეხვედრას მოსამართლეები, ფსიქოლოგები და პრესის წარმომადგენლები დაესწრებიან. ნანა ჩაჩუას მოხსენების შემდეგ ღონისძიების მონაწილეთა შორის დისკუსია გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2004 წლის პირველი იანვრიდან შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობა 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ყაზარმულ რეჟიმზე გადავა. შინაგანი ჯარების ადმინისტრაციის განცხადებით, ნებისმიერი ასეთი სახის ღონისძიების დროს სამხედრო ქვედანაყოფების ყაზარმულ მდგომარეობაზე გადასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა. შეგახსენებთ, რომ შინაგანი ჯარები ამჟამად საგანგებო რეჟიმში მუშაობს, რაც პირველ იანვრამდე გაგრძელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველო-სომხეთის საზღვრის სამცხე-ჯავახეთის მონაკვეთზე დააკავეს ნაძვის ხეებით დატვირთული ორი სატვირთო მანქანა. "მწვანეთა პარტიის" ლიდერის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, მანქანებს ტვირთი სომხეთში გადაჰქონდათ. მისივე თქმით, საქართველოს მწვანეების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა მობილური ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებში, ადგილზე შეამოწმებენ, ხდება თუ არა ნაძვის ხეების უკანონო ჭრა და საქართველოდან გატანა. საქართველოდან ნაძვის ხეების გატანა ძირითადად სომხეთსა და აზერბაიჯანში ხდება. სომხეთში ნაძვის ხის ღირებულება 30-40 აშშ დოლარამდე მერყეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სადახლოს ბაზრის დირექტორის თამაზ სუპატაშვილისათვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების კანონიერებას თბილისის საოლქო სასამართლო 22 დეკემბერს განიხილავს. 11 დეკემბერს სუპატაშვილი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს და პატიმრობა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ 14 დეკემბერს შეუფარდა. სუპატაშვილის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი შიშობს, რომ შს მინისტრის გიორგი ბარამიძის ზემოქმედების გამო სასამართლო კანონიერ გადაწყვეტილებას არ მიიღებს და მის დაცვის ქვეშ მყოფს პატიმრობაში დატოვებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით პოლიციელებმა გუშინწინ, თბილისში, არაყიშვილის ქუჩაზე, 26 წლის გიორგი კობერიძე დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, კობერიძეს აღმოაჩნდა უცხოური წარმოების მაყუჩიანი პისტოლეტი 10 საბრძოლო ვაზნით. კობერიძე პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. მის მიმართ საქმე თბილისის ვაკე - საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახურმა აღძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეგრეთ წოდებული ქურდული ტრადიციების მიმდევარი, წარსულში ნასამართლევი, 24 წლის დავით დარჩიანი და მისი თანატოლი ალექსანდრე გევორქიანი პოლიციელებმა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის განმეორებით დააკავეს.

ისინი ნაკროტიკის მოხმარებისათვის ადმინისტრაციული წესით უკვე დასჯილები არიან და ამჟამად მათი სისხლის სამართლის პასუხიმგებლობის საკითხი დადგა. კანონი ამ შემთხვევაში ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 23 წლის ოთარ ჯინდოევი თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, 17 დეკემბრის საღამოს ჩადენილი ძარცვის გამო დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ჯინდოევმა მოქალაქე ქეთევან გეგენავას ხელჩანთა გასტაცა. ძარცვაში ეჭმიტანილი შემთხვევიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. ჯინდოევი წარსულში ნასამართლევია. მის მიმართ აღძრულ საქმეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისელ მსახიობებს ბომბების არ სჯერათ და ანონიმურ ზარებზე რეაგირებას არ ახდენენ. გუშინ, დახლოებით 13.00 საათზე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში ანონიმური ზარი გაისმა. უცნობმა დასს თეატრში ბომბის არსებობის შესახებ აუწყა. თეატრის თანამშრომლებმა შენობა არ დატოვეს და არც სამართალდამცველებს მიმართეს დახმარებისათვის. ქუთაისელი მსახიობების განცხადებით, მათ არ სცალიათ ყველა არასერიოზულ ზარზე მოახდინონ რეაგირება. მათი თქმით, გასულ კვირას, თეატრში, ორი ანალოგიური, ანონიმური ზარი იყო, მაგრამ არაფერი აფეთქებულა. **ინტერ-პრესი**

# ვალერი ხაბურძანია მოსკოვში პუტინსაც შეხვდა

პირველი გვერდიდან

საქმე ისაა, რომ, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს უშიშროების მინისტრი მოსკოვში "სპეცდავალებით" ჩავიდა. ФСБ-ს დირექტორმა ნიკოლაი პატრუშევმა, რომელიც ვლადიმირ პუტინის "მარჯვენა ხელის" სტატუსით სარგებლობს და რომელთანაც ვალერი ხაბურძანიას რამდენიმე წელია კოლეგიალური ურთიერთობა აკავშირებს, ქართველ მინისტრს პროტექტორობა გაუწია. ვალერი ხაბურძანიამ ნიადაგი ჯერ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან - მედვედევთან მოსინჯა. მისი მოსკოვური ვიზიტი კი საბოლოოდ პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრით დასრულდა. საქმეში ჩახედულთა თქმით, ეს ვიზიტი ძველ, ტრადიციულ "ჩარჩოში არ იჯდა". იგი ორი სახელმწიფოს შორის ახალი, ცივილიზებული ურთიერთობისთვის საფუძვლის მომზადებას ისახავდა მიზნად, ანუ საქართველოს სპეცსამსახურის ხელმძღვანელის შეხვედრა პრეზიდენტ პუტინთან ორი ქვეყნის – რუსეთისა და საქართველოს შორის მომავალ კონსტრუქციულ თანამშრომლობას ემსახურებოდა და არ გულისხმობდა მკვეთრად დასავლური ორიენტაციის საქართველოს მთავრობის "ჩრდილოურ თამაშს". მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, ვალერი ხაბურძანიამ რუსეთის ხელისუფლებას ძველი სქემის აღდგენა შესთავაზა და თანხმობაც მიიღო. საუბარია, თავის დროზე პანკისის პრობლემის მოგვარებისას ამოქმედებული სქემის - სამი ქვეყნის (ამერიკის, რუსეთისა და საქართველოს) სპეცსამსახურების ერთობლივ მუშაობაზე.

სწორედ ამ გეგმის საფუძველზე მოხდა თავის დროზე აშშ-ს მიერ ძებნილი ცნობილი ტერორისტების პანკისში დაკავება. ჩვენი ინფორმაციით, პანკისის ხეობაში დაკავებულ არაბ ტერორისტთა შორის ერთ-ერთი ბინ ლადენის უახლესი გარემოცვის წევრი აბუ ჰაფსი იყო. აბუ ჰაფსი ალი-ისლამ ელი-მაშრი, "ალ ქაიდას" პოლიტიკური კომიტეტის წევრი, მომწამვლელ ნივთიერებათა დამზადგურებს იარაღი - ნივთიერება რიცინი, პანკისში დაკავების შემდეგ აშშ-ს სპეცსამსახურებმა ჩაიბარეს და ის ამჟამად გუანტანამოს ბანაკში იმყოფება. ჩვენი მონაცემებით, აბუ ჰაფსი იგივე ამჟეტი, პანკისის ხეობაში არსებული საწვრთნელი ბაზის "ა სალამ"-ის სამსართულიან ჰოსპიტალს მეთაურობდა. ბინ ლადენის უახლოესი გარემოცვის წევრი პირადად მისგან ღებულობდა სოლიდურ დაფინანსებას. პანკისის ხეობაში, გარდა აბუ ჰაფსისა, აშშ-ს სპეცსამსახურებთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, სხვა ტერორისტებიც დააკავეს და ისინიც გუანტანამოს ბანაკში გადაიყვანეს.



*ხაბურძანია რუსი კოლეგის ნიკალაი პატრუშევის პროტექტორობით პუტინს შეხვდა.*

იგივე შედეგით დასრულდა რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა. სწორედ ამ გეგმის საფუძველზე ჩატარდა ურეკისა და ლაგოდეხის სპეცოპერაციები და რუსეთის მიერ ძებნილი, საქართველოდან ექსტრადირებული ტერორისტები ლეფორტოვოს იზოლატორში აღმოჩნდნენ.

მოგვიანებით, სამეულის მიერ შეთანხმებული ეს გეგმა პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების დროს ჩავარდა.

ხაბურძანიას მოსკოვური ვიზიტის შემდეგ, როგორც ჩანს, სამი ქვეყნის სპეცსამსახურები კვლავ საერთო გეგმით ითანამშრომლებენ. ცნობილია ისიც, რომ რუსეთში ვიზიტამდე ეს საკითხი ამერიკასთან შეთანხმებული იყო, თუმცა უშიშროების სამინისტრო ვალერი ხაბურძანიას შეხვედრას პრეზიდენტ პუტინთან კვლავ ასაიდუმლოებს. **"არ ვადასტურებთ ინფორმაციას,"** – ასეთი მოკლე კომენტარი გაგვიკეთა უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა. სხვათა შორის, საქართველოს უშიშროების სამინისტრო თავის დროზე პანკისში დაკავებული ტერორისტების გუანტანამოს ბაზაზე და ლეფორტოვოს ციხეში გადაგზავნის ფაქტსაც კატეგორიულად უარყოფდა; თანაც მაშინ, როცა თავად კოლინ პაუელი და პრეზიდენტი პუტინი ამ სპეცოპერაციებისთვის მადლობებს იხდიდნენ.

ერთი სიტყვით, ვალერი ხაბურძანიას მოსკოვში ვიზიტის შედეგად საქართველოს მომავალ ხელისუფლებას საფუძველი მოუმზადდა - რუსეთის ხელისუფლება საქართველოსთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის მზად არის. რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ ის მზადაა, სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილთან ითანამშრომლოს.

# შემდეგი - აკაკი ჩხაიძე

პირველი გვერდიდან

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შს სამინისტროს საპასპორტო განყოფილებები გაძლიერებულ რეჟიმში იმუშავებენ და უფასოდ, გამარტივებული წესით გასცემენ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას.

რაც მთავარია, როგორც შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი აცხადებს, პირადობის მოწმობა მხოლოდ საკუთარი ფოტოსურათის ფასი დაგიჯდებათ. სხვა დანარჩენ ხარჯს სახელმწიფო აიღებს საკუთარ თავზე.

პირადობის მოწმობის უფასოდ აღების საშუალება ექნებათ 18 წლის ასაკს გადაცილებულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც დაკარგეს მოწმობა, ან ასეთი დოკუმენტი საერთოდ არ აუღიათ.

გარდა ამისა, პირადობის მოწმობას მიიღებენ ის მოქალაქეებიც, ვისაც 4 იანვრისთვის უსრულდებათ 18 წელი. პირადობის მოწმობის მისაღებად არანაირი პრობლემა არ შეექმნებთ იმ პირებს, რომლებმაც გამოიცვალეს საცხოვრებელი ადგილი და არ ფლობენ ახალ მისამართზე რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. ახალი პირადობის მოწმობა ექნებათ მათაც, ვის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ვადა 4 იანვრამდე გასდის.

პირადობის მოწმობის მისაღებად მოქალაქეებმა უნდა მიმართონ საცხოვრებელი ადგილის შესაბამის რეგისტრაციის სამსახურს და საპასპორტო განყოფილებებში წარადგინონ ორი ფოტოსურათი, დაბადების მოწმობა, ან მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს მიერ დამოწმებული საარქივო ამონაწერი.

რაც მთავარია, პირადობის მოწმობის მისაღებად მოქალაქე პირადად უნდა გამოცხადდეს საპასპორტო განყოფილებაში.

**"ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს საპრეზიდენტო არჩევნების სწრაფად, ხარისხიანად და ობიექტურად ჩატარებას, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება"** ,- აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი. გია ბარამიძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი პირადობის მოწმობის მიღებაში ვინმეს პრობლემა შეექმნება, შეუძლია დარეკოს შინგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე და პრობლემა მოგვარებული იქნება. "24 საათი" გთავაზობთ ცხელი ხაზის ნომრებს: 98-39-43; 99-53-40.

### დამნაშავე პოლიციელები

შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინდელ ბრიფინგზე ბოლო დღეების კრიმინალზეც ისაუბრა და კვალავ ნარკომანიის წინააღმდეგ გამოცხადებული დაუნდობელი ბრძოლის შედეგები მიმოიხილა; ოღონდ, ამჯერად დღის წესრიგში ყაყაჩოს თესლის განადგურება არ ყოფილა.

გია ბარამიძის განცხადებით, ბოლო სამ დღეში ნარკოტიკების მოხმარებისათვის შს ორგანოებიდან სამი პირი, მათ შორის ორი მაღალჩინოსანი გაათავისუფლეს. ნარკოტიკთან "კავშირისთვის " თანამდებობა დაატოვებინეს ოზურგეთის კრიმინალური პოლიციის უფროსს კახაბერ კუტუბიძეს, ოზურგეთის პოლიციის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსს შოთა სალუქვაძეს და შსს-ს რეგიონალური ინსპექციის გენერალური ინსპექციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს ინსპექტორს პაატა ცივაძეს. **"იმის მაგივრად, რომ ეს პირები თავად ებრძოდნენ უკანონობას, დანაშაულში თავადვე არიან მხილებულები"**, - აცხადებს მინისტრი.

### კიდევ ერთი რეზონანსული საქმე

გუშინდელ ბრიფინგზე ერთი ახალი ინფორმაცია გახდა ცნობილი - საქართველოდან გაუჩინარებული, შპს "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი შეფის აკაკი ჩხაიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

გია ბარამიძის განმარტებით, 2001 წლის 1 მარტს ს/ს "ჭითახევს," ბორჯომსა და შპს "საქართველოს რკინიგზას" შორის საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვით, რკინიგზას რამდენიმე თვით გადაეცა ბორჯომში მდებარე 21 მეგავატის სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგური. ანალოგიური კონტრაქტი შპს "საქართველოს რკინიგზამ" 2002 წლის მარტში სხვა სააქციო საზოგადოებასთანაც დადო და რამდენიმე თვით ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში არსებული ელექტროსადგურის კომპლექსის მართვის უფლება მიიღო.

**"მოკვლევის საფუძველზე გაირკვა, რომ "საქართველოს რკინიგზის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ და საწარმოს სხვა პირებმა "საგადასახადო კოდექსის" ნორმა დაარღვიეს. მათ საგადასახადო ორგანოებში "უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადის შესახებ" დეკლარაცია არ წარმოადგინეს და, შესაბამისად, თავი აარიდეს ბიუჯეტის კუთვნილი 135 000 ლარის გადახდას",** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

გარდა ამისა, შსს-ში არსებული მასალებით დადგინდა, რომ "საქართველოს რკინიგზამ" 2002 წლის განმავლობაში (უძრავ ქონებაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პროცესში) უკანონოდ შეამცირა დღგ, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს 353 000 ლარის ზიანი მიაყენა.

შს მინისტრის განმარტებით, შპს "საქართველოს რკინიგზას" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის აქტით დაეკისრა ბიუჯეტისთვის დაფარული თანხის 446 ათასი ლარის გადახდაც.

ერთი სიტყვით, აკაკი ჩხაიძეს რამდენიმე დღეში შინაგან საქმე-.თა სამინისტროში, დაკითხვაზე დაიბარებენ. **"შემოწმების ჩვენებათა მიხედვით, აკაკი ჩხაიძისა და სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ ადგილი ჰქონდა არაერთგზის განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდებას. იმ შემთხვევაში, თუ ჩხაიძე არ გამოცხადდება სამართალდამცველებთან, მასზე გამოცხადდება ძებნა საერთაშორისო მასშტაბით"**, - იმუქრება ბარამიძე.

### მოადგილე - პოლიტიკური პირი

რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ პეტრე ცისკარიშვილის დანიშვნის საკითხს, რომელზეც რეზოლუცია არ დაუდევს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, გია ბარამიძის თქმით: **"საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ გადაწყვეტილება უკვე მიიღო. პოზიტიურია ეს გადაწყვეტილება, თუ ნეგატიური - უახლოეს ხანში გაირკვევა. ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტრო და მასში არათუ შეიძლება, არამედ აუცილებელიც არის, იყვნენ პოლიტიკური პირები და სამოქალაქო სამსახურის წარმომადგენლები"** - ასეთი პოზიცია აქვს შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს.

### მოსალოდნელი საფრთხე

რაც შეეხება გუშინ, დილით გია ბარამიძის მიერ სახელმწიფო კანცელარიაში გაკეთებულ განცხადებას შეიარაღებული გადატრიალების მზადების შესახებ, მინისტრი არ აკონკრეტებს, ვინ გეგმავს და ემზადება გადატრიალებისთვის, თუმცა აცხადებს, რომ **"შეიარაღებულ გადატრიალებას, რომელიც მანიფესტაციების გზით უნდა დაიწყოს, პოლიტიკურად მოტივირებული ძალები მართავენ, რომლებიც ქვეყნის შიგნიდანაც და გარედანაც ფინანსდებიან. ჩვენ, პრაქტიკულად, ყველა ინფორმაციას ვფლობთ, ვიცით გადატრიალების მცდელობის ძირითადი მონაწილეები. მათ წინააღმდეგ გარკვეული ღონისძიებები უკვე ტარდება. სხვა რამის თქმის უფლება, ჯერჯერობით, არ მაქვს. ყველაფერს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მოეფინება ნათელი. რისი გამჟღავნებაც შესაძლებელი იქნება, მოსახლეობა შეიტყობს,"** - ასეთი გახლდათ შინაგან საქმეთა მინისტრის გუშინდელი ანგარიში, წარმოდგენილი მისსავე უწყებაში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე.

# ექსპრეზიდენტზე თავდამსხმელი სასამართლომ გაათავისუფლა

სულით ავადმყოფი პატიმარი ჯონ ჰინკლი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში როლანდ რეიგანზე თავდასხმის ბრალდებით იმყოფებოდა ციხეში, სასამართლომ გუშინ გაათავისუფლა. 48 წლის ჯონ ჰინკლის, დღეიდან თავისუფლად შეუძლია დატოვოს ფსიქიატრიული საავადმყოფო, მოინახულოს მშობლები და გადაადგილდეს კოლუმბიის ოლქის ტერიტორიის ფარგლებში, თუმცა, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ჰინკლის რეპორტიორებთან ურთიერთობა აეკრძალა.

"მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ ჰინკლის თავისუფლება ოლქის საზღვრებით შეზღუდა, ის საზოგადოებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს", - აცხადებს ექსპრეზიდენტის მეუღლე ნენსი რეიგანი და სასამართლოს გადაწყვეტილებას მკაცრად აკრიტიკებს. მისი თქმით, ჯონ ჰინკლიმ რეიგანზე თავდასხმა 1981 წლის მარტში განახორციელა. მან ვაშინგტონში, სასტუმრო "ჰილტონის" მახლობლად, პისტოლეტიდან რამდენჯერმე ესროლა პრეზიდენტს. თავად რეიგანი და მისი თანხმლები რამდენიმე პირი დაიჭრა. თავდამსხმელმა მაშინ თავისი ქმედება იმით ახსნა, რომ უნდოდა, მსახიობ ჯოდი ფოსტერზე შთაბეჭდილება მოეხდინა, რომელიც მას უყვარდა. ჰინკლი შეურაცხადად ცნეს და იძულებითი მკურნალობისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

# პრიმორიეს მხარეში ქართველ მძარცველთა ჯგუფი დააკავეს

ქართული ბანდა, რომელიც რუსეთში მძარცველობით საქმიანობას ეწეოდა, პრიმორიეს მხარეში, მილიციის მიერ ჩატარებული ოპერაციისას – "Вихрь-Антитеррор" დააკავეს.

ამის შესახებ პარასკევს, ვლადივასტოკში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა პრიმორიე მხარის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მილიციის უფროსმა სტანისლავ სტაროვეროვმა.

მისი თქმით, საქართველოს მკვიდრნი პრიმორსკში რეგისტრაციის გარეშე, არალეგალურად ცხოვრობდნენ.

დამნაშავეები ავტომობილებს საბურავებს უხვრეტდნენ, რითაც მანქანების მფლობელთა ყურადღება იფანტებოდა, ამ დროს კი ისინი სალონიდან ფასიან ნივთებს, დოკუმენტებსა და ფულს იპარავდნენ.

სტაროვეროვის თქმით, მილიციამ ოპერაცია "Вихрь-Антитеррор"-ი პრიმორიეს მხარეში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, "დაღესტანში ტერორისტების გამოჩენის გამო" დაიწყო.

რაც შეეხება ქართველი მძარცველების დაჯგუფებას, მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

# „მწვანე მდინარის მკვლელს" სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

ადამიანს, რომელმაც 15 წლის მანძილზე ქალაქ სიეტლის სიახლოვეს 48 ახალგაზრდა ქალი გამოასალმა სიცოცხლეს, სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. გარი რიჯვეი სიკვდილით დასჯას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ პროკურორებთან გარიგება დადო – თავის მსხვერპლთა გვამების მოძებნაში დაეხმარა გამოძიებას.

ვაშინგტონის შტატის ქალაქ ობურნის 54 წლის მკვიდრი – რიჯვეი ამერიკის ისტორიაში ყველაზე საშიში სერიული მკვლელია, მასზე მეტი ადამიანი ჯერ არავის მოუკლავს.

როდესაც მოსამართლე განაჩენს კითხულობდა, რიჯვეი (იგი ყოფილი მღებავია, მოგვიანებით პრესამ "მწვანე მდინარის მკვლელად" მონათლა, რადგან სწორედ ამ მდინარის მიდამოებში აღმოაჩინეს მისი რამდენიმე მსხვერპლის გვამი) ტიროდა. გარდა ამისა, მან ბოდიში მოიხადა მოკლულთა ახლობლების წინაშე მათთვის მიყენებული ტკივილის გამო. რაზეც მოსამართლე რიჩარდ ჯონსმა უპასუხა, რომ: **"თუ თქვენს სულში ერთი წვეთი მაინც დარჩა ემოციისა, კოშმარები არასოდეს მოგასვენებთ".**

თავად რიჯვეიმ თავის საბოლოო სიტყვაში კვლავ მოკლულთა ნათესავებს მიმართა და თქვა: **"დიდი ხნის მანძილზე ვცდილობდი, არ მომეკლა ქალები"**.

**"ძალიან ვწუხვარ, რომ ზოგიერთი ქალის გვამი ვერ იქნა ნაპოვნი. მათი სამუდამო განსასვენებელი არ უნდა გავდეს იმას, როგორიც მე მათ მივუჩინე"**, - თქვა მან.

რიჯვეის მსხვერპლთა უმეტესობა მეძავი იყო. **"ვერ ვიტან მეძავებს და თან სექსში ფულის გადახდა არ მინდოდა"**, - ასე ახსნა ათეულობით ქალის მკვლელობა განსასჯელმა.

# 23-წლიანი სასჯელი ბოსნიის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსს

ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ბოსნიელ სერბს, რომელსაც ბრალად ედება 1992 წელს მუსულმანების წამება და მკვლელობა.

საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი უფროსი დრაგან ნიკოლიჩი ტრიბუნალის პირველი "კლიენტი" იყო: მას ბრალი 1994 წელს წარუდგინეს, თუმცა მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ დააპატიმრეს. წელს, სექტემბერში კი, მას შემდეგ, რაც პროკურორი ზოგიერთი ბრალდების მოხსნაზე დაყაბულდა, თავი დამნაშავედ ცნო. მიუხედავად ამისა, ნიკოლიჩს მაინც პროკურორის მოთხოვნილ სასჯელზე ექვსი წლით მეტი მიუსაჯეს – 23 წელიწადი 15-ის ნაცვლად. მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ დრაგან ნიკოლიჩის დანაშაული იმდენად სერიოზულია, რომ მას ბრალდების მხარესთან ვერანაირი გარიგება ვერ უშველის.

ნიკოლიჩი ტყვეთა ბანაკის უფროსი იყო და, მოსამართლის თქმით, სისტემატურად დაკავებული იყო სადიზმით. **"ის პირობები, რომლებშიც სუშიცას ბანაკში ტყვეებს ამყოფებდნენ, მნიშვნელოვნად ამძიმებს ბრალდებულის დანაშაულს. არ გასულა არც ერთი დღე და არც ერთი ღამე, რომ ნიკოლიჩსა და მის თანამშრომლებს ბარბაროსობა არ ჩაედინათ",** - განაცხადა ტრიბუნალის მოსამართლემ.

აღმოსავლეთ ბოსნიაში მდებარე სუშიცას კონცლაგერში 8 ათასი მუსულმანსა და ბოსნიელი სერბების მიერ მოწყობილი ეთნიკური წმენდის სხვა მსხვერპლთ საზარელ პირობებში ამყოფებდნენ.

დრაგან ნიკოლიჩი თავდაპირველად თავს დამნაშავედ არ აღიარებდა, თუმცა მოგვიანებით, პროკურორთან გარიგების შემდეგ, ცხრა მკვლელობა, ტყვეების წამება და გაუპატიურება აღიარა.

წელს ეს უკვე მეშვიდე შემთხვევაა, როცა ჰააგის ტრიბუნალზე ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო, თუმცა ის, რომ სასამართლომ ბრალდებულს პროკურორის მოთხოვნილზე დიდი სასჯელი მიუსაჯა, მხოლოდ მეორედ მოხდა.

# დუბროვკის ტერაქტთან კავშირში ბრალდებულებს განაჩენს გამოუტანენ

ჩერკასკის სასამართლო უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს იმ სამი ბრალდებულის განაჩენს, რომლებსაც ბრალად წაყენებული აქვთ მოსკოვის თეატრალურ ცენტრში განხორციელებულ ტერაქტთან კავშირი.

განსასჯელის სკამზე სხედან რიტა ბიჯაევა, შადიდ ბორზაევი და ლუიზა დაუდოვა. წინასწარი გამოძიების მიერ შეგროვებული მასალების მიხედვით, ბიჯაევა, რომელიც ყარაჩაი-ჩერქეზეთის ქალაქ უსტ-ჯეგუტას საპასპორტო განყოფილებაში მუშაობდა, 5 ათასი რუბლის ქრთამის აღების საფასურად დათანხმდა გარდაცვლილი ადამიანის სახელზე პასპორტის გამოწერას. შემდგომში კი ეს პასპორტი ბორზაევამ და დაუდოვამ მალულად გადასცეს მოსკოვში მიმავალ, შემდგომ "ნორდ-ოსტის" ტერაქტში მონაწილე ტერორისტს. თეატრალური ცენტრის გათავისუფლების ოპერაციის დროს მოკლულ ტერორისტს ყალბი პასპორტი ჯიბეში აღმოუჩინეს.

სახელმწიფო ბრალმდებელმა განსასჯელი სამეულისთვის 14-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

# "ხუთჯვრიანი" დროშა ქართველთა სიმბოლურ აზროვნებაში

პირველი გვერდიდან

კერძოდ, საკამათოდ ქცეული დროშის კომპოზიციის უდიდესი ტრადიციულობა ქართულ ხალხურ კულტურაში, რაც ისტორიულად აპირობებს ასეთი დროშის არსებობის შესაძლებლობას. წინამდებარე წერილის მიზანი გახლავთ სწორედ ამ ტიპის მასალის მობილიზება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქართული დროშის ჯვრიანობის ტრადიციულობის გამოვლენას.

ამ პრობლემის გადაწყვეტისას პირველი და უმთავრესი არის ჯვრის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ქართველთა სიმბოლურ აზროვნებაში. ჯვარი არა მხოლოდ ქართველთათვის, არამედ ძველი მსოფლიოს მრავალი ხალხისათვის არის უპირველესი და უძველესი სიმბოლო და, თუ მაჰმადიანობის მიერ სავსებით მიზანმიმართულ აკრძალვას გამოვრიცხავთ, მის გავრცელებას ჭეშმარიტად არ გააჩნია ეთნიკური ან კულტურული საზღვრები.

ჯვარი ძველი ქვის ხანის დროიდან არის ცნობილი. ჯვრისა და ოთხკუთხედების კომბინაციები, პუნქტირები და ა.შ. უკვე ზემო მუსტიეს, მადლენისა და ორინიაკის ხანების ძეგლებზე მოწმდება. საინტერესოა, რომ ოთკუთხედებზე აღნიშნავდნენ ხოლმე ცენტრს. უზოგადესი მნიშვნელობით როგორც ჯვარი, ისე ოთხკუთხედი ან წრე სივრცის ორგანიზებული და განზოგადებული წარმოდგენის ცდას წარმოადგენს, რადგან ბუნებაში გეომეტრიული ფიგურები არ არსებობს. ასეთი რამ მხოლოდ წარმოსახვის შედეგი შეიძლება იყოს. ჯვარი ქვეყნიერების ოთხი მხარის შემოუზღუდავი სიმბოლოა, რომელიც ორიენტირებულია მზის ოთხ კულმინაციურ მდგომარეობაზე ხილულ ცაზე, ხოლო ჯვრის უსასრულო მხრების შემოზღუდვით მიიღება ოთხკუთხედი, რომელიც წრესთან ერთად შემოზღუდული სივრცის იდეას გადმოსცემს. ეს ფიგურები ამ მნიშვნელობით მოხვდნენ უძველეს პიქტოგრამებსა და სადამწერლობო სისტემებში. ამიტომ ჯვრით გახაზული ოთხკუთხედები და წრეები ფართოდაა გავრცელებული არქაულ ძეგლებზე და, როგორც ჩანს, ნიშანთა ურთიერთგანმმარტავ და ურთიერთდამაზუსტებელ ერთობლიობას წარმოადგენენ. თითოეული ეს ნიშანი უფრო მოგვიანო ხანებში, როგორც ორნამენტში, ისე სიმბოლურ აზროვნებაში, მეტ კონკრეტიზაციას განიცდის, განსაკუთრებით ჯვრით გახაზული, ან პუნქტირით შევსებული წრეები და ოთხკუთხედები, რომლებიც დასახლებული პუნქტების, საცხოვრებლისა და მოხნული ნაკვეთების სიმბოლოდ იქცევიან.

ჯვრის გეგმა ადრესამიწათმოქმედო კულტურებში გაბატონებულ კომპოზიციურ სქემას წარმოადგენს, რომლის მიხედვით ხდება როგორც სურათოვანი (მცენარეული, ანთროპომორფული, ზოომორფული ან შერეული), ისე გეომეტრიული მოტივებით შექმნილი დეკორის აგება. აღსანიშნავია, რომ კერამიკული ნაწარმის განვითარებამ და მოხატვამ მხატვართა განკარგულებაში შემოიტანა სპეციფიკური სფერული სივრცე, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ჩაკეტილი თუ შეკრული, მბრუნავი და უწყვეტი კომპოზიციების გავრცელებას და მათში როტაციული მითოსური იდეების აქცენტირებას. ყოველივე ამის ფონზე თვალშისაცემად გამოიყურება სტატიკური კომპოზიციები და ცხადი ხდება მათი საგანგებო დანიშნულება: ასეთი კომპოზიციების საშუალებით, ერთი და იმავე ელემენტებით გადმოიცემოდა ნიუანსურად განსხვავებული ვარიანტები მითოსურრელიგიური წარმოდგენებისა, რომელთა სპეციფიკა ემყარებოდა არა უწყვეტი მოძრაობის, არამედ რომელიმე ცალკე აღებული მომენტის სტატიკური ხატის საგანგებო მნიშვნელობას და ახდენდა ამ "ფოტოგრაფიული", შეჩერებული მომენტის პროკლამირებას. ამ "მომენტთაგან" ჩვენი მსჯელობისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა დეკორირებული სფერული სივრცის ოთხ ტოლ ნაწილად გაყოფა და თითოეულ სეგმენტში ერთი და იმავე სიმბოლოს (ძირითადად სოლარულის) გამოსახვის წესი, რაც ჭურჭლის კორპუსზე (სფერულ სივრცეზე) ჯვრის ბოლოებზე ოთხი სოლარული ნიშნის გამოსახვით მიღებული გამოსახულების რეალიზაციას წარმოადგენს. ოთხი სფერული ან წრიული ნიშანი ჯვრის დაბოლოებებზე, რაც ასე ფართოდაა გავრცელებული არქეოლოგიურ მასალასა და რიტუალური ნივთების აგებულებაში ხალხური ყოფიდან, ხილულ ცაზე მზის ოთხი მდგომარეობის აღმნიშვნელი ნიშანია, რასაც ზოგჯერ ორი დიამეტრალურად განლაგებული ნიშანი ენაცვლება, როგორც - ნაწილი მთელს. აღსანიშნავია, რომ ამ ნიშნებიდან, რომლებიც იდეურ სათავეს იღებენ მზის ოთხი მდგომარეობიდან მომდინარე სამყაროს ოთხკუთხოვნების შესახებ, მრავალი დამოუკიდებელი მიმართულება განვითარდა, რომელთაგან ზოგი უფრო მეტ აქტუალიზაციას შეიცავს, ზოგი უფრო ზოგადი წარმოდგენის ასახვაზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ სოლარული ნიშნები გამოისახებოდა არა აუცილებლად საკოორდინაციო ჯვრის დაბოლოებებზე, არამედ ჯვრით დანაწევრებული წრის, ან კვადრატის (მართკუთხედის) სექციებშიც, მართი კუთხით გადაკვეთილი დიამეტრებით გადახაზული წრის კვადრატებში ან ოთხკუთხედებში. ოთხივე სეგმენტში ასტრალური სიმბოლოები ქვეყნის ოთხსავე კუთხეში ცხოველმყოფელი მნათობის "სუფევას" გულისხმობდა. ასე რომ, ჯვრით ოთხად გაყოფილი ჩაკეტილი სივრცის ცალკეულ სეგმენტში ასტრალური სიმბოლოს ჩასმა ჯერ კიდევ ადრე სამიწათმოქმედო ხანიდან არის ცნობილი. ცხადია, ასეთ გამოსახულებებს დამცველი, საკრალური, აპოთროპეული მნიშვნელობა ჰქონდათ და ამის გამო გამოსახავდნენ ჭურჭლის ფსკერზე, გვერდებზე ან სახურავზე.

მასალა ამ საკითხთან დაკავშირებით უსაზღვროა, საილუსტრაციო მაგალითების მოტანა შეიძლება როგორც საქართველოსა და კავკასიის, ისე მთელი ძველი მსოფლიოს ხალხთა არქეოლოგიური კულტურებიდან. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წრით ან ოთხკუთხედით შემოზღუდული სივრცის გაყოფა ორი ურთიერთპერპენდიკულარული დიამეტრით ან დიაგონალებით ან ოთხკუთხედის ცენტრზე ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების გატარება იწყება ადრესამიწათმოქმედო კულტურებში, მაგრამ თავს ინარჩუნებს თვით თანამედროვე ყოფაშიც. დღესაც, როგორც ძველად, თითო სეგმენტში შეიძლება იყოს ჩასმული ესა თუ ის დამოუკიდებელი სიმბოლო-ნიშანი, მცირე წრე, ჯვარი და ა.შ.

ჯვარი და მისი სხვადასხვა კომბინაციები, მაგალითად სვასტიკა, დამოუკიდებლად ბოლოებზე ან მხრებს შორის დასმული სხვადასხვა ასტრალური სიმბოლოებით, ზოომორფული ან ანთროპომორფული გამოსახულებებით, წმინდად ითვლებოდა როგორც უშუალოდ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების წინ, ისე ადრექრისტიანობაში და მათ გამოსახულებებს ფართოდ ითვისებდა ამ პერიოდის ხელოვნების სხვადასხვა ფორმა. უნდა აღინიშნოს, რომ სვასტიკა, მბრუნავი ჯვარი, თავისი იდეური ტევადობის გამო, ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ფართოდ იყო გავრცელებული. უფრო მეტიც, ცნობილია ჯვარცმის ერთ-ერთი უძველესი გამოსახულება ბრიტანეთის მუზეუმიდან, სადაც თვალებგახელილი ქრისტე სვასტიკაზეა გაკრული. აქ, როგორც ჩანს, ასახულია ჯვარცმის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს აღმოცენებისა და ჩამოყალიბების ერთი კერძო მომენტი მრავალ სხვათაგან, ვიდრე ამ სიმბოლოს საყოველთაოდ მიღებული, კანონიზებული ფორმა შეიქმნებოდა. მეორე მხრივ, საინტერესოა ისიც, რომ სვასტიკამ საქართველოში საუკუნეთა მანძილზე შეინარჩუნა აპოთროპეული მნიშვნელობა. მაგალითად, რაჭაში ჩვენს დრომდე მზადდებოდა თიხის კეცები, რომელთა ფსკერზე, გამოწვამდე, ხელოსნის ხელით გამოყვანილი იყო სვასტიკა. ეს მაგალითი აშკარად ცხადყოფს ტრადიციის მდგრადობას და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც სანდო წყაროს. ჯვრისა და მისი კომბინაციების გამოსახვა სხვადასხვა, აუცილებლად დასაცავ ადგილზე, ფართოდ იყო გავრცელებული ყოფაში.

სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის ცნობილი ის გზა, თუ როგორ აითვისა ევროპულმა ქრისტიანობამ რიგი სიმბოლოებისა, რომლებიც შეიქმნა ანტიკურ თუ ელინისტურ სამყაროში. ცნობილია, რომ ანგელოსთა სახის აღმოცენებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ნიკესა და ვიქტორიას ფიგურებმა. ისიც, რომ ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე ჯვარს იყენებდა, როგორც გამარჯვების სიმბოლოს, ამ შინაარსით გამოსახავდა მას 313 წლიდან მონეტებზე და ამავე შინაარსს ანიჭებდნენ მას, როგორც ინსიგნიას. ევროპული მეცნიერება აღიარებს ქრისტიანული სიმბოლიკის ჩამოყალიბებაზე უკვე არსებულ, არაქრისტიანულ სიმბოლოთა გავლენასა და მნიშვნელობას. მაგალითად, ჯვარი ქრისტიანობაში ქრისტიანული პროპაგანდის საშუალებითა და იმპერიული ხელოვნების გზით უფრო იკიდებს ფეხს, ვიდრე ეკლესიის შიდა განვითარების შედეგად. როგორც კი ჩნდება აზრი იმის თაობაზე, რომ ქრისტე არის განსხეულებული სიმბოლო ქვეყნიერებისა, მაშინვე მის გრაფიკულ სიმბოლოდ იქცევა ტოლმხრიანი ჯვარი, თავისუფალი, ან წრით, ან კვადრატით გარემოცული. თუნდაც ისეთი, როგორსაც ვხედავთ მცხეთის ჯვრის შესასვლელზე ჯვრის ამაღლების სცენაში, სადაც ანგელოსები ამაღლებისას ზეცაში მიაცილებენ არა ქრისტეს, არამედ მის სიმბოლოს - წრეში ჩასმულ, ტოლმხრებიან ჯვარს. ისლა გვრჩება, ვირწმუნოთ, რომ ამ დროს ქრისტეს სიმბოლო იყო ტოლმხრებიანი ჯვარი, რომლის მონაწილეობა ამა თუ იმ სცენაში ან სივრცობრივ სარტყელში აღნიშნავდა თვით ქრისტეს პერსონის დამოწმებას. ამ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ ჯვარი, რადგან იგი იყო ძველი სიმბოლო ქვეყნიერების ოთხი მხარისა, უკვე ადრექრისტიანულ ხანაში იქცა ქრისტეს ნიშნად, მაშინ, როცა მათი სიმბოლური მნიშვნელობები ერთურთს სრულიად ადეკვატურ ღირებულებებად დაემთხვა. აქ, როგორც ჩანს, ასახულია თვით ქრისტიანული სიმბოლიკის განვითარებისა და კანონიკური ჩამოყალიბების ერთი ეტაპი.

როგორი შეიძლება ყოფილიყო საქართველოს მოსახლეობის რეაქცია ამ სარწმუნოებრივ ცვლილებებზე? უნდა ვიფიქროთ, რომ გაუგებრობა, ან წინააღმდეგობა უფრო მის ვერბალურად გაფორმებულ დოქტრინას შეხვდებოდა, ვინაიდან სიმბოლიზაციის ვიზუალური საშუალებები, მაგალითად, ჯვარი ან ჯვრისა და წრის კომბინაცია საკრალურ ნიშანთა უძველესი არსენალიდან იყო აღებული და მას არ შეეძლებოდა კონფლიქტი შეექმნა, ყოველ შემთხვევაში, ხალხს საქმე ექნებოდა კარგად ცნობილ სიმბოლოთა ახლებურ გააზრებასთან. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სალოცავს ჩვენში ტრადიციულად ჯვარი ეწოდება და მის დღესაწაულს კი "ჯვარობა". ყოველ შემთხვევაში, ამ ტერმინს იყენებენ დავით გურამიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ა.შ. მოგვიანებით მას, როგორც სალოცავის სახელწოდებას, ენაცვლება "ხატი", ხოლო დღეობას - "ხატობა". მე ვერ დავუჭერ მხარს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ეს შეიძლება ქრისტიანობის გავლენით მომხდარიყო. ქრისტიანობამ მხოლოდ ახალი მნიშვნელობებით დატვირთა ჯვრის უდიდესი სიმბოლიკა, ხოლო მისი გარეგნული მხარე, სახელწოდება და ამ სახელწოდების საკრალურთან დაკავშირების ტრადიცია ხალხურ სარწმუნოებებში უძველესი დროიდან უცვლელი დარჩა. ეს მოსაზრება არ არის ახალი. ყველა მკვლევარი, დაწყებული თვით ივანე ჯავახიშვილიდან, ვინც კი სერიოზულად ჩაფიქრებია ქართველთა წინაქრისტიანული სარწმუნოების პრობლემას, ყოველთვის აშკარად ხედავდა მის ნაკვალევს ისტორიაშიც და თანამედროვე ყოფაშიც.

ალბათ, ამ ტრადიციის გაღრმავებას ხელი შეუწყო ქრისტიანულმა დოქტრინამ, რომლის თანახმად, ჯვარი არის მსოფლიო, ტაძარი, ქრისტე. ადრექრისტიანობაში ეს შეხედულება განსაკუთრებით აქტუალიზებულია. მართლაც, მოგვიანებით, უკვე გვაქვს ვერბალური ფორმულები, სადაც აღნიშნული წარმოდგენა თვალნათლივ დასტურდება, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით. ახლა კი, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯვარი თავისუფალი მხრებით, არის სამყაროს, მსოფლიოს სიმბოლო, გარეშეწერილი ჯვარი კი არის ლოკალური ტერიტორიის, დასახლების, ცალკეული სახლის ნიშანი. მოგვიანებით, განვითარების გარკვეულ საფეხურზე, მასში შესაბამისად განივთდა ვრცელი, მაგრამ საზღვრული სივრცის იდეა, მაგალითად, თემის, ხევის, სახელმწიფოსი. ასეთი წარმოდგენა უსათუოდ საგულისხმებელია ისეთ ჯვრებში, რომელთა გვერდები, კვეთენ რა ოთხკუთხა შემოზღუდულ სივრცეს, გვევლინებიან მთელი ამ სივრცის მახასიათებლად. ჯვრით გამოყოფილ კვადრატებსა და თვით ჯვრის ბოლოებზე ხშირად განლაგებულია ასტრალური სიმბოლოები. აქ ჯვარი ერთგვარ საკოორდინაციო ნიშანს წარმოადგენს, რომელიც აფიქსირებს მზის ოთხ კულმინაციურ წერტილს მზის გზაზე დედამიწის გარშემო, ხოლო კვადრატებში გამოსახული მზიური ნიშნები, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქვეყნიერების ოთხ მხარეზე მზის სუფევად არის გააზრებული. მოგვიანებით, როცა სოლარული იდეა ძლიერ დაუახლოვდა ქრისტეს და მის ერთ-ერთ გამოვლინებად, "ნათელად" მოიაზრება, ცხადია, შესაძლო გახდა გრაფიკულ სიმბოლოთა ჩანაცვლება. ამიტომ კვადრატებში ჩახაზული წრეები, სფერული კოპები და სხვა ასტრალური ბუნების სიმბოლოები ჩანაცვლებულ იქნა ჯვრით. ჯვარი ამის შემდგომ გაბატონდა მთელ სივრცეზე და ამ მთელის ნაწილებზედაც. ჯვარი გამოსახავს მთელ სამყაროს, რომელსაც იგი ოთხ მხარედ ჰყოფს და თითოეულ მხარეს აღნიშნავს ცალკეული კვადრატის დამცავი მცირე ჯვრით, რომელიც ცენტრალური ჯვრის მრწამსულ დუბლირებას ახდენს და მისი ყველგანმყოფობის იდეას განასახიერებს. ამდენად, აქ უკვე რეალიზებულია ფორმულა - "ოთხის მხრივ ჯვარი სწერია", რაც უაღრესად ფართოდ არის გავრცელებული ხალხურ მეტყველებასა და მხატვრულ სიტყვიერებაში. შეიძლება მოვიტანოთ ასეთი ხალხური ლექსი, იგი გადმოგვცემს დამბადებლის "ბრძანებას", სადაც აღწერილია მისგან შექმნილი სამყაროს აგებულება, მნათობთა გაჩენა, წმინდანთა გამოჩენა-საქმიანობა. ჩვენი მსჯელობისათვის საყურადღებოა შემდეგი:

"დუნია გამიჩენავის
რჯულად ათასი გვარიო.
სამოცდსამ წმინდა გიორგი
ოთხსავ კუთხეზე ჰბრძანია,
ქრისტიანთ სალოცავადა
გამოსახული ჯვარია."

აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქვეყნის ოთხსავ კუთხეში წმინდა გიორგის სიმრავლე არის დაბრძანებული, რომელიც ქრისტიანთ სალოცავად გამოსახული ჯვრის სახისაა. წმინდა გიორგის "სახე", ანუ მისი გარეგანი ფორმა რომ "ჯვარია", ამას ამბობს მეორე ხალხური ლექსიც:

"წმინდა გიორგი გწყალობდეს,
სახე მაგისი ჯვარია."

ან კიდევ სხვა ლექსი:

"აღარ ხვიოდა დროშაი,
ლაღი გუდანის ჯვარია."

აქ უკვე დროშა არის გუდანის ჯვარის სახე. მეცნიერებაში კარგად არის ცნობილი ხევსურული დროშები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დროშას უწოდებდნენ ღვთაების, ჯვარის (სალოცავის) უდიდეს სიმბოლოს. აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ჯვარად შეიძლებოდა ჩათვლილიყო ისეთი საგანიც, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა ჯვრის სახე. საკმარისი იყო ჯვრის გამოსახულების მონაწილეობა ამ საგნის აგებულებაში, როგორც ეს დროშის შემთხვევაში გვაქვს. ხევსურთა დროშა არის ხის ტარი ჯვრისსახიანი ან შუბისწვერიანი ბუნით, რომლის ზედა ნაწილში, ბუნის ქვემოთ, მიმაგრებულია რამდენიმე ფერადი, ოთხკუთხა ფორმის ნაჭერი, "სამკადრეო". სამკადრეოს ხატის მსახური იფენდა ხელზე მაშინ, როცა ხატი//ჯვარი მას გამოეცხადებოდა მტრედის, ან ჯვრის სახით და ჯდებოდა სამკადრეოზე. ამ სამკადრეოებს შემდეგ დროშაზე აბამდნენ. ასეთი დროშა, როგორც აღვნიშნეთ, ჯვარის, ანუ სალოცავის უმთავრეს სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ამავე დროს იგი იგულისხმებოდა იმ საგანთა რიგში, რომლებიც სიცოცხლის ხის სტილიზებულ და სიმბოლურ გამოსახულებებს შეადგენდნენ. ასეთი პოლიმორფიზმი, როგორც ჩანს, ახასიათებდათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სალოცავებს და იგი უძველეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ღვთაებათა ერთდროულად გამოვლენა ზოომორფული, დენდრომორფული თუ ანთროპომორფული იპოსტასებით ჯერ კიდევ ანტიკურ რელიგიაშია ცნობილი, მაგრამ ჯვრის ფორმით გამოხატული ღვთაების თაყვანისცემა ქრისტიანული კონცეფციით გაღრმავებული და გადამუშავებული თვალსაზრისის გამოვლინება უნდა იყოს. ქრისტიანობამ მიიღო რა ჯვრის მსოფლიო მნიშვნელობა, იგი ადრექრისტიანობაშივე ქრისტეს სახეს დაუკავშირა. ტოლმხრებიანი ჯვარი იქცა ადრექრისტიანულ სიმბოლოდ, რომელიც მაცხოვრის სახეს ჩაენაცვლებოდა. იგი შეიძლება ყოფილიყო მატერიალიზებული ტაძრის გეგმაშიც, რომელიც განიხილებოდა მსოფლიო მოდელად და მაცხოვრის სხეულად. ჯვრისებური სქემადქცეული ხაზოვანი ორნამენტების გამოსახულება დამოწმებულია სვანური საწესო ხელოვნების ნიმუშებს შორისაც. ჯვარი, ერთ შემთხვევაში მრგვლური ნიშნებით ბოლოებზე, მეორე შემთხვევაში ნახევარმთვარეებით, გამოსახულია ხის ლანგრებზე სვანეთიდან. ამ ლანგრებზე "ბატონების" შესაწირავს და საოჯახო ტაბლას აწყობდნენ. როგორც ჩანს, ხალხი მათ წმინდად დაცვას ასტრალური სიმბოლოებით შემკულ ჯვარს ანდობდა. ასე რომ, ჯვრის ანთროპომორფული გააზრების შემთხვევები საქართველოს სხვადასხვა რეგიონისათვის ყოფილა დამახასიათებელი. ჯვრის ანთროპომორფული რეალიზაცია ხდებოდა საკულტო თოჯინების, ასტრალური ღვთაებების და მხედრების სახით. ამ ფორმას ვხვდებით საკულტო ნამცხვარშიც. ცხადია, გარკვეული საწყისი პოზიციის გათვალისწინებით, აქ ქრისტიანული იდეოლოგიის სინკრეტული რეალიზაციის პროცესი უნდა ვიგულისხმოთ.

დავუბრუნდეთ ცენტრალური ჯვრისა და მისი ჯვარდასმული კვადრატების მოტივს, რომელიც ახლა დროშაზეა გადატანილი და რომელსაც ისტორიული დროშის კუთვნილებად მიიჩნევენ. ჩვენს მიერ წარმოდგენილ მასალაში საკმაოდ ცხადად იყო ნაჩვენები ჯვრის მხრებშორისი სივრცეების ასტრალური სიმბოლოებით შევსების წესი. ასეთი სიმბოლო არა მარტო ოფიციალურ რელიგიურ სისტემებში მოქმედებდა, არამედ იგი ღრმად ყოფილა შეჭრილი ქართველი ხალხის აზროვნებაში და მას, როგორც დამცველ აპოთროპეულ ნიშანს, მიმართავდნენ ყოველ საჭირო შემთხვევაში. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს საკულტო ნამცხვრის ერთი სახეობის ფორმაც. ასეთ ნამცხვრებს (სხვადასხვა ფორმისას - ფრინველების, შინაური და გარეული ცხოველების, გუთნეულის და ა.შ.) აცხობდნენ დღესასწაულებზე, დაკრძალვისას, ლიფანალზე და ა.შ. ამ დროს, სხვა მრავალთან ერთად, სცოდნიათ "ძროხის ცურის" გამოცხობაც. იგი წარმოადგენს ცომისაგან დამზადებულ გუნდას ოთხი საწოვარით, რომელთა შორის ჩასმულია ჯვარი ისე, რომ თითო მეოთხედში ძროხის თითო საწოვარის წვერია მოქცეული. აქ შექმნილია ის სტრუქტურა, რომელიც გვაქვს იმ დროშაზე, რომლის გამოც გაიმართა ეს მსჯელობა. მოტანილი მაგალითი განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია იმის გამო, რომ აქ აშკარად ჩანს ჭეშმარიტად ხალხური ტრადიცია, გამოსახულებისადმი გამოვლენილი სარწმუნოებრივი, საკრალური და ამავე დროს პრაქტიკული დამოკიდებულება. იგი მიგვანიშნებს, რომ ასეთი ტიპის ჯვარში რეალიზებული იდეა ორგანულად არის შეთვისებული და მისი იმპროვიზებული აღმოცენება შესაძლო და მოსალოდნელია ყოველთვის, როცა მისი საჭიროება წარმოიშვება.

ჯვარი, რომლით შემოზღუდული სივრცის მეოთხედებშიც ჩასმულია ასტრალური წრეები (რომლებიც მოგვიანებით ასევე ჯვრის გამოსახულებებით შეიცვალა), რეალიზებულია თვით მცხეთის ჯვრის გეგმაში კონქების გვერდით განლაგებული მრგვლური სათავსოების სახით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოლმხრიანი ჯვარი ამ პერიოდში იყო ქრისტეს სიმბოლო და ეს მნიშვნელობა განაპირობა ამ ხანებში უკვე შეთვისებულმა ჯვრის სიმბოლიკამ, რომელიც ამ ნიშანს სამყაროს სიმბოლოდ სახავს. მოგვიანებით, როცა ტოლმხრიანი ჯვრის მიმართ დამოკიდებულება არქიტექტურაში რამდენადმე კორექტირებულ იქნა და ტაძართა გეგმებში უპირატესობა სხვა ტიპის ჯვარს მიენიჭა, ტოლმხრიანი ჯვარი და მის მხრებს შორის განლაგებული ასტრალური ნიშნები შენარჩუნებული იქნა მცირე საეკლესიო ინვენტარში, ინსიგნიებსა და ატრიბუტებში. მხედველობაში მაქვს მოგვიანო პერიოდში გავრცელებული მკერდსაკიდი ჯვრები, ე.წ. პანაგია, რომლის ცენტრალური ფიგურა წარმოადგენს ჯვარს, ბოლოებზე დამაგრებული სფერული//წრიული ნიშნებით და ასეთივე ნიშნებით ცენტრალური ჯვრის მხრების ქვეშ. მაგალითად, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, ასეთივე ჯვარი მარტვილიდან და მრავალი სხვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ჯვრისა და ოთხკუთხა სივრცის ურთიერთგანმაპირობებელ სიმბოლიკას უძველესი დროიდან ქრისტიანობის ხანის ძეგლების ჩათვლით. აშკარაა, რომ ამ გეომეტრიულ კომპოზიციას ძველთაგანვე საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და, ცხადია, ყოველ ეპოქაში განასახიერებდა აღებული ისტორიული ხანისათვის აქტიურ მითო-რელიგიურ სისტემას. რადგან ჯვარი წარმოადგენს ქვეყნიერების ოთხი მხარის იდეის სიმბოლური გამოხატვის ერთ-ერთ ვერსიას, ამის გამოც შეინარჩუნა მან პოზიცია დეკორატიულ და აპოთროპეულ ნიშანთა შორის თვით ქრისტიანობის შემოსვლამდე. ქრისტიანობის გავრცელებისა და ჯვრის კანონიკური ფორმების ჩამოყალიბების შემდგომ იგი ასევე რჩება ხალხის შეგნებაში, როგორც სიწმინდის ოპტიმალური ხატი. მოგვიანებით მოპოვებული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა ცხადყოფს, რომ ამჟამად ჩვენთვის საყურადღებო კომპოზიცია განიხილებოდა ვითარცა ქვეყნიერების ოთხსავე მხარეში ჯვრის სუფევის ნიშანი, როცა თავად დაუნაწევრებელი სამყარო დიდი ჯვრით გადმოიცემა, ხოლო მცირე ჯვარი, თანახმად ხალხური შეხედულებისა, ღვთაების სახეს, იერარქიულად უმაღლესის "ნაწილს", მის ერთ-ერთ ემანაციას წარმოადგენს. ასე რომ, დროშაზე გვაქვს არა ხუთი ჯვარი, არამედ ერთი, საყოველთაო ნიშნის გამოვლინება ხუთ პოზიციაში.

ასეთ ვითარებაში "ხუთი ჯვრით" აღბეჭდილი დროშის პოლიტიკურ ემბლემად გადაქცევა არც მოულოდნელი უნდა იყოს და არც შეუძლებელი. ხალხური კულტურის წიაღში მისი იდეა დიდი ხანია ემსახურებოდა სარწმუნოებრივი კონსოლიდაციის საქმეს, რაც გაერთიანებულ ქვეყანაში მას საყოველთაოდ მისაღებ, ეროვნული კულტურის წიაღში გამომუშავებულ ნიშნად აქცევდა. იგი, როგორც ჩანს, ერთი და იმავე აზრით იკითხებოდა საქართველოს ყველა კუთხეში და ყველა დროში. ამდენად, ასეთი ჯვრიანი დროშის სახელმწიფო ემბლემად წარდგინებას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდებოდა. როგორც ისტორიული მასალა ცხადყოფს, საქართველოს ხელისუფლებას სათანადო დროს ეს ნაბიჯიც გადაუდგამს.


Visa Electron Internet

ახალი პლასტიკური ბარათი ინტერნეტში ანგარიშსწორებისათვის

თბილისი ბანკი TBC Bank



- ინტერნეტში ანგარიშსწორების შესაძლებლობა.
- ინტერნეტში ბარათის გამოყენების კონტროლი დროის რეალურ რეჟიმში.
- დაბალი მინიმალური ნაშთი და წლიური მომსახურების საკომისიო.

Visa Electron Internet ბარათის ტარიფები

| | |
|---|---|
| ბარათის ვადა | 2 წელი |
| ძირითადი/დამატებითი ბარათის მომსახურება 1 წლით | 15 USD([illegible]) |
| მინიმალური ნაშთი ანგარიშზე | 20 USD |
| თანხის განაღდება თიბისი ბანკის ფილიალებში და ბანკომატებში | 0.50% |
| საკომისიო სავაჭრო ობიექტებში და ინტერნეტში ანგარიშსწორებისას | 0.25% |

VISA

ცენტრალური (ვაკე) ფილიალი
ტელ: /+995-32/ 22 06 61, 29 16 93;

www.tbcbank.com.ge

შაბათის სტუმარი

# ყოველ ჩვენგანზეა დამოკიდებული, დავიმსახურებთ თუ არა უკეთეს ცხოვრებას

მაია ჭალაგანიძე

*საზოგადოების ერთი ნაწილი გოგი გვახარიას ისე ძალუმად აღარ ლანძღავს და არა იმიტომ, რომ ნაკლებად სკანდალურ ფილმებს უჩვენებს "ფსიქოში" - იმიტომ, რომ მას არ შეეშინდა რისხვის, ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ნელ-ნელა ოპონენტების რიგებშიც მოიპოვა მაყურებელი...*
*ბრალდებების თემა მის წინააღმდეგ ეტაპობრივად იცვლებოდა და სრულად ასახავდა საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების, ან ჩამორჩენილობის ეტაპებს. ელიტურობისკენ მიდრეკილი, ცოტა სნობური, მაგრამ - კულტურული - ამ შეფასებას საკუთარ გადაცემას თავადვე აძლევს. ამ ინტერვიუთი თავის საყვარელ შაბათ დღეს, გოგი გვახარია მთელი ჩვენი ჰოლდინგის სივრცეს დაფარავს. ამჯერად ის სხვა მტკივნეულ და აქტუალურ თემებთან ერთად "ვარდების რევოლუციის" სამი გმირის კინემატოგრაფიულ დახასიათებასაც შემოგვთავაზებს და იმედია, ამ საქციელით, ძლივს შემორიგებული ოპონენტების რიცხვს არ გაზრდის...*

**- რა გზა უნდა გაიაროს საზოგადოებამ ახალ რეალობაში? პირველი ნაბიჯით დავიწყოთ.**

- ვფიქრობ, რომ ახალი რეალობა მართლა რევოლუციური არ ყოფილა. ამისთვის საზოგადოება ნელ-ნელა ემზადებოდა. უბრალოდ, 23 ნოემბერს ფაქტი მოხდა. ამიტომ, განსაკუთრებულ გარდატეხას არ უნდა ველოდოთ - ყველაფერი დაწყებულია და ეს უნდა გაგრძელდეს.

საზოგადოება ცალკეული ადამიანებისგან შედგება და ალბათ, ყოველმა ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ მას აქვს შემოქმედებითი თავისუფლება, ცხოვრების თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება და არავინ შეუშლის ხელს, რომ საკუთარი ცხოვრება თვითონ მოიწყოს. ამის ნიშნებს ვხედავ.

**- რა საფრთხეები გველის რევოლუციის თანმდევ პროცესებში - სულ ველი ისეთ დროს, როცა ადამიანები ქუჩაში ნაგავს არ გადაყრიან, უადგილო ადგილას მანქანას არ გააჩერებენ... რამდენად აბრკოლებს საზოგადოება უნიჭობასა და პროვინციალიზმს?**

- თუ კულტურაზე ვსაუბრობთ, ზომიერება უნდა შეგვეძლოს - ამით ქართული კულტურა ყოველთვის ამაყობდა. ალბათ, არ უნდა იყოს ეიფორია, რადგან ეს რადიკალიზმს იწვევს. ამან საზოგადოებაში უკურეაქცია და წარსულის ნოსტალგია შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ, კულტურულ პოლიტიკას, საზოგადოებრივი ცნობიერების შემქმნელ ადამიანებს სიფრთხილე ჰმართებთ, რათა უკიდურესობაში არ გადავარდნენ. ამისთვის ხალხთან მუდმივი კონტაქტია საჭირო და ხალხის ნებას სულ უნდა ითვალისწინებდნენ.

მართალია, ხალხი ცალკეული პიროვნებებისგან შედგება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა სტერეოტიპებმა არ იმუშავა და მოქალაქეებმა საოცარი ერთიანობა აჩვენეს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია და გაფრთხილება სჭირდება.

ალბათ, სწორი არ იქნება ისტორიული ანალოგები, მაგრამ მაინც ვიხსენებ მეოცე საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევარს. იმ დროის გერმანიის ხელოვნებასა და კულტურაში თავისუფლების, სილაღის, მრავალფეროვნების საოცარი ეიფორია იყო. მაგრამ ჰიტლერის ფენომენი მაინც გაჩნდა. ეიფორიამ, არაზომიერებამ, ობივატელში უკურეაქცია გამოიწვია - მეტისმეტი მოუვიდათ. ეს არ უნდა დაგვემართოს და ძალიან ბედნიერებიც ნუ ვიქნებით.

**- რამდენად ხშირად გქონიათ შეხება კულტურის სამინისტროსთან?**

- არასდროს და არანაირი. სამინისტრო არც მე დამჭირვებია და არც მათ შეუწუხებივარ. მე თუ მკითხავთ, ეს ის ინსტიტუტია, რომლის არსებობაც აუცილებელი არ არის.

**- საუბრობენ ძველი მინისტრის დაბრუნებაზე. რატომ ეშინია კულტურას ახალი სახეების?**

- იმდენად კარგად იმუშავეს შესაბამისმა სამსახურებმა, რომ შოუბიზნესი და კულტურა კორუფციის საყრდენი გახდა. სრულიად უნიჭო ადამიანები ძალიან პოპულარულები გახდნენ, აი, ამ ბაზას ეყრდნობოდა კორუფცია. ამასაც თავისი მიზეზები აქვს და ეს 1992 წელს არ დაწყებულა. "ტუსოვკური" მიდრეკილებები ყოველთვის იყო. მახსოვს, როდესაც 80-იან წლებში ახალი ქართული კინო შეიქმნა, თეატრალური ინსტიტუტი მართლა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა დაამთავრეს. "ახალგაზრდა კომუნისტში" დავწერე სტატია სათაურით "ოცნება მშვიდობიან ბრძოლაზე". წერილის ძირითადი აზრი ის იყო, რომ ეს ახალგაზრდები უფროს თაობას ვერ გაემიჯნენ. თავის სათქმელს, თითქოს, ამბობდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ ეთქვათ, რომ მამებმა სიყალბე აკეთეს. ეს სტატია რეზო ჩხეიძის საწინააღმდეგოდ აღიქვეს. რა თქმა უნდა, იმავე გაზეთში სასწრაფოდ გამოქვეყნდა საპასუხო წერილი, რომელსაც ხელს აწერდა 13 ახალგაზრდა რეჟისორი და სადაც ეწერა, რომ ეს არის პროვოკაცია, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარსო. მოკლედ, შეეშინდათ... ეს შიში ახალგაზრდულ კინოშიც აისახა - ფილმებს იღებდნენ საკუთარ თავზე, თაობაზე და არ აინტერესებდათ არაფერი, რაც ამ საზღვრებს იქით არსებობდა. დრომ გვიჩვენა, რომ ოცნება მშვიდობიან ბრძოლაზე მართლა ოცნებად დარჩა - შვილებს ყოველთვის ეშინოდათ, დაპირისპირებოდნენ მამების თაობას. კინომცოდნეებმა მხარი ამიბეს და ვთქვით, რომ დაპირისპირება არ ნიშნავს, რომ ხანჯლები იშიშვლონ და მამებს ეკვეთონ. ეს ნიშნავდა იმას, რომ კულტურის განსავითარებლად სხვადასხვა თაობას შორის დისკუსია აუცილებელია.

ახლაც იგივე, ოღონდ, უფრო ეშმაკურად მოხდა - შეიკრა გარკვეული წრე და კორუმპირებულმა ძალებმა და კულტურის მუშაკებმა საერთო ენა გამონახეს. მერაბ ჟორდანიას დაპატიმრების გარშემო ატეხილი ამბავი ამის არაჩვეულებრივი მაგალითია. ამ ამბებს რომ ვუყურებდი, მამალაძის მიმართ სიმპათიაც კი გამიჩნდა.

**- რატომ მამალაძის მიმართ?**

- რადგან ეს ადამიანი არ მეგობრობს შოუბიზნესის წარმომადგენლებთან - უნდა დავიჭიროთ და ჟორდანია - არა?! საერთოდ, დაჭერების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მაგრამ სულ მინდოდა მეთქვა - შვედეთის სიამაყე ინგმარ ბერგმანი, რომლის დარიც შვედურ კულტურას და კინოს არ ჰყოლია, გადასახადების გადაუხდელობის გამო კინაღამ დაიჭირეს. მას ყველაფერი გადაახდევინეს. შერცხვენილი ბერგმანი გერმანიაში წავიდა და ამბობდა, რომ საკუთარ ქვეყანაში ცხოვრება რცხვენოდა. მან გერმანიაში რამდენიმე ფილმი გადაიღო და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა შვედეთში.

შოუბიზნესმენები, რომელთა უმრავლესობაც, სხვათა შორის, რევოლუციის დროს გაიტრუნა...

**- ისინი, ვინც ფონოგრამით მღერიან.**

- დიახ, ვინც სიყალბეს ქმნიდნენ, გაიტრუნენ და დამცველებად და წამებულებად მოგვევლინნენ. ეს არ არის შევარდნაძის პოლიტიკის ბრალი. ეს არის ჩვენი ცნობიერების ძალიან დიდი მანკიერება, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს - შეშინებულ ქართველებს ერთად ყოფნა უყვართ.

**- ისე, როგორც მოგროვდნენ სახელისუფლებო ბლოკში, მერე - ბათუმში...**

- რა თქმა უნდა. მხოლოდ სამეგობროთი შემოფარგვლა ინფანტილიზმის მანიშნებელია, რადგან მხოლოდ ინფანტილურ ადამიანს ეშინია მარტო ყოფნის. ხელოვნება კი იმ ადამიანების ხარჯზე ვითარდება, ვისაც მარტოობის არ ეშინია, ვისაც არ ეშინია, არ იყვნენ არაპოპულარულნი. მათ, შეიძლება, თავის დამკვიდრება გაუჭირდეთ, მაგრამ კულტურის ისტორიის მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, შემდეგ ეპოქაში სწორედ მათ აღიარებდნენ და არა იმათ, ვინც ამ "ტუსოვკებში" ჩაიკეტნენ.

**- გადასახადების გადაუხდელობის გამო ადამიანის დაჭერით გამოწვეული აღშფოთება იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის კანონმორჩილება უცხოა?**

- კანონმორჩილებისთვის ბავშვიც კი არ არის მზად. აღშფოთება მხოლოდ და მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ კანონი "ტუსოვკის" პოპულარულ წევრს შეეხო. მამალაძე რომ დაეჭირათ, ასე არ მოხდებოდა, რადგან ის მათი წრის არ არის. სხვათა შორის, საამისოდ შევარდნაძეც კარგი მაგალითია - ის ყოველთვის ცდილობდა, ინტელიგენციისთვის შეეფარებინა თავი. მან იცოდა, რომ ინტელიგენცია მას ყოველთვის დაიცავდა.

საქართველოში ყველაზე საშიში ყოველთვის მარტოობა იყო და თუ მარტოობა არ იქნა, იქ ხელოვნება ვერ განვითარდება.

საუბარი ბედნიერების უფლებით იმიტომ დავიწყე, რომ ადამიანებს შეუძლიათ, აღარ მიეკედლონ რაღაც (თუნდაც ძალიან პროგრესულ) ძალებს და იცხოვრონ ისე, როგორც მათ უნდათ. ყოველი ჩვენთაგანი ხომ თავად იქმნის ცხოვრებას.

თუმცა, ჩვენში ჯერ კიდევ არის ბოლშევიზმის მთავარი ტენდენცია - ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია...

**- რაში შეიძლება დასჭირდეს ხელოვან ადამიანს სამინისტრო, ან ბიურო, ან უწყება... არ ვიცი, რა ერქმევა ამას. კულტურას იდეოლოგია სჭირდება?**

- არა, იდეოლოგია არ სჭირდება. შემოქმედებითი კავშირების მსგავსი კი, მგონი, სჭირდება.

მახსოვს, 80-იან წლებში ფარაჯანოვის ნიადაგზე გურამ პეტრიაშვილთან მომივიდა შეხლა-შემოხლა. ის მწერალთა კავშირში სიტყვით გამოვიდა. მე დავწერე, რომ მისი გამოსვლა ფაშისტური იყო. მწერალთა კავშირმა ეს შეურაცხყოფად მიიღო - ეს სიტყვა როგორ აკადრა ჩვენს წევრსო... პირველად ვიგრძენი, რა არის კოლეგიალობა... ხომ ვამბობ, რომ მარტო უნდა იყოს შემოქმედი-მეთქი, მაგრამ აგრეთვე უნდა არსებობდეს სამოქალაქო, პროფესიული უფლებების დამცველი ორგანიზაცია. მაშინ მხარი კინემატოგრაფისტთა კავშირმა დამიჭირა. კონომცოდნეებმა წერილი გააგზავნეს მწერალთა კავშირში და ეს საქმე დამთავრდა.

კულტურის სამინისტრომ უფლებები, აზრის თავისუფლება უნდა დაიცვას, მაგრამ ამისთვის დიდი ჩინოვნიკური აპარატის არსებობა სულ არ არის საჭირო. შეიძლება შეიქმნას, მაგალითად, კულტურის ომბუდსმენი...

**- ამ ბოლო ხანებში საყოველთაო შერიგება პოპულარული თემა გახდა. კერძოდ, ლოთი ქობალიას შეწყნარებაზე მაქვს საუბარი. შემწყნარებლობისა და მიტევების მომხრე ყველა ადამიანია, მაგრამ ილახება თუ არა იმ ადამიანების უფლებები, ვინც ქობალიას წყალობით კოდორის მტანჯველი გზა გამოიარეს?**

- ამ ადამიანების პროტესტი გასაგებია, თუმცა, მათ ადგილზე მაინც შემწყნარებლობას ვარჩევდი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველამ ასე უნდა იცხოვროს, რადგან მართლა დიდი ტრაგედიაა, როცა შვილს დაგიხვრიტავენ.

მეჩვენება, რომ შერიგების პოლიტიკა ხელოვნურად, ნაჩქარევად კეთდება. პოლიტიკა მოითხოვს ამას და როცა სიყალბე და ხელოვნურობაა, ეს უკურეაქციას იწვევს. შეწყალების მომხრე, რა თქმა უნდა, ვარ, მაგრამ რაღაც შეწყალებულმა მხარემაც უნდა მოინანიოს. არ შეიძლება, საპყრობილიდან გმირებად გამოვიდნენ. შესაწყალებელი ადამიანების მხრიდან კი მონანიებას ვერ ვხედავ. უბრალოდ, ეს ხალხი პოლიტიკას დასჭირდა, ეს კი სახიფათო პოლიტიკაა. ორივე მხარეს მართებს გარკვეული შეთანხმება... სამივე მხარეს - მთავრობას, შესაწყნარებლებს და იმ ადამიანებს, ვისაც შვილი დაუხვრიტეს.

**- რთულია ათწლეულებით იმედგაცრუებულ ადამიანებში ნდობის მოპოვება. ვთქვათ, სააკაშვილმა ხმების დიდი პროცენტი მოიპოვა. ეს პროცენტი არის თუ არა ზუსტი მაჩვენებელი იმისა, რომ სააკაშვილი ნდობას გაამართლებს და სამართლიანობისთვის ბრძოლას გააგრძელებს?**

- არაპოპულარულ რამეს ვიტყვი და ვიცი, ეს ბევრს არ მოეწონება. ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ლოზუნგის "საქართველო შევარდნაძის გარეშე." მეორე მხარის ანალოგიური ლოზუნგია - "შევარდნაძემ ევროპა გააერთიანა, სსრკ დაანგრია" და ა.შ. ორივე შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ ისტორია ერთმა ადამიანმა შექმნა, გააფუჭა, ან - აგვაშენა. ჩემი აზრით, ორივე ლოზუნგი ინფანტილურია.

სინამდვილეში, ყველაფერი და ეს რევოლუციაც ისტორიამ შექმნა - არა მაილსმა, არა სააკაშვილმა, არა ქართველმა ხალხმა, არამედ - საინტერესო ისტორიულმა და კანონზომიერმა პროცესებმა. რა თქმა უნდა, ძალიან დიდია ადამიანების როლი, მაგრამ მათ შეასრულეს როლი სპექტაკლში, რომლის რეჟისორიც ისტორია და, თუ გნებავთ, ღმერთია. რადგანაც, გარკვეული მადლი რევოლუციაში ნამდვილად იყო.

არანაირი ილუზია არ მაქვს იმისა, რომ ერთი ადამიანი აგვაშენებს და არ მიმაჩნია, რომ ახლა ყველაფერი სააკაშვილმა უნდა გააკეთოს. ეს არის დამოკიდებული ხალხზე, მის გუნდზე, ისევ ისტორიაზე და ისევ ღმერთზე. ყოველ ჩვენგანზეა დამოკიდებული, დავიმსახურებთ თუ არა უკეთეს ცხოვრებას.

**- ბელადის საჭიროება ხალხში ახლაც არსებობს...**

- დიახ და ეს არის ყოფილი ოპოზიციის ბრალი. ისინი გამოდიოდნენ და არ ამბობდნენ, რომ ერთი კონკრეტული ედუარდ შევარდნაძე არ არის ისეთი გენიოსი, რომ ასე გააფუჭოს ყველაფერი. სამწუხაროდ, ეს თამაში ახლაც გრძელდება. აჭარაში აბაშიძეა თავისი კლანით... თუმცა, ვერც კლანები შექმნიან ისტორიას. ალბათ, მომხდარის მიზეზებზე და წინაპირობებზე ხალხთან უფრო სერიოზული საუბარი იყო საჭირო.

არ ვამბობ, რომ ადამიანებს დანაშაული უნდა შერჩეთ. მიმაჩნია, რომ აფხაზეთის ომი ისეთი სერიოზული საკითხია, რომლისთვისაც ვიღაც უნდა დაისაჯოს და გასამართლდეს, მათ შორის, შევარდნაძეც... ამაზე საუბრის დრო დიდი ხანია, დადგა. აფხაზეთი, რა თქმა უნდა, რუსეთის დახმარებით, მაგრამ ქართველებმა დავკარგეთ - აქ მოხდა ყველაფერი და ამისთვის აფხაზებისთვის ბოდიშის მოხდა არ უნდა შეგვეშინდეს. ბოდიში დიალოგის დაწყების მშვენიერი საშუალებაა.

**- თქვენთვის უცხო არ არის საზოგადოებისგან შერისხვა. სხვადასხვა ეტაპებზე სხვადასხვა თემის გამო გერჩოდნენ. ბრალდებების ევოლუციის შესახებ ხომ ვერ გვეტყვით ორიოდე სიტყვას?**

- აი, ფარაჯანოვი ხომ გამახსენდა... მერე არაეროვნულობა დამაბრალეს, დისერტაცია კი სწორედ ქართულ კულტურაში ეროვნული ტრადიციების შესახებ დავიცავი. რატომღაც, ცოტა ხანს, გაჩუმდნენ... ამის შემდეგ - პორნოგრაფიის მქადაგებელი გავხდი, მერე ესეც მიავიწყდათ... მაგრამ ყოველთვის ვფიქრობ, როგორ სისულელესაც არ უნდა ამბობდეს ოპონენტი - მისი აზრი უნდა გაითვალისწინო. ოპონენტებს არასდროს ვეპასუხები, მაგრამ ვცდილობ, ორი ნაბიჯით უკან უნდა დავიხიო, რომ მერე ერთი ნაბიჯით წინწაწევის საშუალება მომეცეს. თუ სტერეოტიპებს ებრძვი, თავად არ უნდა გადაიქცე სტერეოტიპად, კლიშედ. იარლიყების ადვილად მოწებების საშუალება არავის უნდა მისცე. შემდეგი ქმედებით, ოპონენტს მისი შეცდომა უნდა დაუმტკიცო. ოღონდ, ეს პოლემიკით კი არა, საქმით უნდა გააკეთო.

**- მოახერხეთ?**

- ეჭვი მაქვს, რომ გარკვეულ ნაწილთან ეს გამომივიდა. ბევრს უთქვამს, რომ ადრე სხვაგვარად გვეგონა, თურმე სხვაგვარად ყოფილაო... ყველაზე მეტად ეს მიხარია.

**- მახსოვს, განაცხადეთ - ადრე ვფიქრობდი, თუ გადაცემა არ მოგწონთ, გადართეთ და ახლა ვიცი, რომ ამის თქმა არ შეიძლებაო. როგორ მიხვედით ამ აზრამდე?**

- უბრალოდ, შევედი იმ ადამიანების მდგომარეობაში, ვისაც ჩემი გადაცემები არ მოსწონდა და მათი არგუმენტების გაგებას შევეცადე. ვთქვათ, რომელიღაც გადაცემაში სტალინიზმს ან ფაშიზმს ქადაგებენ და ჩემს აღშფოთებაზე მიპასუხონ - თუ არ გინდა, ტელევიზორი გადართეო. ძალიან გავბრაზდები... ამიტომაც ვიფიქრე, იქნებ სჯობია, გავაგებინო, რომ მისი აზრი ჩემს საქმიანობაზე მცდარია. სხვათა შორის, ამ პოზიციამ მაყურებელი მიიზიდა და თავადვე სხვანაირად შეხედეს საკუთარ აკვიატებულ აზრს. თუმცა, ალბათ, თემურ მირიანაშვილი არასოდეს აღიარებს ამას, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისიც დაფიქრდება.

**- 1997 წელს "ფსიქოს" პირველი გადაცემა გავიდა ეთერში. ის უზომოდ პოპულარული იყო...**

- ეს იყო პირველი ტელეგადაცემა, სადაც პირდაპირ ეთერში ტელეფონის ზარი გაისმა, ამიტომ იყო პოპულარული.

**- "რუსთავი 2"-ზე რატომ არ გადის ამ პირველობის მაუწყებელი სარეკლამო ტიხარი?**

- არ ვიცი. ალბათ, აღარ ახსოვთ.

**- ახლა პოლიტიკური თუ გასართობი შოუების პიკია. როგორ გგონიათ, რა უნდა მოხდეს, რომ თქვენმა გადაცემამ ძველი დიდება დაიბრუნოს?**

- სხვათა შორის, ამ გადაცემას ძველი დიდება არასდროს ჰქონია, რადგან ეს გადაცემა, თავიდანვე, ასე ვთქვათ, ელიტარული უნდა ყოფილიყო. მერე ვნახეთ, რომ თურმე ვიღაცეები უყურებდენ და მეც მომინდა, რომ გადაცემას რეიტინგი ჰქონოდა. დღეს "ფსიქო" არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ამდენი ხნის განმავლობაში რეიტინგი არც ზევით მიდის და არც ქვევით. მას განუწყვეტლივ ჰყავს სტაბილური მაყურებელი.

ეს გადაცემა მასობრივი თოკშოუ რომ გახდეს, რასაც, სხვათა შორის, ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი - რადგან, თოქ-შოუ რომ კარგი იყოს, საზოგადოება უნდა იყოს კარგი - დისკუსიის კულტურა, სათქმელის მოკლედ თქმის კულტურა უნდა ჰქონდეს... ნოემბრის ამბებმა დამანახა, რომ საქართველოში ორგანიზებული საზოგადოება არსებობს, რაც შანსს მოგვცემს, უფრო გაფართოვდეს გადაცემა.

სულ ვცდილობ, რომ გადაცემა ნაკლებად სნობური იყოს, მაგრამ, მგონი, არ გამომდის. მინდა, გადავლახო ბარიერი და ისეთი ადამიანები მოვიწვიო, ვისაც არ ვეთანხმები. შეიძლება, გაკეთდეს ცირკი (რომელიც მე არ მიყვარს) ანუ, მოიყვანო ადამიანები და აჩხუბო. რა თქმა უნდა, რეიტინგი გაიზრდება, მაგრამ ჩემთვის ეს მომაბეზრებელია, რადგან დასკვნა არ კეთდება, ეს ორი ადამიანი კი სხვა ეთერში წავა და იქ იჩხუბებს...

მთავარი რეპერტუარის მრავალფეროვნებაა. ელიტარული ხელოვნება საერთოდ არ მიყვარს და არც ელიტარული კინო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ რაღაც საშუალოს მივაღწევ.

**- იქნებ კინოობანა გვეთამაშა და ჩვენი ტრიუმვირატი კინოგმირებისთვის შეგვედარებინა...**

- რა თქმა უნდა, ჩვენი ტრიუმვირატი უარყოფს, რომ მემარცხენეები არიან, ამაში დარწმუნებული ვარ. თავადაც მემარცხენე ბუნების ადამიანი გახლავართ. არ შეიძლება, რომ ხელოვანი მემარჯვენე იყოს - ეს გამორიცხულია, მსოფლიოში არსად ყოფილა. მხოლოდ ფრანკო ძეფირელი იყო იტალიაში და ამის გამო კინემატოგრაფიული ტუსოვკიდან განდევნეს. ამიტომ, უფრო ნეორეალისტურ ფილმებს გავიხსენებდი, სადაც რეჟისორები და პერსონაჟები ამბობდნენ - არა "მე", არამედ - "თქვენ"... ამას ჩვენ აქ ვხედავთ, არა? ერთხელ თქვა სააკაშვილმა - შვილების კი არა, ბაბუაჩემის მომავალზეც ვზრუნავო... მგონი, რომ ნეორეალიზმის ეპოქას ჰგავს - სოციალური მხარე მოდის წინ.

კარგი იქნება, თუ ჩვენი კულტურაც მათ მიბაძავს. იტალიაში ომის შემდეგ ისეთი გაჭირვება იყო, რომ ბარიერი მართლა აღარ არსებობდა. ამ შემთხვევაში, ჩვენთან უკვე აღარ არის ბარიერი - ვაკელი, ვერელი, ვარკეთილელი და ა.შ. ვფიქრობ, რომ ჟორდანიას ამბავი ამ საშინელი სტერეოტიპის უკანასკნელი თვალსაჩინოება იყო - რადგან ჟორდანია არის ვაკელი, უნდა დავიცვათ. ვიღაც გლდანელი კი არ გვაინტერესებს... საქართველოში ეს უნდა მორჩეს.

**- დავუბრუნდეთ კინოობანას.**

- პრინციპში, სამივე პერსონაჟი დადებითია. ჰოლივუდის გმირი ნამდვილად არც ერთი არ არის.

სააკაშვილი უფრო ანჯეი ვაიდას ფილმია, მაშინ ის ლეჰ ვალენსასთან მეგობრობდა და "მარმარილოს კაცს", "რკინის კაცს" იღებდა. აუცილებლად ცოტა ექსცენტრიულია და ამიტომაც მოსწონთ ქართველებს. ამბობენ, რომ არ არის ეშმაკი და პირდაპირ ამბობს სათქმელს. ქართველებს ეს უყვართ.

ნინო ბურჯანაძე უფრო "პერესტროიკამდელ" რუსულ კინოებს მაგონებს. რამდენიმე ფილმი იყო, მაგალითად, "პრემია" (გერმანის პიესა). მთავარი გმირი მამაკაცია, რომელსაც სკოლის სისტემა არ მოსწონს და პროტესტს გამოთქვამს. მაგონებს, აგრეთვე, გერასიმოვის ფილმს - "ჟურნალისტი". იქაც მამაკაცია გმირი, მაგრამ - ჰგავს. დიახ, ბურჯანაძე მაგონებს მასწავლებელს, რომელიც ბიუროკრატიული სისტემის წინააღმდეგ კი გამოხატავს პროტესტს, მაგრამ მაინც საბჭოური ესთეტიკის ფარგლებში...

ძალიან საინტერესოა ჟვანია - აუცილებლად 1968 წლის ეპოქის ფილმი უნდა იყოს, საფრანგეთის სტუდენტური მოძრაობის შესახებ. ის ჰგავს პერსონაჟს, რომელიც თავის თანამოაზრეს ინტელიგენციაში ეძებს. გამახსენდა ბერტოლუჩის ფილმი "რევოლუციის წინ". ბერტოლუჩის აგრეთვე აქვს ფილმი "ობობის სტრატეგია" - გმირი მამას ვერ ელევა, მაგრამ მაინც აუმხედრდება...

**- როგორ ფიქრობთ, 23 ნოემბრის მერე სულის ამბოხი ჩაქრა?**

- ხალხი ახალი წლისთვის ემზადება...

მხოლოდ იმ ხალხის სახელით ლაპარაკი შემიძლია, ვის წრეშიც ვტრიალებ - აქ არ მინელებულა, ძალიან დიდი იმედებია... თუმცა, არა მგონია, ყველას ასეთი გრძნობა ჰქონდეს. იმ ადამიანებს, ვისაც პენსია და ხელფასი არ აუღია, გმირობას ნუ მოვთხოვთ.



გოგი გვახარია

მხოლოდ ინფანტილურ ადამიანს ეშინია მარტო ყოფნის. ხელოვნება კი იმ ადამიანების ხარჯზე ვითარდება, ვისაც მარტოობის არ ეშინია.

შეწყალების მომხრე ვარ, მაგრამ რაღაც შეწყალებულმა მხარემაც უნდა მოინანიოს. არ შეიძლება, საპყრობილედან გმირებად გამოვიდნენ.

არანაირი ილუზია არ მაქვს იმისა, რომ ერთი ადამიანი აგვაშენებს და არ მიმაჩნია, რომ ახლა ყველაფერი სააკაშვილმა უნდა გააკეთოს.

# რევოლუციური ნოემბერი ფოტოზე



გამოფენის ოფიციალური პლაკატი

დალი კუპრავა

ჩემთვის, ნოემბრის რევოლუციური დღეების ღამეები ფოტოების თვალიერებით მთავრდებოდა და დღეც ღამის გადაღებების დათვალიერებით იწყებოდა. შეიძლება ვთქვა, რომ ოცი დღის განმავლობაში, ოცდაოთხი საათი "24 საათის" ფოტოგრაფების ნახელავს ვუყურებდი. ფოტოებს, ჩემთვის, სხვადასხვა პრინციპით ვახარისხებდი და კომპიუტერში "ვაფოლდერებდი". ფოტოებზე ყველაფერი იყო: პორტრეტი, რეპორტაჟი, ქუჩა, მხიარულება, ცრემლი, ფიქრი, შიშიც და სიამაყეც ...

როცა ყველაფერი დაგვირგვინდა და სახელმწიფომ მორიგი არჩევნებისთვის დაიწყო მზადება, როცა მეც, საქმის კეთებას აღარ ვჩქარობდი, რომ დრო მომეგო და მიტინგებზე, ჩემიანებთან დავმდგარიყავი, ფოტოებმა სულ სხვა ხიბლი შეიძინა - მხატვრულიც და დოკუმენტურიც.

იდეაც დაიბადა: ეს ფოტოები საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ნახონ, იმიტომ, რომ ეს მათია და ფოტოებად ქცეული პროფესიონალიზმიც სულფასოვანი ვერ იქნება, თუ ამას ხალხი არ შეაფასებს-მეთქი, - ვიფიქრე. თან მომავალი არჩევნების წინ კარგი იქნება, თუ ყველა ერთად გავიხსენებთ, რა შეუძლია ადამიანის თავისუფალ ნებას, მოქალაქეს.

"24 საათში" ისინი ექვსნი არიან: იური ლობოდინი, ბესო გულაშვილი, გოგიტა ბუხაიძე, თემო სუხიტაშვილი, ვახო ბესელია და ლევან ხერხეულიძე - ექვსი ფოტოჟურნალისტი. მათ ნოემბერში პროფესიონალიზმის მაგალითი აჩვენეს და პროფესიონალიზმი ხომ, თავისთავად, მოკრძალებულად, მოქალაქეობას და პატრიოტიზმსაც გულისხმობს.

ჩემი იდეის განხორციელებისათვის "ღია საზოგადოება - საქართველოს" დირექტორის კახა ლომაიას კეთილი ნებაღა მაკლდა. მან სამართლიანად გვირჩია, რომ მხოლოდ "24საათის" ფოტოგრაფებით არ შემოვფარგლულიყავით და ყველა, ვინც ფოტოკამერით აფიქსირებდა "ვარდების რევოლუციის" დღეებს, გამოფენაზე წარმოგვეჩინა. ასე გამდიდრდა "გამოფენა" გოგი ცაგარელის, ნათელა გრიგალაშვილის, დათო მძინარიშვილის, ზურაბ ბურდულისა და დიმა ჩიკვაიძის ფოტონამუშევრებით.

იდეის პირველი ნაწილი - ფოტოგამოფენა **"გიორგობა 2003"** საქართველოს ქალაქებსა და დედაქალაქში - ჩინებულად მოერგო "დიდ პროექტს": დღეს ფოტოგამოფენა "დაუმორჩილებლებთან" ერთად მოგზაურობას იწყებს. ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთისა და გორის შემდეგ, 28 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე მას თბილისი, გალერეა TMS უმასპინძლებს.

გამოფენის მოგზაურობის შესახებ დაბრუნების შემდეგ აუცილებლად გიამბობთ და აქვე იდეის მეორე ნაწილსაც გაგიმხელთ - ფოტოალბომის გამოცემა. გული მიგრძნობს, რომ "სოროსთან" და დაუმორჩილებლებთან ერთად ამ სურვილსაც განვახორციელებთ.

# კოალიცია რუსი აუდიო-ვიდეო მეკობრეების წინააღმდეგ

მსოფლიოს უმსხვილესმა კომპანიებმა, რომლებიც საერთაშორისო მუსიკალურ ბაზარს აკონტროლებენ, სარჩელი შეიტანეს კომპაქტ-დისკების რუსული ფაბრიკა "რუსობიტ-სოფტის" წინააღმდეგ. ბრალდება – არალეგალური, მეკობრული წესით პროდუქციის დამზადებაა. ბრიტანული გაზეთი "ფაინენშელ თაიმსი" იუწყება, რომ მსოფლიო მუსიკალური კომპანიების გიგანტების ჯგუფი, მათ შორის - EMI, Sony Music და Warner Music ფაბრიკის ხელმძღვანელობისგან, ჯარიმის სახით, მილიონ 300 ათასი ამერიკული დოლარის გადახდას მოითხოვენ. მსოფლიოს წამყვანი კომპანიების აზრით, "რუსოფიტ-სოფთმა" უკანონოდ გამოუშვა ისეთი ცნობილი მუსიკოსებისა და ჯგუფების დისკები, როგორებიც არიან: მაიკლ ჯექსონი, Destiny's Child და Westlife. ჯერჯერობით, უცნობია რუსული ფაბრიკის ხელმძღვანელთა კომენტარები ამ ყველაფერთან დაკავშირებით.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მსოფლიო მუსიკალური ბაზრის ლიდერები სამოქალაქო სარჩელს აღძრავენ კომპაქტ-დისკების მწარმოებელი ფაბრიკის წინააღმდეგ. "ფაინენშელ თაიმსის" ინფორმაციით, საწარმოს ყოველთვიურად შეუძლია ორ მილიონზე მეტი კომპაქტ-დისკის გამოშვება; თუმცა, რუსეთის სავაჭრო პალატის მონაცემებით, ეს ციფრი ერთ მილიონამდეა დაყვანილი.

რუსეთში აშშ-ს ელჩმა გაცილებით ადრე გააფრთხილა რუსეთის ხელისუფლება, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე მუშაობდა რამდენიმე საწარმო, რომლებიც მეკობრულ პროდუქციას ამზადებდა. ცოტა ხნის წინათ რუსეთის ბეჭდვის სამინისტრომ კომპაქტ-დისკების მწარმოებელ რამდენიმე ფაბრიკას ლიცენზია შეუჩერა, მათ შორის იყო "რუსობიტ-სოფთიც". თუმცა, სინამდვილეში, ფაბრიკას მუშაობა არ შეუწყვეტია. "რუსობიტის" ხელმძღვანელი ოლეგ გორდიიკო აცხადებს, რომ მისი საწარმოს წინააღმდეგ ბრალდება არ არის დასაბუთებული; და რომ ეს არის დასავლელი მწარმოებლების სურვილი, ჩამოიშორონ კონკურენტები. აღსანიშნავია, რომ გორდიიკო რუსეთის სავაჭრო-საწარმოო პალატაში ინტელექტუალური საკუთრების კომიტეტის თანახელმძღვანელია. ადრე ის გამოდიოდა მეკობრულად წარმოებული აუდიო-ვიდეო პროდუქციის წინააღმდეგ და აცხადებდა, რომ ასეთი არაკანონიერი ქმედება რუსეთის ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვებოდა.

"ფაინენშელ თაიმსის" მონაცემებით, მსოფლიო ბაზარზე "მეკობრული" პროდუქციის წლიური შემოსავალი 4,6 მილიარდი ამერიკული დოლარია. ფონოგრამული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, რუსეთში კომპაქტ-დისკების მწარმოებელთა რაოდენობა 2000 წლიდან გაორმაგდა. რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია მსოფლიოს 26 ქვეყანაშია ექსპორტირებული - მათ შორის, საქართველოშიც. თუმცა, ამის მიუხედავად, ამბობენ, რომ რუსეთში 2003 წლის პირველ ნახევარში მუსიკალური პროდუქციის გაყიდვების მაჩვენებელი 6,5 პროცენტით დაეცა.

# "ჩემთვის თქვენ მწერლები ხართ"

## დიდი და პატარა მწერლების შეხვედრა

ვერა ნეფარიძე

*გუშინ "ლიტერატურული კაფე" პირველად მასპინძლობდა პატარა ავტორებს. "ქართული სასწავლებლის" მოსწავლეებმა "წიგნის სახლის" შემდეგ სწორედ აქ გადაწყვიტეს, წარმოედგინათ საკუთარი წიგნი "პატარა დრაკონის ამბავი". რაც მთავარია, გუშინ "ლიტერატურულ კაფეში" პატარა მწერლები დიდ, გამოცდილ და მათთვის საყვარელ ქართველ ავტორებს შეხვდნენ.*

გუშინდელი ღონისძიება "ქართული სასწავლებლის" ბავშვებისთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე პრეზენტაცია. საკუთარი, პირველი წიგნის მორიგ პრეზენტაციაზე მათ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები (გარკვეული მიზეზების გამო, შეხვედრაზე მოსვლა ვერ მოახერხა მწერალმა ვაჟა გიგაშვილმა) შეკრიბეს. "გამოვკითხეთ ჩვენი მოსწავლეები, გავიგეთ, რომელი თანამედროვე ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს კითხულობენ ყველაზე ხშირად და საპატიო სტუმრებიც ამის მიხედვით შევარჩიეთ", - გვითხრა სასწავლებლის ერთ-ერთმა პედაგოგმა თამარ აბაიშვილმა. ასე რომ, გუშინ "ლიტერატურულ კაფეში" შეკრებილ პერსონებს: დავით მაღრაძეს, გაგა ნახუცრიშვილს, რატი ამაღლობელს, დათო ტურაშვილს, პაკო სიმონიშვილსა და შემოსწრებულ ლაშა ბუღაძეს, ამ შემთხვევაში, "ქართული სასწავლებლის" მოსწავლეებს შორის პოპულარობა აერთიანებდათ.

გუშინდელი ღონისძიებისთვის ბავშვები განსაკუთრებული მონდომებით მოემზადნენ. შეხვედრაში, ძირითადად, სასწავლებლის მეცხრეკლასელები ("პატარა დრაკონის" ავტორები) მონაწილეობდნენ; პატარა ვიოლინოებით საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ ამავე სასწავლებლის


გოგიტა ბუხაიძის ფოტო
მწერლები და ბავშვები

უმცროსკლასელები.

შეხვედრის დასაწყისში მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს ყველას, ვინც მათ მუშაობაში დაეხმარა; განსაკუთრებულად აღნიშნეს ჟურნალისტი თამარ ქერეჭაშვილი, რომელიც მათ საქმიანობას აშუქებს. თავიდან მოსწავლეებმა საპატიო სტუმრებს საკუთარი წიგნის მოკლე ანოტაცია წარუდგინეს - ჰყვებოდნენ, როგორ დაიბადა "პატარა დრაკონის ამბავი" და რატომ აირჩიეს გმირად დრაკონი (ბავშვებმა ზღაპრები 2000 წელს, დრაკონის წელიწადში შექმნეს). რასაკვირველია, წიგნები საყვარელ მწერალ-პოეტებსაც უსახსოვრეს და მათგანაც აიღეს ავტოგრაფები... მაგრამ, ბავშვებს გაცილებით მეტი აინტერესებდათ მოწვეული სტუმრებისგან. შეკითხვა კი, მართლაც, ბევრი და საკმაოდ რთული ჰქონდათ. "ბავშვებს ბევრი რამ აინტერესებთ ჩვენი მწერლებისგან და პოეტებისგან. სურთ, რომ მათ შემოქმედებას და თვითონ ავტორებსაც უფრო კარგად გაეცნონ. ეს მათი პირველი ნაბიჯებია იმისთვის, რომ იკითხონ, დაინტერესდნენ, გაერკვნენ და ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ხელს ვუწყობთ ამაში", - თამარ აბაიშვილმა წინასწარ გვაუწყა მოსწავლეების დაინტერესების შესახებ. თუმცა, გუშინდელმა შეხვედრამ პირადად ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. პატარა და დიდი მწერლები, თითქმის, ორი საათის განმავლობაში აქტიურად საუბრობდნენ და, რომ არა კაფეში დაგეგმილი ლაშა ბუღაძის კრებულის - "მესამე სართულის" პრეზენტაცია, შეხვედრა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდებოდა.

"ჩემთვის თქვენ მწერლები ხართ", - უთხრა დათო ტურაშვილმა შეხვედრაზე პირველი შეკითხვის ავტორს და საუბარი ტერმინების პირობითობაზე ჩამოვარდა. "საბჭოთა პერიოდში ყველაფერი გართულებული იყო. ამერიკაში ყველა ადამიანს ლექტორი ჰქვია, ვინც ლექციებს კითხულობს; ყველას მწერალი ჰქვია, ვინც წერს. ჩემი აზრით, მწერალია ის, ვისაც მკითხველი ჰყავს", - ასე დაიწყო გუშინ "ლიტერატურულ კაფეში" დიალოგი, თუმცა გზადაგზა შეკითხვებიც რთულდებოდა და მიწვეული ავტორები საპასუხოდ სხვა ცნობილ, დიდ ავტორებსაც იშველიებდნენ. თქვა კიდეც დათო მაღრაძემ, - ყველაზე რთული შეკითხვები ბავშვებს აქვთო.

"ჯერ კარგად არ ვიცნობთ თქვენს შემოქმედებას, მაგრამ რაც წაგვიკითხავს, ძალიან მოგვწონს. გვაინტერესებს თქვენს შესახებ ყველაფერი: როგორები ხართ, რას კითხულობდით ჩვენს ასაკში, რას კითხულობთ ახლა; რა გიყვართ", - შეამზადა სტუმრები ერთ-ერთმა მოსწავლემ, მაგრამ, როგორც ორსაათიანი შეხვედრის ბოლოს აღმოჩნდა, ბავშვებს კიდევ უფრო მეტი აინტერესებდათ. რაც მთავარია, სტუმრებსაც ისე მოეწონათ ბავშვებთან საუბარი და ისე გაშინაურდნენ, აღარ არსებობდა მათ შორის საუბრის დაფარული თემა. ტურაშვილი უზიარებდა პატარებს საკუთარ მოსაზრებებს "მაკდონალდსთან" და, საერთოდ, ამერიკულ ფასეულობებთან დაკავშირებით და ცდილობდა, პირადი გამოცდილებიდან მოეყვანა მაგალითები. მაგალითად: როდიდან აღმოაჩინა, რომ ამერიკელები მარტივად, მითითებებით ცხოვრობენ; პაკო სიმონიშვილს ეკითხებოდნენ, წერს თუ არა ლექსებს გერმანულად; "პირველი რუსის" თემა ამ შეხვედრაზეც იყო ინტერესის საგანი. დიდი ხმაურისა და სკანდალური გარჩევების მიუხედავად, ალბათ, აქამდე ლაშა ბუღაძისთვის არავის უკითხავს ასე გულწრფელად და უბრალოდ: საიდან მოგივიდათ იდეა, რომ ეს დაგეწერათ? იყო უფრო სერიოზული, მაგალითად, აფხაზეთის თემაც - როგორ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები?... ბავშვებს ავტორიტეტების მოსაზრებები ბევრ საკითხთან დაკავშირებით აინტერესებდათ.

თანდათან შეხვედრას მაღაზიაში შემოსული რიგითი მოქალაქეებიც ემატებოდნენ და, რა გასაკვირია, რომ კარგა ხანს რჩებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი მოულოდნელი სტუმარი ჟურნალისტი კოკა ყანდიაშვილიც აღმოჩნდა. "ლიტერატურულ კაფეში" შემოსულმა გაკვირვება ვერ დაფარა და წამოიძახა: "რა ხდება?" რაზეც მოსწრებული რეპლიკა ჰქონდა პაკო სიმონიშვილს: ყველაზე გულწრფელი რა ხდება იყოო... "რა ხდებასი" არ ვიცი, შეხვედრა კი გუშინ, მართლაც, გულწრფელი გამოვიდა. როგორც ჩანს, "ქართული სასწავლებლის" მოსწავლეებისგან კიდევ უნდა ველოდოთ სიახლეებს უახლოეს მომავალში. ბავშვებს დაწყებული აქვთ ეკოლოგიურ თემაზე ზღაპრების შექმნა. იმედია, სასწავლებლის დირექცია კიდევ მოუმზადებს მათ საჩუქარს და ამ ზღაპრებს წიგნად გამოსცემს.

# მსახიობი მიკროფონთან - ანუ "რუსთავი 2" წარმოგიდგენთ

დიმიტრი როგავა

საბჭოთა ეპოქაში კინოსტუდია "ქართულ ფილმთან" არსებობდა დუბლირებული კინოფილმებისა და მულტფილმების სტუდია, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ბატონი ვახტანგ ტაბლიაშვილიც კი ედგა სათავეში. ამის პარალელურად, ტელეფილმების სტუდიაშიც ახერხებდნენ სხვა ქვეყნების კინო თუ ტელეპროდუქციის გახმოვანებას, თუმცა ეს ყველაფერი მაინც მაშინდელ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე იყო დამოკიდებული და არ შეიძლებოდა არც ერთი ისეთი ფილმის, არათუ გაქართულება, ჩვენებაც კი, რომელშიც რაიმე ანტისაბჭოური "გამოანათებდა" ხოლმე.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული კინო მაშინ შემოქმედებით ზენიტში გახლდათ – გახმოვანებულ პროდუქციაზე მოთხოვნაც ნაკლები იყო.

დღეს სხვაგვარი რეალობაა... ქართულ კინოს გაუჭირდა... ამ ფონზე, გაჩნდა მრავალი ტელეკომპანია და მათი საეთერო დროის უდიდეს ნაწილს, თუ მთელს არა, სწორედ გაქართულებული კინო და ტელეპროდუქცია იკავებს.

საეთერო დროის 100 პროცენტით გაქართულების ტენდენციის ნამდვილ ფლაგმანად სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" იქცა. მათ პირველებმა აუღეს ალღო ქართველი მაყურებლისათვის პროდუქციის მშობლიურ ენაზე მიწოდების აუცილებლობას და მათი მაუწყებლობის პირველივე წლებიდან ეთერის გაქართულება პრიორიტეტად აქციეს. ეს იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების მაგალითი. შემდეგ ეს იდეა აიტაცეს სხვა ტელეკომპანიებმაც და მძლავრი კონკურენციის პირობებში უფრო და უფრო იხვეწება ქართველი მაყურებლის გემოვნებაც და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მაყურებლის ყური შეეჩვია ქართულ ენაზე ამეტყველებულ უცხოელ მსახიობებს.

"რუსთავი 2"-ის გახმოვანების სტუდიაში ძალიან საინტერესო აქტიორული შემადგენლობაა შეკრებილი; სხვა არხებისაგან განსხვავებით, აქ არც ერთი ფილმისა თუ სერიის შემდეგ არ ცხადდება, თუ ვის ხმას უსმენდა მაყურებელი – ფილმი გახმოვანებულია სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის მიერო, – აცხადებენ და ამ ფრაზაშია ჩადებული მთელი შემოქმედებითი კოლექტივის არნახული შრომა ნებისმიერი პროდუქციის ქართულად ასამეტყველებლად.

დღეიდან გაზეთი "24 საათი" მოგაწვდით ინფორმაციას "რუსთავი 2"-ის გამხმოვანებელთა შესახებ; ვეცდებით, უფრო ახლოს გავაცნოთ მათი თავი მკითხველსა და მაყურებელს და დავრწმუნოთ, რომ ამ სტუდიაში ქართული თეატრისა და კინოს თვალსაჩინო წარმომადგენლები მოღვაწეობენ.

### ნინო თარხან-მოურავი

80-იანი წლების ბოლოს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა თეატრალურ ინსტიტუტთან არსებული დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი. აქ მომავალი მსახიობები, ჯერ კიდევ სტუდენტები, თავდავიწყებით თამაშობდნენ ქართული რეჟისურის დიდოსტატების მიხეილ თუმანიშვილის, ლილი იოსელიანის, გიგა ლორთქიფანიძის და სხვათა წარმოდგენებში. და მაინც, მაყურებლის განსაკუთრებული ინტერესი ბატონი გიზო ჟორდანიას სპექტაკლებისადმი შეინიშნებოდა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა - ერთი ის, რომ ბატონი გიზო იმ პერიოდში უთეატროდ იყო დარჩენილი და თეატრალებს ენატრებოდათ მის შემოქმედებასთან შეხვედრა, და მეორე და უმთავრესი გახლდათ ერთ სამსახიობო ჯგუფში თავმოყრილი ძალიან საინტერესო აქტიორული კოლექტივი. ამ ჯგუფს უწინასწარმეტყველებდნენ დიდ მომავალს, ცალკე თეატრალურ კოლექტივად ჩამოყალიბებას... "ანა ფრანკის დღიური" და "სამანიშვილის დედინაცვალი" ასზე მეტ ანშლაგს ითვლიდა, და ეს სტუდენტური სპექტაკლების ყველა რეკორდს სცილდებოდა. ჰიტად ქცეული სპექტაკლები სულ მალე რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გადააქვთ და სწორედ ამ თეატრის დასს გაამდიდრებენ ნანა ხუსკივაძე, ნანა შონია, ქეთი ჩხეიძე, მაია ფაჩუაშვილი, მერაბ ნინიძე, ლევან წულაძე, გოჩა კაპანაძე, ირაკლი მაჭარაშვილი... და ნინო თარხან-მოურავი!!!

თითოეული მათგანის შემოქმედებითი ცხოვრება შემდგომში სხვადასხვაგვარად წარიმართა, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან მაინც აშკარაა ამ ჯგუფის წევრების გავლენა თანამედროვე თეატრალურ ცხოვრებაზე.

ნინო თარხან-მოურავი დღეს "რუსთავი 2"-ის ერთ-ერთი ძირითადი "ხმაა". მის მიერ ქართულ ენაზე ამეტყველდნენ სოფი ლორენი, ჯინა ლოლობრიჯიდა, ანი ჟირარდო, კატრინ დენევი, ორნელა მუტი და სხვა მრავალი შესანიშნავი მსახიობი, აგრეთვე - ტელესერიალების ("მეორე მე", "სიყვარულის ერთგულება", "ქალთა ქვეყანა", "წითელი ფეხსაცმელის დღიურები", "სექსი დიდ ქალაქში", "ასულ ტეკილა" და სხვა მრავალი) გმირები. ხშირად გაიგონებთ მის ხმას "იმიჯ-ცენტრისა" თუ სხვა კომპანიებისა თუ ფირმების სარეკლამო რგოლებსა თუ კლიპებზე. მისი პროფესიონალიზმი, აქტიორული ალღო და ჯერ კიდევ დაუხარჯავი შემოქმედებითი პოტენცია უფრო და უფრო აკეთილშობილებენ სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა ენაზე ამეტყველებულ კინოგმირებს. მისი გახმოვანებული პროდუქცია დიდი ტაქტითა და გემოვნებით გამოირჩევა - მაყურებელს ეძლევა საშუალება, თვალი ადევნოს გმირების ურთიერთობის პროცესებს და, გადაჭარბებული ემოციურობისა და ყალბი პათოსის გარეშე, მშობლიურ ენაზე მოისმინოს გამართული ფრაზა, აზრის პერსპექტივით წარმოთქმული თითოეული სიტყვა და წინადადება.

ნინო თარხან-მოურავი დღეს რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობია. ანა ფრანკიდან მოყოლებული, დღემდე მის რეპერტუარში სხვადასხვა ეპოქის, ეროვნების, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის ქალები არიან. იქმნება სახე, იქმნება ახალი ადამიანი სცენაზე და მაყურებელი მასთან ერთად მიემართება მის მიერ განხორციელებული გმირის სულის ლაბირინთებში.

ასეთია მისი ოფელია "ჰამლეტში", ვიკა ლუბერეცკაია "ამაღამ, მგონი, იქნება ქარი" (სხვათა შორის, მას ამ როლის შესრულებისათვის წლის საუკეთესო ქალი-მსახიობის წოდება მიენიჭა), ადელა - "ბერნარდა ალბას სახლი", გუგულა - "ნახვის დღე", თეა - "მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი", ვიოლა - "მეთორმეტე ღამე" და სხვა მრავალი.

ძნელია მის მიერ განხორციელებული კინოროლების დავიწყება ალექსანდრე რეხვიაშვილის, გიგა ლორთქიფანიძის, გიორგი შენგელაიასა და სხვათა ფილმებში – "საფეხური", "პრემიერა", "ხარება და გოგია"...

ნინო თარხან-მოურავი სავსეა შემოქმედებითი შემართებით... ფიქრობს, ოცნებობს. არ ჩერდება, არ ეგუება ზოგჯერ წარმოქმნილ შემოქმედებით პაუზებს... ეს განსაკუთრებით გამოჩნდა მის მიერ რამოდენიმეჯერ, სხვადასხვა მიზეზით, თითქმის, ურეპეტიციოდ ნათამაშებ როლებში, სადაც მან არა მარტო გადაარჩინა თეატრი სპექტაკლის ჩავარდნისგან, არამედ თავისი გამორჩეული ხიბლი შეჰმატა სპექტაკლსა თუ როლს. ამ მხრივაც განსაკუთრებით აღსანიშნავია "მეთორმეტე ღამე". ამ სპექტაკლით ნინო წარდგა არა მარტო თბილისელი, არამედ მოსკოველი და პეტერბურგელი მაყურებლის წინაშე; რუსული პრესა გამორჩეულად აფასებდა მის ნიჭიერებას.

ეს მოკრძალებული ჩანახატი არაჩვეულებრივი ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედების ანალიზს ნამდვილად არ მოიცავს. ნინოზე ბევრი დაწერილა, ბევრიც დაიწერება... დარწმუნებული ვარ, მომავალში მრავალი სცენიური თუ კინოროლი შეიქმნება მის მიერ... და ჩვენც ისევე მოუთმენლად ველოდებით ამ გმირებთან შეხვედრას, როგორც ჩვენი ტელემაყურებელი ელოდება მის მიერ ამეტყველებული საყვარელი პერსონაჟების გამოჩენას "რუსთავი 2"-ის ეთერში.





ნინო თარხან-მოურავი - მიმდინარეობს ჩაწერა

# განქორწინების ჩინებული შედეგები



ნიკოლ კიდმანი და ტომ კრუზი შვილთან ერთად



"ცივი მთების" პრემიერაზე სიდნეიში

### აღმასვლის მძიმე დასაწყისი

ნიკოლ კიდმანი და ტომ კრუზი - ჰოლივუდის ვარსკვლავები, საოცნებო წყვილი, რომლის სიყვარულსაც მსოფლიო პრესა უწყვეტლივ უგალობდა, 2001 წელს დაცილდნენ ერთმანეთს. ტომ კრუზმა ნიკოლს ზურგი შეაქცია და ისევ მსახიობს, ნიკოლზე არანაკლებ ლამაზმანს, პენელოპა კრუსს მიაშურა. ნიკოლი კი ღრმა დეპრესიაში ჩავარდა.

ხუთშაბათს ავსტრალიური ტელეარხი „ნაინისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მსახიობმა პირველად აღიარა, რომ ათწლიანი ქორწინების დასრულების შემდეგ „შერცხვენილად და იმედგაცრუებულად“ გრძნობდა თავს. „იმხანად მხოლოდ იმაზე ვოცნებობდი, მოვკუნტულიყავი და არავის შევეწუხებინე. ლოგინიდან ადგომა მიჭირდა,“ - თქვა მან. ამ მდგომარეობიდან ის ორმა შვილმა გამოიყვანა – აიძულა, გამოსულიყო. საყვარელი მამაკაცის დაკარგვის შემდეგ ნიკოლი კინოს დიდი გატაცებით დაუბრუნდა.

ვირჯინია ვულფის როლი ფილმში „საათები“ მძიმე, მაგრამ ძალიან დროული და იმედისმომცემი იყო. იმ დღეების გახსენება ნიკოლს დღესაც არ სიამოვნებს. „მართლაც, აუტანლად ვიქცეოდი. ნამდვილად გასალანძღი ვიყავი, რადგან სულ ვამბობდი: „არა, მუშაობა არ მინდა! ან ვაცხადებდი, რომ აღარაფერი მაინტერესებს,“ - ჰყვება კიდმანი. მაგრამ, სირთულეები გავლილი ეტაპია - გასული წლის თებერვალში კიდმანმა ვირჯინია ვულფის როლისთვის თავისი პირველი „ოსკარი“ მიიღო.

ამჟამად „ოსკარის“ მფლობელმა მსახიობმა მშობლიურ ქალაქ სიდნეიში თავისი ბოლო ნამუშევარი - ფილმი „ცივი მთები“ წარმოადგინა. ამ ფილმში მისი პარტნიორი მსახიობი ჯუდ ლოუა. კიდმანი ჯარისკაცის ცოლის როლს თამაშობს, მოქმედება კი ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ხდება - 1861-1865 წლებში. თითქოს, უბრალო ამბავია: ჯარისკაცი ბრძოლის შემდეგ თავის ცოლთან დაბრუნებას ცდილობს.

სიდნეიში გამართული პრემიერის დროს ნიკოლ კიდმანმა ბრძანა, რომ სამშობლოში ყოფნა ძალიან უხარია და იმედოვნებს, რომ შობასაც ავსტრალიაში შეხვდება.

„ცივი მთების“ წარმატებით ფრთაშესხმულმა მსახიობმა პრემიერის დღეს თქვა: „გულზე მომეშვა. ძალიან მიხარია, რომ კარგად გამომივიდა. რაც შეეხება მეორე „ოსკარს“ - „ცივი მთებისთვის,“ ამაზე მხოლოდ მაშინ ვიფიქრებ, მხოლოდ მაშინ დავიჯერებ, როცა „ოსკარს“ გადმომცემენ“.

### კიდევ ერთი ჯილდოს მოლოდინში

სიდნეიში წარმატება მხოლოდ დასაწყისია: შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე საპატიო კინოჯილდოს, „ოქროს გლობუსის“ ჟიურის აზრით, „ცივი მთები“ ფავორიტი იქნება, რადგან ნიკოლ კიდმანმა და ჯუდ ლოუმ საუკეთესოდ წარმოაჩინეს სამოქალაქო ომის დროს ორი უბრალო ადამიანის დრამა.

„ცივი მთები“ ლოს ანჯელესში რვა ნომინაციაზეა წარდგენილი. ერთ-ერთი მათგანი „საუკეთესო დრამატული ნამუშევრის“ ნომინაციაა.

კიდმანი და ლოუ მთავარი როლების საუკეთესო შემსრულებელთა ნომინანტებად არიან დასახელებულები, ამავე ფილმში დაკავებული რენე ზელვეგერი – მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელთა შორის. „ოქროს გლობუსის“ ნომინანტია, ასევე, ფილმის სცენარის ავტორი და რეჟისორი ენტონი მინგელა.

საუკეთესო კინოდრამის წოდებაში „ცივ მთებს“ „ბეჭდების მბრძანებლის“ მესამე ნაწილი, „ჯადოსნური მდინარე“, მეზღვაურთა ეპოსი Master & Commander სამყაროს ბოლომდე“ და დოლის ცხენის ამბავი, Seabiscuit ეცილებიან.

ფანტასტიკურ ეპოსს, „ბეჭდების მბრძანებელი – ხელმწიფის დაბრუნება,“ მხოლოდ ოთხ ნომინაციაში მოხვედრის პატივი ხვდა წილად, რაც მრავალ კინომოყვარულს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ, რას იზამ. ხუთ-ხუთ ნომინაციაზე წარდგენილია ამერიკულ-იაპონური კომედია „თარგმანში დაკარგული“ და მამაკაცთა ტრაგედიის ამსახველი „ჯადოსნური მდინარე“ (რეჟისორი – კლინტ ისტვუდი). ამ უკანასკნელისთვის კლინტ ისტვუდმა შეიძლება წლის საუკეთესო რეჟისორის წოდება მოიპოვოს, შონ პენმა კი – მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის წოდება.

სოფია კოპოლას, დიდი რეჟისორის, ფრენსის ფორდ კოპოლას ქალიშვილის ფილმი, „თარგმანში დაკარგულია“, რეჟისორისა და სცენარისტის ნომინაციებში გავიდა. ეს მელანქოლიური კომედია ორი ამერიკელის ამბავს გადმოსცემს, რომლებიც ტოკიოში ყოფნისას დამეგობრდნენ. საუკეთესო რეჟისორის წოდებისთვის, ასევე, იბრძვიან პიტერ ჯექსონი („ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება“) და პიტერ ვეირი (Master& Commander: სამყაროს ბოლომდე“).

„ოქროს გლობუსის“ გადაცემა (უკვე 61-ედ) 25 იანვარს შედგება. ეს ჯილდო, რომელიც ჰოლივუდში უცხოელ ჟურნალისტთა გაერთიანების მიერ გაიცემა, „ოსკარის“ წინაპირობად ითვლება (ამ უკანასკნელის გადაცემის ცერემონია 29 თებერვლისთვისაა დანიშნული).

### გაყრილთა ბედი

ამჟამად ტომ კრუზი ცდილობს, შეძლებისდაგვარად, ხშირად შეახსენოს საზოგადოებას თავი. ის ნამდვილად არ იჩაგრება – ტომი უკვე გახმაურებულ „უკანასკნელ სამურაიში“ თამაშობს. მაგრამ, საზოგადოებრივი საქმიანობა სულ სხვაა, და გერმანულ ჟურნალ „სინემასთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან სრულიად მოულოდნელი თემა აღძრა – ბავშვთა ნარკომანიაში ამერიკის შეერთებული შტატების ფარმაკოლოგიური ინდუსტრია დაადანაშაულა. „პრობლემა კოლუმბიური ნარკომაფია არაა, - თქვა მან, - პრობლემა ფარმაკოლოგიური ინდუსტრიაა. ის აქცევს ადამიანებს ნარკომანებად“. 41 წლის მსახიობი აღშფოთებულია, რომ, ყურადღების გაფანტვის ან რაიმე მსგავსი სასაცილო მიზეზის გამო, ბავშვებს უმალვე წამლებს აჩეჩებენ.

უნდა ითქვას, რომ ტომ კრუზი, რომელიც თავის ცოლთან მაინცდამაინც ლამაზად არ მოქცეულა, ამ შემთხვევაში აშკარად არ ტყუის. ამჯერად ქვეყანაში რვა მილიონი ბავშვი, ე.წ. თერაპიული მიზნებით, ნარკოტიკებს მოიხმარს. „2014 წელს მათი რიცხვი, ალბათ, 40 მილიონს მიაღწევს. ამას ბოლო უნდა მოეღოს“. მსახიობი იმ ექიმებსაც გადასწვდა, რომლებიც ამ „მკურნალობის“ საშუალებებს მიმართავენ. „მერე ეს საბრალო, ძალად დაავადებული ხალხი ისეთ წერილებს მწერს, რომ წაიკითხოთ, ცრემლი წაგსკდებათ,“ - ამბობს კრუზი.

ტომი, რომელმაც თავისი მეუღლე ორ აყვანილ შვილთან ერთად მიატოვა, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკეთეს სკოლებს და გაუმჯობესებულ განათლების სისტემასაც მოითხოვს.

2004 წლის დასაწყისისთვის ნიკოლს ახალი, ჩინებული შეთავაზება აქვს. თრილერში „თარჯიმანი“ ის შონ პენთან ერთად მთავარ როლს შეასრულებს – გაეროში მომუშავე სამხრეთაფრიკელი თარჯიმნისა, რომელიც შემთხვევით საიდუმლო საუბრის მსმენელი გახდება. საუბარი მკვლელობას ეხება, და ის გამოძიებათა ფედერალური ბიუროს სკეპტიკურ, მაგრამ მომხიბვლელ აგენტთან (შონ პენთან) ერთად ეცდება მკვლელობის თავიდან აცილებას. Variety-ს თანახმად, რეჟისორი სიდნეი პოლაკი ფილმის გადაღებას 2004 წლის იანვარში ნიუ იორკში დაიწყებს.

ალბათ, არავის უკვირს, რომ ამ ყველაფრის ფონზე ნიკოლს დაკარგული სიყვარული აღარც აგონდება. ის მომავალ დიდ წარმატებებს გეგმავს და მომავალ დიდ სიყვარულზე ფიქრობს.

# ახალი მუსულმანი

ჯექსონმა ისლამი მიიღო

მაიკლ ჯექსონი უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. ხუთშაბათს პოპ-ვარსკვლავს ოფიციალური ბრალდება წაუყენეს. მას შვიდი ბავშვის მიმართ ძალადობაში ედება ბრალი. ჯექსონის ოჯახი ერთხმად აღსდგა თავისი ღირსეული წარმომადგენლის დასაცავად: "ჯექსონების ოჯახის სახელი ვაცხადებთ, რომ ეს ბოროტი ცილისწამებაა, აბსოლუტური სიცრუე, მხოლოდ შურით მოტივირებული". ოჯახი აცხადებს, რომ მაიკლი თავისი ენერგიის "ყოველ ნაპერწკალს" ჭეშმარიტების დამტკიცებას მოახმარს. "ჩვენ ამაყად ვდგავართ მაიკლის გვერდით, რადგან ვიცით, რომ ის არასოდეს გააკეთებდა იმას, რაშიც ადანაშაულებენ".

ჯექსონის ადვოკატი მარკ გრეგაროსი, საბრძოლო მზადყოფნაშია. ლარი კინგის სატელევიზიო შოუში მან თქვა, რომ ის ყმაწვილი, რომელიც ჯექსონს ასეთ უზნეობაში ადანაშაულებს, "დაქცეული ოჯახიდანაა გამოსული". უპირველეს ყოვლისა, მისი დედა იმით ყოფილა ცნობილი, რომ შვილებს თავის ჭკუაზე მართავს. ადვოკატი დარწმუნებულია, რომ ბრალდება ფინანსური მოტივებითაა ნაკარნახევი.

პროკურორ ტომ შედონს ადანაშაულებენ, რომ მისი ბრალდება, თითქმის, უსაფუძვლოა. შედონი კი ამტკიცებს, რომ მას სხვებზე მეტი ინფორმაცია აქვს, მაგრამ მის საგაზეთო ჭორებად გადაქცევას არ აპირებს.

მსოფლიო საზოგადოებას ჯერაც არ დაუსრულებია ამ თემაზე მსჯელობა, ჯექსონთან დაკავშირებით კი ახალი სასაუბრო თემა გაჩნდა - პოპ-მუსიკის თვითმარქვია მეფემ ისლამი მიიღო. მაიკლ ჯექსონი გაერთიანდა მოძრაობა "ისლამის ნაციაში", რომლის წევრებიც აშშ-ში მცხოვრები მუსულმანი აფროამერიკელები არიან. გაზეთ "ნიუ იორკ პოსტის" ცნობით, პოპ-ვარსკვლავმა არამარტო რელიგია შეიცვალა, არამედ პირადი დამხმარების შტატის რეორგანიზაციაც დაიწყო.

"ნიუ იორკ პოსტი," სანდო წყაროზე დაყრდნობით, იტყობინება, რომ მოძრაობის წევრები, კარგა ხანია, ცდილობდნენ, დაეყოლიებინათ ჯექსონი, გადაედგა ასეთი ნაბიჯი და შეერთებოდა "ისლამის ნაციას", რომლის იდეური ლიდერი ლუის ფარახანია. გაზეთის წყარო ვერ პასუხობს შეკითხვას, რატომ გადაწყვიტა ჯექსონმა აღმსარებლობის შეცვლა. თუმცა, ვებ-საიტზე FOXNews გაჩნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ჯექსონის გადაწყვეტილებაზე, თურმე, ზეგავლენა იქონია ვარსკვლავის ძმამ ჟერმენმა, რომელმაც 1989 წელს მიიღო ისლამი. მისივე რჩევით, მაიკლ ჯექსონის უახლოეს წრეში, კონკრეტულად კი, "პირად დაცვაში" აღმოჩნდა ლუის ფარახანის ერთ-ერთი დამხმარე.



მაიკლ ჯექსონი - მუსულმანი თუ პედოფილი?

ჯექსონის აღმსარებლობის შეცვლაზე ცნობა მაშინ გაჩნდა, როდესაც ამერიკელმა პროკურორებმა მომღერლის წინააღმდეგ ფორმალური ბრალდებები მოამზადეს ე.წ. "კალიფორნიული საქმის" თაობაზე. არის თუ არა ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირებული, ეს, ალბათ, მოგვიანებით გაირკვევა. მანამდე კი არ იქნება ურიგო, ცოტა რამ შევიტყოთ იმ ორგანიზაციაზე, რომელშიც პოპ-მუსიკის მეფე მაიკლ ჯექსონი გაწევრიანდა.

ისლამის შავკანიანი მიმდევრები ამერიკაში მე-17 საუკუნეში გაჩნდნენ - მაშინ, როდესაც აფრიკიდან ამერიკაში მუსულმანი მონები გადაიყვანეს. თუმცა, მეოცე საუკუნის დასაწყისში "შავმა ისლამმა" ახალი ხარისხი მიიღო – ამავე პერიოდში აღორძინდა შავი ნაციონალიზმი და ისლამმაც ტრადიციული ქრისტიანული რელიგიის ალტერნატიული ადგილი დაიკავა. აშშ-ს შავკანიან მოსახლეობას შორის ისლამის გავრცელების იდეოლოგები აცხადებდნენ, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ ხელს უწყობდნენ ადამიანებს, დაბრუნებოდნენ ფესვებს, რადგანაც უამრავი ადამიანი თეთრკანიანი მონათმფლობელის ძალდატანებით გახდა ქრისტიანი.

1913 წელს აშენდა პირველი "შავი" მეჩეთი – მურიშის სამეცნიერო ტაძარი ნიუ ჯერსიში. სწორედ ის გახდა მისიონერული მოღვაწეობის ცენტრი და აქედან ეწეოდნენ შავი ნაციონალიზმის პროპაგანდას. ეს იდეოლოგია აიტაცა 1931 წელს ჩამოყალიბებულმა მოძრაობამ "ისლამის ნაციამ", რომელსაც მეორენაირად "შავ მუსულმანებს" უწოდებენ. პირველი ოცდაათი წლის განმავლობაში ეს მოძრაობა მეტად უსუსური იყო და არანაირი გავლენა არ ჰქონდა მასებზე. სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა 60-იან წლებში, როდესაც აშშ-ში მოძრაობამ ძალები მოიკრიბა სეგრეგაციული კანონმდებლობის შესაცვლელად, რასაც მღვდელი მარტინ ლუთერ კინგი მეთაურობდა. შავკანიანმა ამერიკელებმა რასისტული კანონების შეცვლას მიაღწიეს. როგორც ცნობილია, თანასწორუფლებიანობისთვის მოძრაობას ახლდა შავკანიანთა მღელვარება, რაც აჯანყებაში (მაგალითად, 1967 წელს დეტროიტში) გადაიზარდა. არაფორმალი ლიდერების მღერლვარების იდეოლოგია საოცრად ახლოს იყო იმ იდეებთან, რომელთა პროპაგანდასაც ეწეოდა "ისლამის ნაცია". 60-იან წლებში "ისლამის ნაცია" საკმაოდ ძლიერ და გავლენიან ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. თუმცა, იმ დროს გაჩაღდა უთანხმოება შავკანიან ისლამისტ ნაციონალისტებსა და გაცილებით ორთოდოქსული ფრთის, ისლამის სუნიტური შტოს წარმომადგენლებს შორის. აფროამერიკელი მუსულმანების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახე იყო მალკოლმ ექსი, რომელმაც ქრისტიანული სახელი გადაიკეთა და გახდა ელ-ჰაჯი მალიკ ელ-შაბაზი. ის ბრწყინვალე ორატორული და ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა. მოგვიანებით კი, როდესაც ორთოდოქს სუნიტებთან გაერთიანება გადაწყვიტა, მუსულმანმა ძმებმა ღალატისთვის მოკლეს. ელ-ჰაჯი მალიკ ელ-შაბაზი აფროამერიკელი ახალგაზრდობის ერთ-ერთ გმირად იქცა.

"შავი მუსულმანების" მეორე ცნობილი წევრი იყო კასიუს კლეიუმცროსი, რომელიც "ისლამის ნაციაში" გაერთიანების შემდეგ გახდა მუჰამედ ალი. იგი დღესაც მიიჩნევა ლეგენდარულ მოკრივედ. როგორც ცნობილია, 2001-ში გამოვიდა ფილმი მუჰამედ ალიზე, სადაც მთავარ როლს უილ სმიტი ასრულებს. სმიტი ყველა ინტერვიუში ისეთი აღფრთოვანებით საუბრობდა ალიზე, გაჩნდა მოსაზრებები, რომ ცნობილმა მსახიობმაც მიიღო ისლამი. დღეისათვის "ისლამის ნაციას" გავლენა შენარჩუნებული აქვს, მაგრამ მას ახლა მარგინალურ დაჯგუფებად მიიჩნევენ. მის ლიდერს ლუის ფარახანს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტამდე ამერიკელთა უმრავლესობა მსოფლიოში ყველაზე ცნობილ მუსულმანად მიიჩნევდა.

იმ აფროამერიკელებს შორის, ვინც ისლამი მიიღო, საკმაოდ ბევრი ცნობილი სახეა. მათ რიცხვშია ცნობილი ამერიკელი ჯაზმენი არტ ბლეიკი, ასევე, რამდენიმე პროფესიონალი მოკრივე, მათ შორის - ოთხი მსოფლიო ჩემპიონი და დიდი კალათბურთელი კარიმ აბდულ-ჯაბარი.

ამ ყველაფრის გარდა, "შავი მუსულმანების" ისტორიას შავი მხარეებიც აქვს. "შავი მუსულმანების" ლიდერებს გარკვეული ურთიერთობები ჰქონიათ ტერორისტებთან. მაგალითად, 1993 წელს ნიუ იორკის სავაჭრო ცენტრთან აფეთქების ორი ორგანიზატორი ხშირად ლოცულობდა მეჩეთში. მათი იმამი კი შავი მუსულმანების ერთ-ერთი ლიდერი იყო. სასამართლო პროცესზე იმამმა დაიცვა დამნაშავეები და განაცხადა, რომ ისინი ისლამის ყველაზე პატივსაცემი მიმდევრები იყვნენ. თავად იმამი კი 170 ეჭვმიტანილს შორის აღმოჩნდა. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

### ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის"**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| მესამე სარდალი | ლაშა ბუღაძე | არეტე | 77 |
| ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის | გია ნოდიაშვილი | ორიენტალური გამოცემა | 11 |
| [illegible] | ჰერმან ჰესე | [illegible] | 11 |
| მინერალური ჯაზი | ზაზა ბურჭულაძე | ლოგოს პრესი | 9 |
| [illegible] | გურამ დოჩანაშვილი | მერანი | 6 |
| [illegible] | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 5 |
| ქართული პროზის მეორე ანთოლოგია (XX საუკუნის მეორე ნახევარი) | კრებული | დიოგენე | 5 |
| [illegible] | რატი ამაღლობელი | საარი | 5 |
| [illegible] | აკა მორჩილაძე | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 4 |
| [illegible] | ოტია იოსელიანი | [illegible] | 4 |



**გასული კვირის ყველაზე შემოსავლიანი კონცერტები**

| შემსრულებელი/ჯგუფი | ქალაქი | დრო | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|
| Simon & Garfunkel, The Everly Brothers | ნიუ იორკი | 2-4 დეკემბერი, 2003 | 6,023,220 |
| Simon & Garfunkel, The Everly Brothers | East Rutherford | 7-8 დეკემბერი, 2003 | 4,427,726 |
| Night of the Proms: Toto, Ilse De Lange, INXS, John Miles Band | როტერდამი | 18 დეკემბერი, 2003 | 3,886,919 |
| სელინ დიონი | ლას ვეგასი | 10-14 დეკემბერი, 2003 | 2,757,746 |
| Simon & Garfunkel, The Everly Brothers | ფილადელფია | 9 დეკემბერი, 2003 | 2,045,222 |
| Simon & Garfunkel, The Everly Brothers | ტორონტო | 30 ნოემბერი, 2003 | 1,954,089 |
| [illegible] | საკრამენტო | 13 დეკემბერი, 2003 | 1,172,328 |
| [illegible] | San Jose | 14 დეკემბერი, 2003 | 1,111,660 |
| "აეროსმითი" და "კისი", Porch Ghouls | Jacksonville | 5 დეკემბერი, 2003 | 1,091,880 |
| KIIS Jingle Ball: [illegible], Simple Plan, [illegible], Fabolous, Thalia, Blaque | ლოს ანჯელესი | 5 დეკემბერი, 2003 | 1,038,850 |



**წლის ყველაზე შემოსავლიანი ფილმები**

| სათაური | რეჟისორი/მთავარ როლებში | საერთო შემოსავალი მილიონ $-ში | გამოსვლის პერიოდი |
|---|---|---|---|
| ბეჭდების მბრძანებელი: ორი კოშკი | პიტერ ჯექსონი / ელაიჯა ვუდი, შონ ასტინი, კრისტოფერ ლი | 339.7 | 31 კვირა და 5 დღე |
| ნემოს ძიებაში | ენდრიუ სტენტონი / ჯეფრი რაში, [illegible] | 339.7 | 28 კვირა და 3 დღე |
| კარიბის ზღვის მეკობრეები | გორ ვერბინსკი / ჯონი დეპი, ორლანდო ბლუმი, ჯეფრი რაში | 305.3 | 22 კვირა და 5 დღე |
| მატრიცა: გადატვირთვა | ენდი და ლარი ვაჩოვსკები / კიანუ რივზი, ქერი-ენ მოსი | 281.5 | 23 კვირა და 4 დღე |
| ჰარი პოტერი და საიდუმლოებათა პალატა | კრის კოლუმბუსი / დენიელ რედკლიფი, კენეტ ბრანა, ჯონ კლისი | 262 | 21 კვირა და 3 დღე |
| ყოვლისშემძლე ბრიუსი | ტომ შედიაკი / ჯიმ კერი, ჯენიფერ ანისტონი | 242.6 მილიონი ამერიკული დოლარი | 21 კვირა და 3 დღე |
| X2: X-Men United | ბრაიან სინგერი / პატრიკ სტიუარტი, ბრაიან კოქსი | 214.9 | 20 კვირა და 4 დღე |
| ჩიკაგო | რობ მარშალი / რენე ზელვეგერი, კეტრინ ზეტა-ჯონსი, რიჩარდ გირი | 170.7 | 35 კვირა და 4 დღე |
| დამიჭირე თუ შეგიძლია | სტივენ სპილბერგი / ლეონარდო დი კაპრიო, ტომ ჰენქსი, კრისტოფერ უოკენი | 164.4 | 16 კვირა და 5 დღე |
| სხვა დროს მოკვდი | ლი ტამაჰორი / პირს ბროსნანი, ჰოლი ბერი, ჯუდი დენჩი | 160.2 | 11 კვირა და 3 დღე |

*ჩოგბურთი*

# უიმბლდონს გადახურავენ



*უიმბლდონს თავზე ჭერი ექნება*

ბოლოს და ბოლოს, კონსერვატორი ინგლისელებიც დარწმუნდნენ, რომ არ შეიძლება, ყოველ წელიწადს, წვიმის გამო გაუთავებლად გადაიდოს და გაჯანჯლდეს უიმბლდონის ტურნირი. ივნისში, როცა უიმბლდონის ტურნირი ტარდება, ბრიტანეთში წვიმების პერიოდი იწყება. ამიტომ ორკვირიანი საჩოგბურთო ტურნირი უსაშველოდ, სამ კვირას გრძელდება. შეჯიბრების ორგანიზატორებს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თუ სხვა ორგანიზაციებმა შესთავაზეს, ტურნირი ერთი თვით გადაეტანათ, მაგრამ ინგლისელებმა არ ისურვეს, ასწლოვანი ტრადიციული ტურნირის ჩატარების ვადა შეეცვალათ.

ბოლოს, სხვადასხვა პროექტის აცილების შემდეგ მიღწეულია შეთანხმება, გადაიხუროს სრულიად ინგლისის საჩოგბურთო ცენტრის - უიმბლდონის ცენტრალური კორტი. პროექტის დეტალები და პრინციპულად ახალი კორტის მშენებლობის ვადები 2004 წლის 6 იანვარს გამოქვეყნდება.

ავდრის გამო საჩოგბურთო მატჩების გადატანა ისეთივე ტრადიციული მოვლენაა, როგორც მხოლოდ უიმბლდონისთვის დამახასიათებელი - ღამის რიგები სალაროებთან და ტურნირის საფირმო დესერტი მარწყვი ნაღებით. როგორც ერთ-ერთი ინგლისური გამოცემა იუწყება, სტადიონის რეკონსტრუქციის გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. მათ შორის მთავარი მატჩების ტელეტრანსლაციის გარანტიაა. დროთა განმავლობაში ჟურნალისტებში სულ უფრო იზრდებოდა წვიმის გამო მატჩების გადატანით გამოწვეული უკმაყოფილება. კორტის ახალი პროექტი ითვალისწინებს დამატებითი განათების დამონტაჟებასაც. თუმცა, ადრე თამაშები ღამით, პრაქტიკულად, არ ტარდებოდა.

უიმბლდონის წარმომადგენლები მრავალი წლის განმავლობაში მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ მსგავსი სიახლის დანერგვას, მაგრამ სრულიად ინგლისის საჩოგბურთო კლუბის თავმჯდომარემ, ტიმ ფილიპსმა აღნიშნა, რომ მისი კოლეგების აზრი ივნისში შეიცვალა, როცა მან თქვა: "ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენი გულშემატკივრებისთვის კორტზე სახურავი დავამონტაჟოთ და ყველა პირობა შევქმნათ მათთვისაც და ჩოგბურთელებისთვისაც".

ამასთან, უიმბლდონის ცენტრალური კორტის მოდერნიზაციის პროექტმა საჩოგბურთო სამყაროში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მაგალითად, ცნობილმა გერმანელმა ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა წამოაყენა წინადადება - ყველაფერი ხელუხლებლად დარჩეს. "უიმბლდონს თავისი განუმეორებელი ატმოსფერო აქვს და სახურავის დამონტაჟება ამ ატმოსფეროს საფუძვლიანად შეცვლის", - ამბობს ბეკერი.

არქიტექტორები უკვე შეუდგნენ ახალი სტადიონის მშენებლობის სქემის შექმნას. სწორედ ამ არქიტექტორებმა შეიმუშავეს კარდიფში "მილენიუმის" სტადიონის გადახურვის პროექტი, სადაც მოძრავი სახურავია დამონტაჟებული. მსოფლიოში მოძრავსახურავიანი რამდენიმე კორტი არსებობს. კერძოდ, ავსტრალიაში, მელბურნ პარკის ცენტრალური და ნიუ იორკში, არტურ ეშის კორტები. ევროპაში კი მოძრავი სახურავით ცნობილი პირველი არენა ჰოლანდიაში 1996 წელს აიგო - "აიაქსის" მშობლიური "ამსტერდამ არენა".

*TV-სპორტი*

## შაბათი. 20 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. დღიური
07:30 NBA TV. "LOS ANGELES LAKERS" - "DENVER NUGGETS". პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. მატჩი მე-3 ადგილისთვის
15:00 "ექსპერტიზა"
15:30 "გაიტანე!" ანდრეი შევჩენკოსთან ერთად
15:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:15 თავისუფალი დარტყმა
16:30 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. ფინალი
18:15 "ცხრიანი"
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:50 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "ბრიუგე" – "აიაქსი"
22:25 ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკო" – "რასინგი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (23:15) სახვალიო ტელეპროგრამა
00:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. "ვიტესი" – "პსვ". შესვენებისას (01:10) თავისუფალი დარტყმა
02:20 02:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "NEW ORLEANS HORNETS" - "MEMPHIS GRIZZLIES". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 13:20, 17:00, 21:30 პრესცენტრი
11:15, 21:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
12:15 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
13:00 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
13:50 ჰოკეი. ევროტური. "ბალტიკის თასი". შვედეთი - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:15 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. სწრაფდაშვება
17:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "LOS ANGELES LAKERS" - "DENVER NUGGETS"
19:30 ჰოკეი. ევროტური. "ბალტიკის თასი". ფინეთი – ჩეხეთი
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "PHILDALEPHIA FLYERS" – "NEW YORK ISLANDERS". პირდაპირი ტრანსლაცია
00:45 ახალი ამბები
01:00 პროფესიული კრივი. ვლადიმირ კლიჩკო – დანიელ ნიკოლსონი. პირდაპირი ტრანსლაცია გერმანიიდან
03:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ქალები. 10კმ.
04:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ვაჟები. დუატლონი 2x15კმ.
05:20 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა

**EUROSPORT**

11:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვაკეთში
12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონათა ლიგის ბედნიერი საათი
13:30 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
15:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვაკეთში
16:30 მულტისპორტი
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
18:45 ბობსლეი. მსოფლიო თასი გერმანიაში
19:45 ზამთრის სპორტი. გამოსასვლელი დღეები ზამთრის ბაღში
20:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვაკეთში
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
22:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ცხენოსნობა. კონკური დიდ ბრიტანეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 მულტისპორტი
02:45 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:15 სნოუბორდი. შეჯიბრება ავსტრიაში
03:45 თავგადასავალი. სერია X-რეიდი
04:45 ახალი ამბები

*ფეხბურთი*

# "Onze Mundial" - ანრი საუკეთესოა

### ფრანგული ჟურნალი 2003 წლის ლაურეატებად "თავისიანებს" ასახელებს

აკა ტონია

2003 წელი დასასრულს უახლოვდება. ვინ იყო წლის საუკეთესო სპორტსმენი? სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად ამ კითხვას ჟურნალისტებიც სვამენ. FIFA-მ უკვე გაგვიზიარა თავისი აზრი – 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ტიერი ანრი დაასახელა. ფრანგული ჟურნალი "France Football"-ი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს მომავალ კვირას დაასახელებს და მას "ოქროს ბურთს" გადასცემს. მანამდე კი ასევე ფრანგულმა ჟურნალმა "Onze Mundial"-მა თავისი რჩეული დაასახელა. ამ გამოცემის აზრით, 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელი ტიერი ანრი იყო. "Onze Mundial"-მა თავისი რჩეული დააჯილდოვა შესაბამისი პრიზით - "Onze Oro"-თი, რომელიც ანრის ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა გადასცა.

ეჭვგარეშეა, რომ 2003 წელი, მართლაც, საუკეთესო იყო ანრის საფეხბურთო კარიერაში. 15 დეკემბერს FIFA-მ ის ზიდანის შემდეგ მსოფლიოს მეორე ფეხბურთელად დაასახელა, ახლა კი "Onze Oro". აღსანიშნავია ისიც, რომ "Onze Mundial"-მა სწორედ ზინედინ ზიდანი მიიჩნია მეორე ფეხბურთელად, ანრის შემდეგ. თუმცა, FIFA-სგან განსხვავებით,



*ფრანგებმა ანრი აღიარეს*

ფრანგულმა ჟურნალმა საპატიო მესამე ადგილი მიანიჭა არა რონალდოს, არამედ დევიდ ბექჰემს. გასაკვირი ის არის, რომ "Onze Mundial"-ის რჩეულთა პირველ ათეულში საერთოდ არ ფიგურირებენ რონალდო და რობერტო კარლოსი.

ჟურნალის უკანასკნელი ნომერი, რომლის ყდაზეც "Onze Oro"-ს მფლობელი, მოღიმარი ანრი არის გამოსახული, ფეხბურთელთან ვრცელ ინტერვიუსაც გვთავაზობს. კითხვაზე, თუ ვის მიანიჭებდა პირველობას ანრი, ის პასუხობს: "ზიდანს მივცემდი ხმას, თუმცა, სხვაც ბევრი კარგი ფეხბურთელია. მომეწონა ნედვედი და ინძაგიც. განსაკუთრებით მიზიდავს რაული. ის უნიკალური ფეხბურთელია". "Onze Mundial"-ის სიაში რაული მე-6 ადგილზეა. თავის ინტერვიუში ანრი იმაზეც კი საუბრობს, თუ ვისი თამაშის სანახავად გადაიხდიდა ფულს. ჟურნალისტის ამ კითხვას ის დაუფიქრებლად პასუხობს: "მე გადავიხდიდი ფულს, რათა ფიგუს თამაში მენახა და არ გადავიხდიდი ბექჰემის სანახავად! ეს ფეხბურთელები თანაბრად ეფექტურები არიან, თუმცა, მე ფიგუ უფრო მომწონს. ფიგუ დიდებულია!" ცხადია, უკანასკნელ ხანს გავრცელებული ჭორებისა და მითქმა-მოთქმის ფონზე, ანრი მადრიდის "რეალში" მისი შესაძლო გადასვლის თემასაც ვერ გაექცეოდა, თუმცა ამასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას მან არ უპასუხა.

"Onze Mundial"-მა გამოაქვეყნა წლის საუკეთესო მეკარეების სიაც, რომელსაც სათავეში უდგას ტურინის "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მეკარე ჯან ლუიჯი ბუფონი. მეორე ადგილს იკავებს მადრიდელი იკერ კასილიასი.

ჟურნალმა არც მწვრთნელები დაივიწყა. მსოფლიოს საუკეთესო დამრიგებლად "Onze Mundial"-ი "არსენალის" ფრანგ თავკაცს, არსენ ვენგერს მიიჩნევს. მეორე ადგილზეა იუვენტუსელი მარჩელო ლიპი. შემდეგ მოდიან კარლო ანჩელოტი ("მილანი"), ჟაკ სანტინი (საფრანგეთის ნაკრები) და ალექს ფერგიუსონი ("მანჩესტერ იუნაიტედი"). სიაში ვერ მოხვდა "რეალის" ყოფილი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე. "Onze Mundial"-ის სიაში ესპანეთის ჩემპიონატის არც ერთი კლუბის მწვრთნელი არ ფიგურირებს.

# ვილაცამ აბრამოვიჩის ბუდეს გადაუფრინა...

### "ჩელსის" რუსი მეპატრონე გაძარცვეს

*ლონდონის "ჩელსის" მეპატრონე, ჩუკოტკელი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი განრისხებულია. ორშაბათს, დილაადრიან, სტადიონ "სტემფორდ ბრიჯზე" მდებარე მისი ოფისი გაძარცვეს. წაიღეს კომპიუტერები, რომლებშიც ბიზნესმენისთვის მეტად საჭირო ინფორმაცია ინახებოდა.*

"უოტერგეიტი" 31 წლის შემდეგ – დაახლოებით ასე შეიძლება იმ ინციდენტის აღწერა, რაც გასულ ორშაბათს, "სტემფორდ ბრიჯზე", რომან აბრამოვიჩის ოფისში მოხდა. პოლიციის განცხადებით, შენობიდან კლუბის ხელმძღვანელთა კუთვნილი კომპიუტერები, მათ შორის, აბრამოვიჩის კომპიუტერი გაქრა. სამართალდამცავების თქმით, ამ კომპიუტერებში მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახებოდა, თუმცა, დაზარალებული მხარე არ ამხელს, რა ინფორმაციაზეა საუბარი.

აბრამოვიჩის ოფისი სავსეა ინფრაწითელი, ლაზერული სხივების სიგნალიზაციით. მიუხედავად ამისა, მძარცველებმა შეუმჩნევლად შეაღწიეს ოფისში. ეს ფაქტი პოლიციას საშუალებას აძლევს, დაასკვნას, რომ დანაშაული მაღალ დონეზე, წინასწარ იყო დაგეგმილი. სამართალდამცავები არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავენ, რომ ძარცვაში ოფისის რომელიმე თანამშრომელიც იღებდა მონაწილეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ, კომპიუტერების გარდა, ოფისიდან არაფერი მოუპარავთ. "ეჭვგარეშეა, საქმე გვაქვს პროფესიონალებთან, რომლებიც კონკრეტული დავალებით მოვიდნენ აქ. ყოველივე ეს ძალიან ჰგავს უოტერგეიტის ამბავს", - განაცხადა პოლიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. შეგახსენებთ, რომ უოტერგეიტი უწოდეს 1972 წლის 17 ივნისს აშშ-ში მომხდარ სკანდალს, როდესაც სასტუმრო "უოტერგეიტში" მდებარე დემოკრატიული პარტიის ოფისში უამრავი მოსასმენი აპარატი აღმოაჩინეს.



*ქურდები აბრამოვიჩსაც მისწვდნენ*

თავად აბრამოვიჩმა მომხდართან დაკავშირებით უკვე გააკეთა განცხადებები და პოლიციის განყოფილებაში ჩვენებაც მისცა. ახლობლების თქმით, აბრამოვიჩი უზომოდ განრისხებული იყო.

ინგლისური პრესა იუწყება, რომ აბრამოვიჩს წარმოდგენა არა აქვს, თუ ვის შეიძლება აინტერესებდეს მისი გაძარცვა. რა დასამალია და, მტრების ნაკლებობას რუსი მილიარდერი ნამდვილად არ უჩივის. მას შემდეგ, რაც მან "ჩელსი" შეიძინა, მისი პიროვნებისა და მისი წარსულის მიმართ უდიდესი ინტერესი გაჩნდა, განსაკუთრებით, ინგლისის სპეცსამსახურების მხრიდან. ახლახან გავრცელდა ინფორმაციები, თითქოს ინგლისის დაზვერვის განყოფილება M-16 ოლიგარქის საქმიანობის დეტალურ შესწავლას აპირებდა. აბრამოვიჩის დიდი სიყვარულით არც კონკურენტი კლუბების ხელმძღვანელები გამოირჩევიან – თავისი აგრესიული სატრანსფერო პოლიტიკის გამო რუსი მილიარდერი მათთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

*ინფოთეკა*

**ფეხბურთი.** რომის "ლაციოს" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ განაცხადა, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, დეიან სტანკოვიჩი ახლო მომავალში "ლაციოს" დატოვებს. "ეს არის სიტუაცია, რომელშიც კლუბმა ვერ შეძლო გარკვევა. "ლაციოში" დარჩენის სურვილი სტანკოვიჩმა ჯერ კიდევ სექტემბერში გამოთქვა, თუმცა, მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება ჩვენ ვერ მოვახერხეთ. დეიანი ახლა "იუვენტუსში" ან "ინტერში" გადავა. დარწმუნებული ვარ, თავის ახალ კლუბში ისეთივე ლიდერი გახდება, როგორიც "ლაციოში" იყო", - განაცხადა მანჩინიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა, სხვა ინგლისურ კლუბში არასოდეს ვითამაშებ", - ასეთი კომენტარი გააკეთა მანჩესტერელთა ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ, როდესაც შეიტყო იმის შესახებ, რომ ლონდონის "ჩელსი" მისით დაინტერესდა. ნისტელროიმ აქვე უარყო ისიც, თითქოს კარიერის დასრულებას "მანჩესტერში" აპირებს. "კარიერას იქ დავასრულებ, საიდანაც დავიწყე – "ეინდჰოვენში", - განაცხადა ჰოლანდიელმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური პრესა მიიჩნევდა, რომ "ვალენსიას" არგენტინელი მცველი, რობერტო ფაბიენ აიალა "ცალი ფეხით" უკვე ლონდონის "ჩელსიში" იყო. თუმცა, თავად ფეხბურთელმა მთელ ამ მითქმა-მოთქმას წერტილი დაუსვა. "შესაძლოა, ინგლისური კლუბების მხრიდან ყველაზე პატივცემული არგენტინელი ფეხბურთელი ვარ. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში "ლიდსში", "მანჩესტერ იუნაიტედში", "არსენალში", "ლივერპულში" და ახლა უკვე "ჩელსიში" "მიშვებენ". მაგრამ უნდა გითხრათ, რომ "ვალენსიასთან" კონტრაქტი რამდენიმე თვის წინათ გავაგრძელე. ასე რომ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ", - განაცხადა 30 წლის აიალამ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ნიუკასლის" გენერალურმა მენეჯერმა, ფრედი შეპარდმა განაცხადა, რომ გუნდის თავდამსხმელი ალან შირერი "ნიუკასლის" მომავალი მწვრთნელი იქნება. თუმცა, შეპარდმა ისიც დაამატა, რომ შირერი მხოლოდ და მხოლოდ გუნდის ახლანდელი მწვრთნელის, სერ ბობი რობსონის პენსიაზე გასვლის შემდეგ ჩაუდგება "ნიუკასლს" სათავეში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტურინის "იუვენტუსის" მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ უარყო გავრცელებული ჭორები იმის შესახებ, თითქოს მისი კლუბის ყოფილი თავდამსხმელი, კრისტიან ვიერი "იუვენტუსში" აპირებდა დაბრუნებას. "ვიერი შესანიშნავი ფეხბურთელია. მასთან მუშაობა "იუვენტუსშიც" მსიამოვნებდა და "ინტერშიც". თუმცა, ტურინში მისი დაბრუნება მეტად არარეალურია", - განაცხადა ლიპიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ვლადიკავკაზის "ალანიას", შესაძლოა, ფრანგი მწვრთნელი, როლან კურბისი ჩაუდგეს სათავეში. მომავალ კვირას კურბისი ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქს ეწვევა, თუმცა, უცნობია, რა მიზანს ემსახურება მისი ვიზიტი - კონტრაქტის განხილვას თუ, უბრალოდ, გაცნობას. შეაგხსენებთ, რომ თავის დროზე კურბისი, სხვა ფრანგულ კლუბებთან ერთად "ბორდოს", "ლანსს" და "მარსელს" ხელმძღვანელობდა. ამჟამად ის არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, კლუბ "ალვახდაში" მოღვაწეობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანურმა "ბარსელონამ" კლუბის ოფიციალური წევრების რაოდენობაში ახალი რეკორდი დაამყარა. გუშინდელი დღისთვის, "ბარსელონას" წევრების რაოდენობამ 108,929-ს მიაღწია. წინა რეკორდი (108,928 კაცი) შორეულ 1986 წელს დაფიქსირდა. კლუბის წევრები შეღავათებით სარგებლობენ. მათ უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ კლუბის პრეზიდენტის არჩევნებში, მატჩებზე დასასწრები ბილეთები მათთვის შედარებით იაფია. თუმცა, საინტერესოა, რომ "ბარსელონას" სტადიონი "ნოუ კამპი" 98 ათას გულშემატკივარს იტევს. ეს იმას ნიშნავს, რომ თავის ყველა წევრს კლუბი ერთდროულად ვერ მოემსახურება.



ინფოთეკა

**ჩოგბურთი.** ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიმართა ამხანაგური საჩოგბურთო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენი და ვაჟთა ჩოგბურთის ვეტერანი, ფრანგი იანიკ ნოა. ეს საინტერესო დაპირისპირება ძლიერი სქესის წარმომადგენლის გამარჯვებით დასრულდა – 4:6, 6:4, 7:6. აღსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობას 6 700 ჩოგბურთის მოყვარული ადევნებდა თვალს.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ამერიკელი ენდი როდიკი ათენის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობას აპირებს. ამის შესახებ განცხადება ჩოგბურთელის მწვრთნელმა ბრედ ჯილბერტმა გააკეთა. ნათელია, რომ სწორედ ჯილბერტია როდიკის ათენში გამგზავრების მთავარი მოსურნე. თვითონ მწვრთნელი უკვე ორჯერ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში. 1996 წელს ის ანდრე აგასის ოქროს მოპოვებაში დაეხმარა, ხოლო 1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებზე თვითონ მონაწილეობდა, როგორც მოქმედი სპორტსმენი.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მსოფლიოს ყოფილი მეორე ჩოგანი, შვედი მაგნუს ნორმანი, როგორც ჩანს, გამოტოვებს მომავალი წლის "დიდი სლემის" პირველ ტურნირს – ავსტრალიის ღია ჩემპიონატს. Reuters-ის ინფორმაციით, ამის მიზეზი ბარძაყის ტრავმაა. ჩოგბურთელის მწვრთნელმა თქვა, რომ ნორმანმა მკურნალობის მრავალი საშუალება მოსინჯა, მაგრამ არაფერმა არ უშველა. მაგნუს ნორმანმა ბარძაყზე ოპერაცია 2001 წელს გადაიტანა. ამჟამად შვედი ჩოგბურთელი პროფესიონალთა რეიტინგში 125-ე პოზიციაზეა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** გუშინ აშშ-ში უნდა გამართულიყო მორიგი სასამართლო მოსმენა "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" კალათბურთელის კობი ბრაიანტის საქმესთან დაკავშირებით. მოსმენაზე ბრალდებულის ადვოკატები ყველა ღონეს იხმარდნენ იმისთვის, რომ ბრალმდებლისთვის ჩირქი მოეცხოთ. ადვოკატებმა სასამართლოს უკვე აცნობეს, რომ ბრაიანტის 19 წლის მსხვერპლმა ორჯერ სცადა თვითმკვლელობა. ამჯერად კი მათ წარადგინეს დოკუმენტები იმის შესახებ, რომ გოგონა შიზოფრენიის სამკურნალოდ სხვადასხვა პრეპარატს იყენებდა. დაცვის მხარის განცხადებით, გოგონას ჰალუცინაციები ჰქონდა. მეტიც: ადვოკატები ცდილობენ, ხელში ჩაიგდონ ის მასალა, რომელზეც მსხვერპლი საუბრობს სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც ის გაუპატიურების შემდეგ მოხვდა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გუშინ ფორმულა 1-ის გუნდმა "ტოიოტამ" ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ განცხადება გააკეთა. უვე ანდერსონის ნაცვლად, პირველი იანვრიდან გენერალური დირექტორის პოსტზე ტსუტომუ ტომიტა იმუშავებს. ანდერსონი გუნდში, ალბათ, მრჩევლის რანგში დარჩება. შვედმა, რომელსაც 3 იანვარს 66 წელი უსრულდება, "ტოიოტას" სამი ათეული წელიწადი შესწირა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ახლახან ცნობილი გახდა, რომ ჩინეთის გრან-პრიზე, VIP-ადგილებზე დასასწრები ბილეთები 4 ათასი დოლარი ეღირება. ამასთან, იმისთვის, რომ 200 000-ადგილიან არენაზე დასწრება უზრუნველყონ, ჩინელებმა ყველაზე იაფი ბილეთების ფასიც დაადგინეს. ისინი 50-60 დოლარი ეღირება. ამასთან, ამ ბილეთებით სტადიონზე შესვლა გრან-პრის მიმდინარეობის სამი დღის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** იტალიის კურორტ ვალ გარდენაში გაიმართა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. საუკეთესო შედეგი აჩვენა ნორვეგიელმა ლასე კიუსმა. მან ავსტრიელები - შტეფან ებერჰარტერი და ჰერმან მაიერი ჩამოიტოვა. ლასე კიუსის დროა – 1:36,94. შტეფან ებერჰარტერი გამარჯვებულს 08 მეათედი წამით ჩამორჩა. ხოლო ჰერმან მაიერის დრო იყო – 1:37,42.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** ჩეხი მოთხილამურე კატარინა ნოიმანოვა ავსტრიის რამსაუში მსოფლიო თასის ეტაპში მიიღებს მონაწილეობას. ნოიმანოვას გოგონა შეეძინა და ამის გამო 6-თვიანი შესვენება ჰქონდა გამოცხადებული.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** ბიატლონში მსოფლიო თასის მესამე ეტაპზე, 20-კილომეტრიან დისტანციაზე, წარმატებით იასპარეზა ფრანგმა რაფაელ პუარემ – 45:46,5, რომელმაც მეტოქეები დამაჯერებლად ჩამოიტოვა. მეორე ადგილზე გავიდა გერმანელი რიკო გროსი, მესამეზე კი გროსის თანამემამულე პეტერ ზენდელი გავიდა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ჩეხური პრესის ინფორმაციით, ჰოკეის ნაციონალური ლიგის მატჩში "ატლანტის" წინააღმდეგ, "ვაშინგტონის" ფორვარდმა იარომირ იაგრმა თითი დაიზიანა. მას ოპერაციას გაუკეთებენ, რის შემდეგაც ჰოკეისტი დაახლოებით ერთი თვით დაისვენებს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** პოლიციამ იპოვა 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი, რომელიც ოთხშაბათს, ტაე-კვანდოში, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ლაურენ ბერნსის სახლიდან მოიპარეს. სიდნეიში ბერნსმა 49 კგ. წონით კატეგორიაში გაიმარჯვა.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** "ტურ დე ფრანსის" 5-გზის ტრიუმფატორმა, ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა განაცხადა, რომ მსოფლიო ველოსპორტის ამ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში კიდევ ორჯერ იასპარეზებს. "სავარაუდოდ, მონაწილეობას მივიღებ 2004 და 2005 წლების ტურში", – განაცხადა არმსტრონგმა.

კალათბურთი

# მილიონები, რომელთაც არაფერი მოაქვთ...


ჯუვეინ ჰოვარდი


მაიკ სვიტნი


ჯეიმს პოუზი


მაიკლ ოლოვაკანდი

სანდრო ნავერიანი

*რაც ახლა ხდება ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, აქამდე არასოდეს მომხდარა. ჯერ ორი თვეც არ გასულა მისი დაწყებიდან და გუნდებიდან უკვე რამდენიმე კალათბურთელი გაუშვეს. ზედ მწვრთნელებიც მიაყოლეს. 19 თებერვლამდე გუნდებს შეუძლიათ, გაცვალონ თუ შეიძინონ ახალი კალათბურთელები. სატრანსფერო ფანჯარა ჯერჯერობით ღიაა. კალათბურთელები, რომლებმაც ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით გააფორმეს კონტრაქტები და ისინი, ვინც დრაფტზე აირჩიეს, ვერ გაიყიდებიან და გაიცვლებიან. ქვემოთ გთავაზობთ იმ კალათბურთელთა სიას, რომლებმაც შეიძლება გუნდი შეიცვალონ, თანაც, არა თავისი სურვილით, არამედ იძულებით.*

**ჯუვეინ ჰოვარდი,**
*ფორვარდი, "ორლანდო მეჯიქი".*
**კონტრაქტი:**
*6 წელი, 37 მილიონი დოლარი.*

"მეჯიქმა" ჰოვარდს იმიტომ გაუფორმა კონტრაქტი, რომ მისგან კარგ თამაშს ელოდა. მაგრამ ჰოვარდმა ვერაფერი გააკეთა ორლანდოელთა შემადგენლობაში და ყველანაირი იმედი გაუცრუა გუნდის გენერალურ მენეჯერ ჯონ გებრიელს, რომლის მოთხოვნითაც ის "მეჯიქის" მოთამაშე გახდა. არც დოკ რივერსს უთქვამს ჰოვარდზე, ასეთი კალათბურთელი არ მჭირდებაო. ჰოვარდით ზაფხულშივე იყვნენ დაინტერესებული "ჩიკაგო ბულზი", "მინესოტა თიმბერვულვზი" და "დეტროიტ პისტონზი". ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ფლორიდელები გაცვლაზე დათანხმდნენ, ხოლო ჰოვარდი ზემოთ ნახსენებ რომელიმე გუნდში გადავიდეს. ასევე შეიძლება, რომ ჰოვარდი "სიეტლ სუპერსონიქსში" გადავიდეს, ხოლო სიეტლიადან ფლორიდაში - ბრენტ ბერი და ჯერომ ჯეიმსი. ამ გაცვლით ორლანდოელები, ფაქტობრივად, ერთი გასროლით ორ კურდღელს მოკლავენ და, შესაძლოა, ამით ბევრი რამ მათ სასარგებლოდ შეიცვალოს.

**მაიკ სვიტნი,**
*ფორვარდი, "ნიუ-იორკ ნიქსი".*
**კონტრაქტი:**
*3 წელი, 5,9 მილიონი დოლარი.*

მიუხედავად იმისა, რომ ნიუიორკელები ცდილობენ, ახალგაზრდა გუნდი დააყენონ, მაიკ სვიტნი სულ ტრავმირებულთა სიაშია დრაფტზე არჩეულ ორ ახალგაზრდა კალათბურთელთან - მაცეი ლამპესთან და სლავკო ვრანეშესთან ერთად. ისეთ გუნდში, სადაც ანტონიო მაკდაისი, კერტ ტომასი, კეიტ ვან ჰორნი, ოტელა ჰარინგტონი და კლარენს უიტერსპუნი თამაშობენ, მაიკ სვიტნის ძალიან გაუჭირდება ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა. ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომ გუნდის მენეჯერი სკოტ ლეიდენი უკვე უკავშირდება სხვა გუნდის მენეჯერებს და კონტრაქტის პირობებს აგვარებს.

**ჯეიმს პოუზი,**
*ფორვარდი, "მემფის გრიზლის".*
**კონტრაქტი:**
*4 წელი, 22,6 მილიონი დოლარი.*

გრიზლებმა პოუზი ცოტა ხნის წინ შეიძინეს, მაგრამ ასევე ცოტა ხნის წინ განხორციელებულმა შეთანხმებამ გუნდში მოიყვანა ბონზი უელსი, რამაც ეჭვქვეშ დააყენა პოუზის "მემფისში" დარჩენის საკითხი. მისი გაყიდვა ან გაცვლა არ უნდა იჩქაროს მემფისელთა ხელმძღვანელობამ. ის ხომ ჯერჯერობით საუკეთესო მცველია გრიზლების შემადგენლობაში. მაგრამ თუ პოუზის ნაცვლად ვინმე ნამდვილი სუპერ-ვარსკვლავი შესთავაზეს, მაშინ დაფიქრება არც ღირს. რა თქმა უნდა, პოუზის სუპერ-ვარსკვლავში არავინ გაცვლის, მაგრამ თუ ფული დაუმატე, მაშინ ყველაფერია შესაძლებელი. შესაძლებელია, პოუზი "საკრამენტო ქინგზში" ჩაირიცხოს, ხოლო საკრამენტოდან მემფისში ვეტერანი ვლადი დივაცი გადავიდეს.

**ზორან პლანინიჩი,**
*პლეიმეიქერი, "ნიუ-ჯერსი ნეთსი".*
**კონტრაქტი:**
*3 წელი, 3,1 მილიონი დოლარი.*

"ნეთსის" ხელმძღვანელობა ელოდა, რომ პლანინიჩი ისევე ითამაშებდა რეგულარულ ჩემპიონატში, როგორც საზაფხულო მატჩებს თამაშობდა, მაგრამ 22 ნოემბრის შემდეგ მან მხოლოდ 7 წუთი დაყო მოედანზე. ამბობენ, პლანინიჩი მთავარ მწვრთნელ ბაირონ სკოტს ეჩხუბაო, მაგრამ "ნეთსის" შიდაწყაროები ამტკიცებენ, რომ სკოტს, უბრალოდ, არ მოსწონს ახალწვეულის თამაში. "ნეთსს" ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, რასაც აკეთებს კიდეც. პლანინიჩსაც, ალბათ, ერთ-ერთი პრობლემის მოსაგვარებლად გამოიყენებს. მის მიმართ ინტერესი უკვე რამდენიმე კლუბმა გამოიჩინა.

**მაიკლ ოლოვაკანდი,**
*ცენტრი, "მინესოტა თიმბერვულვზი".*
**კონტრაქტი:**
*3 წელი, 16 მილიონი დოლარი.*

ოლოვაკანდმა ვერც ეს სეზონი გაატარა ტრავმების გარეშე. "თიმბერვულვზის" ხელმძღვანელობა კი უკვე შეწუხდა თავისი შენაძენით და მის გაცვლაზე ფიქრობს. გუნდის გენერალური მენეჯერი, კევინ მაკჰეილი აცხადებს: მთელი ამ წარუმატებლობის მერე ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩემპიონატში გავიმარჯვოთ, მაგრამ თუ ჩვენმა მოთამაშეებმა ოლოვაკანდის მსგავსად გააგრძელეს, გამოვა, რომ ყველა კალათბურთელი, ვინც სეზონის დასაწყისამდე შევიძინეთ, არაფრის მაქნისი ყოფილა. შეიძლება ყველაფერი ისე დამთავრდეს, რომ ჯუვეინ ჰოვარდი "თიმბერვულვზში" გადავიდეს, ხოლო ოლოვაკანდი - "მეჯიქში". ეს გაცვლა ორივე გუნდს უნდა წაადგეს. ერთადერთი, რამაც შეიძლება ამ გაცვლას ხელი შეუშალოს, ეს არის ჰოვარდის ხელფასი, რომლის მრავალმილიონიანობა არც ერთ გუნდის ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევს. შეიძლება ოლოვაკანდიმ "მეჯიქში" გადასვლის შემდეგაც ვერ მოახერხოს სათანადო დონეზე თამაში, მაგრამ თუ ფლორიდელთა ახლანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ეს მათთვის მთავარი არ არის. ასევე შეიძლება, რომ ოლოვაკანდი მემფისში გადაბარგდეს - ზაფხულში მემფისელებმა მას მშვენიერი კონტრაქტი შესთავაზეს.

კრივი

# გამარჯვება და არაფერი გამარჯვების გარდა!

ბიგა ბურასაშვილი

უფროსმა ძმამ დაამტკიცა, რომ შეუძლია, კრივის სამყაროს ყველაზე პატივდებული - მსოფლიოს საბჭოს (WBC) ჩემპიონობისთვის საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონდეს. უფროსის ნაკვალევს მიჰყვება უმცროსი ძმაც, რომელსაც ასევე სურს, მსოფლიო ჩემპიონობამდე გზა გაიკვალოს. ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე უფროსმა არაერთი ფიცხელი ომი გადაიხადა. უმცროსიც, ფაქტობრივად, ასეა. ერთი ეგაა, წლეულს, მეტოქის შეუფასებლობის გამო, კისერი წაიტეხა და, ბუნებრივია, გზაც ბევრად მომქანცველი გახდა.

ალბათ, უკვე მიხვდით. ლაპარაკია უკრაინელ გიგანტებზე - ძმებ ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებზე. ვიტალის საბრძოლო ბატალიებზე ცოტა ხნის წინათ ვიუწყებოდით, ახლა კი ვლადიმირის ჯერი დადგა. დღეს, გვიან ღამით, უმცროს ძმას გამოცდა ელის – უნდა დაეუფლოს კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ინტერკონტინეტალის ჯერაც ვაკანტურ ქამარს. ჩხუბს გერმანიის ქალაქ კილის უმთავრესი არენა - 12-ათასიანი "ოსტზეეჰალე" უმასპინძლებს. უკრაინელი ამერიკელ დენელ ნიკოლსონს უნდა შეებას. მატჩს 9500 გულშემატკივარი მიადევნებს თვალყურს.

ვიტალის და ვლადიმირს გერმანელები დიდ პატივს სცემენ და ლამის თავისიანებად მიიჩნევენ. რა ხანია, ძმები გერმანიაში იწრთობიან და კრივის მექას – ამერიკას ევროპიდან ულერებენ მუშტს. ისინი ამერიკის დაპყრობას ლამობენ. თავიდან ოკეანის გაღმა ორივეს ალმაცერად უყურებდნენ, მაგრამ ბოლოს ძმებმა თავისი გაიტანეს - ახლა მათ გულშემატკივრები ამერიკაშიც ჰყავთ. ამ სამუშაოს შესრულება უფრო ვიტალის უწევდა. ძმის გვერდში ამოდგომას ახლა ვლადიმირიც აპირებს და, ალბათ, ბევრად მეტსაც შეძლებს. ყოველ შემთხვევაში, კრივის მამები უმცროსს პერსპექტიულ მოკრივედ თვლიან.

დღევანდელ დაპირისპირებაში დენელ ნიკოლსონთან უკრაინელს მხოლოდ გამარჯვება სჭირდება და არაფერი გამარჯვების გარდა. ამასთან, სანახაობრივი და ეფექტური. თუმცა, გამორიცხული არაა, ვლადიმირმა საქმე დასაწყისშივე მოათავოს, რადგან ამერიკელი უკრაინელის ტოლ-სწორი არაა. და კიდევ, ვიტალის ბრიტანელ ლენოქს ლუისთან, ახლახან კი კანადელ კირკ ჯონსონთან ჩხუბის შემდეგ, უმცროს კლიჩკოს სხვა გამოსავალი არ რჩება. მით უმეტეს, რომ წლეულს (ჰანოვერი, 8 მარტი) სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან, ყველასთვის მოულოდნელად, ორ რაუნდში დამარცხებამ, რაც უკრაინელს ორგანიზაციის უმთავრესი ტიტულის დაკარგვად დაუჯდა, ბევრი კითხვა წარმოშვა. მართალია, სანდერსთან ბრძოლის შემდეგ, 30 აგვისტოს, მიუნხენში, ვლადიმირი არგენტინელ ფაბიო ედუარდო მოლის შეერკინა და საკმაოდ იოლად ერთ რაუნდში სძლია კიდეც, მაგრამ მოლისთან ჩხუბს ისეთი დატვირთვა არ ჰქონია. არგენტინელთან ჩხუბში ასევე ასოციაციის ინტერკონტინეტალის საჩემპიონო ქამარი ჰქონდათ გამოფენილი.


ვლადიმირს "მსხლის" ნაცვლად ნიკოლსონი ელის

ერთი სიტყვით, ვლადიმირის მიმართ გარკვეული ეჭვი არსებობს. ამიტომაცაა, რომ მის გასაქარწყლებლად უკრაინელს ეფექტური გამარჯვება სჭირდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არც ნიკოლსონია დიდი ბედენა.

უკრაინელისა არ იყოს, დასაკარგი არც ამერიკელს აქვს. ახალზელანდიელ დევიდ ტუასთან მარცხის შემდეგ, ამერიკელის კარიერამ აშკარა ვარდნა დაიწყო. ასე რომ, თუ ნიკოლსონმა კლიჩკოს ცემა შეძლო, გარკვეულწილად, შელახულ ავტორიტეტს აღიდგენს. ამისთვის კი მხოლოდ მოგებაა საჭირო და არაფერი, მოგების გარდა. ნიკოლსონს გამოცდილება არ დაეწუნება.

"მინდა, მადლობა გადავუხადო კლაუს-პეტერ კოლს (ძმები კლიჩკოების პრომოუტერი.-რედ.), რადგან ვლადიმირის მეტოქედ სწორედ მე შემარჩია, - ოთხიოდე დღის წინ, პრესკონფერენციაზე განაცხადა ნიკოლსონმა. - აქ მოსაგებად მოვედი და არა სტატისტის როლის შესასრულებლად, როგორც ბევრს ჰგონია. მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებლად ცოტა დრო მქონდა, ვლადიმირს მედგრად შევებრძოლები და შინ გამარჯვებული, ჩემპიონი დავბრუნდები. ეს ჩემი შანსია იმისთვის, რომ სუპერმძიმეწონოსანთა ელიტას დავუბრუნდე და ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ. ვიცი, თუ რამდენად ძლიერი მეტოქეა ვლადიმირი, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე გამარჯვებას ჩემთვის ორმაგი მნიშვნელობა ექნება".

ასეა თუ ისე, დღეს, ღამით, თბილისის დროით 01:00 საათზე, გამარჯვებულის ვინაობას შევიტყობთ. იმ შემთხვევაში, თუ უკრაინელი ნიკოლსონის ბარიერს გადალახავს, რაც, წესით, არ უნდა გაუჭირდეს, თებერვალში ვლადიმირს ორგანიზაციის უმთავრესი ვაკანტური ტიტულისთვის მოუწევს ბრძოლა.



ნინო I

# რატომ ვერ პოულობს თავისი ცხოვრების ქალს დოქტორი კლიჩკო?


დიანა კოვალჩუკი

ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოების სახელი უკვე ლამის ყველამ იცის მთელ მსოფლიოში. გერმანიაში კი, სადაც უკრაინელმა ძმებმა მყარად მოიკიდეს ფეხი და თავს ისე მშვენივრად გრძნობენ, რომ აღარც აპირებენ სამშობლოში დაბრუნებას, ვიტალისაც და ვლადიმირსაც უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. როცა რომელიმე კლიჩკო ამერიკის კონტინენტზე ჩხუბობს, დროში განსხვავების გამო გერმანელ ტელემაყურებელს ღამისთევა უხდება ბრძოლის საყურებლად, მაგრამ ამაზე არავინ ჩივის. ვიტალის და ვლადიმირის მუშტების ქნევას ყველა დიდი სიამოვნებით უყურებს, მათ შორის, ისინიც, ვინც კრივზე სულაც არ გიჟდება. ამ კატეგორიას, რომელსაც, ძირითადად, სუსტი სქესის წარმომადგენლები მიეკუთვნებიან, მოკრივეები აინტერესებთ და არა თავად კრივი. არცაა გასაკვირი - ორივე კლიჩკო საკმაოდ მოხდენილი, სიმპათიური მამაკაცია, მიუხედავად იმისა, რომ რინგიდან ხშირად ჩამოდიან ცხვირპირგასასიხლიანებულები და იარების მკურნალობას დიდ დროს ანდომებენ. ჯერჯერობით კრივს თავისი დაღი არ დაუსვამს არც ერთი ძმისთვის. ორივეს ისევ სანდომიანი სახე აქვს და ტრავმებით არ არიან დამახინჯებულები. ალბათ, გახსოვთ, რა საშინელი შესახედავი იყო ვიტალი კლიჩკო ლენოქს ლუისთან ბრძოლის შემდეგ, როცა ბრიტანელმა მოკრივემ წარბი გაუხეთქა. უკრაინელს არაფრით არ უნდოდა რინგიდან ჩამოსვლა, მაგრამ ექიმები მის ჯანმრთელობას გაუფრთხილდნენ და ბრძოლის გაგრძელების უფლება აღარ მისცეს. კლიჩკო დიდად განაწყენდა, მისი მეუღლე ნატალია კი, ალბათ, გულში ლოცავდა მედიცინის მკაცრ მსახურთ, ვიტალი დროზე რომ მოაცილეს ლენოქსის მძიმე მუშტებს.

ლენოქსისგან გალამაზებული ვიტალი შინ დაბრუნდა და ლამის გული გაუხეთქა თავის უმცროს ბიჭუნას, რომელმაც პირველ შეხედვაზე ვერც კი იცნო სახედასიებული მამა. მერე რა დიალოგიც გაიმართა უფროს და უმცროს კლიჩკოს შორის, ამის შესახებ უკრაინელი მოკრივე სიამაყით უყვებოდა გერმანელ ჟურნალისტებს: "მან წარბზე ხელი შემახო და მკითხა: არ გტკივა, მამა? არა, - მივუგე მე, - არ მტკივა, რადგან ნამდვილი მამაკაცი ვარ". და, როგორ გგონიათ, რა მითხრა ამ ახლად გაღვიძებულმა ლაწირაკმა? "მამა, მეც მინდა, ნამდვილი მამაკაცი ვიყო!" - სიხარულს ვერ მალავდა შვილის პასუხით კმაყოფილი ვიტალი.

ტრავმების მოშუშებას კარგა ხანი დასჭირდა. უფროსი კლიჩკო კი ამტკიცებდა, იარებს საერთოდ არ შევუწუხებივარ, ჩემი მეუღლის ერთი კოცნის შემდეგ ყველაფერი დამავიწყდაო, მაგრამ ფაქტია, რომ კლიჩკო ექიმებმა დიდი ხნით გაისტუმრეს შვებულებაში. ახლა უკვე ყველა ტრავმა მოშუშებულია და ჯანზე მოსული ვიტალი ისევ ლენოქს ლუისთან მატჩ-რევანშზე ფიქრობს. ძმებს ერთი დიდი ოცნება აქვთ - ძალიან უნდათ, ერთ დღეს გახდნენ ჩემპიონები. ორივე დარწმუნებულია, რომ მიზანს აუცილებლად მიაღწევენ, თუმცა, ვლადიმირის ყველაზე დიდი ოცნება კრივს სულაც არ უკავშირდება. ცოტა ხნის წინ უმცროსმა კლიჩკომ "ბილდის" ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ყველაზე დიდი სურვილი კოსმოსში გაფრენაა და არა მსოფლიო ჩემპიონობა. კოსმოსი იქით იყოს და, გერმანიაში ყველას ძალიან აინტერესებს, რატომ არის 27 წლის ვლადიმირ კლიჩკო მარტო - რატომ არ ჰყავს მეგობარი ქალი. "მისი სიმაღლე ლამის ორი მეტრია. ლამაზი, ძლიერი და მდიდარია. მის დანახვაზე ქალებს გული უჩქარდებათ, თვალს ვერ აშორებენ მის დაკუნთულ სხეულს. დოქტორი ვლადიმირ კლიჩკო უამრავი ქალის საოცნებო მამაკაცია, მაგრამ, ამის მიუხედავად, უკვე ერთი წელია, მეგობარი არ ჰყოლია. რატომ დადის კლიჩკო მარტო?" - დამაინტრიგებელ კითხვას სვამს "ბილდის" ჟურნალისტი. მართლაც, რატომ ვერ იპოვა აქამდე ვლადიმირმა ცხოვრების თანამგზავრი? როცა ვიტალი კლიჩკო 27 წლის იყო, უკვე ცოლიც ჰყავდა და შვილიც. ვლადიმირს რაღა დაემართა?

გასულ წელს ვლადიმირ კლიჩკოს საოცრად ლამაზი მეგობარი ჰყავდა: მისი გული 20 წლის უკრაინელ ლამაზმანს, წარმატებულ ფოტომოდელს, დიანა კოვალჩუკს ეკუთვნოდა. დიანა დაიბადა 1982 წლის 23 თებერვალს, კიევის სამხრეთ-დასავლეთით, პატარა ქალაქ ვინინცაში. უკვე თოთხმეტი წლისამ ზუსტად იცოდა, რომ აუცილებლად მოდელი გახდებოდა - მას ყველა მონაცემი ჰქონდა ამისთვის. პირველივე სააგენტომ, რომელსაც მიმართა, სიამოვნებით გაუფორმა კონტრაქტი. ასეთი წარმატების მიუხედავად, დიანა მაინც ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ასე იოლი აღმოჩნდებოდა მისთვის ელიტურ ფოტომოდაში დამკვიდრება. 1996 წელს გაიმარჯვა ერთ-ერთ კონკურსში, რომლის ჯილდოც ნიუ იორკში ცხოვრება და სწავლა იყო. დიანამ სკოლაში ბეჯითად იარა, ყველაფერი აითვისა, რასაც ასწავლიდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა: მისი სახე ფრანგული "ელის" გარეკანზე გამოჩნდა. შემდეგ იყო ესპანური "მარი კლერი". ამას მოჰყვა გერმანული "ამიკა" და ამერიკული "კლეო". დიანას იწვევდნენ სხვადასხვა შოუზე, უღებდნენ ულამაზეს ფოტოებს, სთავაზობდნენ რეკლამებში გამოსვლას... პატარა პროვინციელი გოგონა სულ მალე თავდაჯერებული ლამაზმანი გახდა. კიდევ უფრო გაითქვა სახელი, როცა უმცროსი კლიჩკო გაიცნო და მასთან ერთად გამოჩნდა საზოგადოებაში. რატომ დაშორდნენ ერთმანეთს, არავინ იცის. ამ თემაზე საუბარს ორივე თავს არიდებს. ვლადიმირი მხოლოდ იმას ამბობს, რომ განშორების მერეც კარგ მეგობრებად დარჩნენ და დიანა მას ყოველთვის გულშემატკივრობს.

დიანა კოვალჩუკის შემდეგ ვლადიმირ კლიჩკოს მოხიბვლა აქამდე ვერავინ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელ მოკრივეს გარს უამრავი ლამაზმანი ახვევია. "არჩევანი ნამდვილად დიდი მაქვს. წინადადებები არ მაკლია, მაგრამ ჯერჯერობით მირჩევნია, თავისუფალი ვიყო. მეტსაც გეტყვით: მე ვტკბები ჩემი თავისუფლებით", - იცინის ვლადიმირი. არადა, როგორც თვითონვე აღიარებს, თაყვანისმცემელი ქალებისგან ყოველდღე უამრავ წერილს იღებს, უგზავნიან ვიდეოკასეტებს, სურათებს, საჩუქრებს. ვლადიმირი კი მაინც უტეხად დგას და სიყვარულის ყულფში თავის ხელახლა გაყოფას არ ჩქარობს. "მართლი გითხრათ, მიჭირის სერიოზული ურთიერთობის დაწყება. ეს ძალიან ძნელია", - ამბობს უმცროსი კლიჩკო. ოჯახის შექმნა ვლადიმირსაც ძალიან უნდა. მისაბაძად და იდეალურად მიაჩნია ძმის ოჯახური ცხოვრება, მაგრამ ჯერ მაინც არ ჩქარობს: "ვიტალის საოცარი ცოლ-შვილი ჰყავს. მეც ძალიან მინდა ასეთი ოჯახი. არა უშავს, ჯერ კიდევ მაქვს დრო", - თავს იმშვიდებს ვლადიმირი.

ამასობაში კი გერმანული "ბილდი" უცროსი კლიჩკოსთვის საცოლის შერჩევას იწყებს. პროცესი მეტად მარტივია. ყველა ქალბატონმა, ვისაც კი მოსწონს ვლადიმირ კლიჩკო და სურს, მისი მეგობარი გახდეს, უნდა გაგზავნოს წერილი და ფოტო მისამართზე: "ბილდის" სპორტული განყოფილება, ალექს-შპრინგერ-პლატცი 1, 20350 ჰამბურგი.

თუ მოგწონთ უმცროსი კლიჩკო, თქვენც სცადეთ! რა იცით, რა ხდება, იქნებ ბედმა გაგიღიმოთ კიდეც...



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად















## სიურპრიზი ფიროსმანისგან

ახალი, რევოლუციის შემდგომი საქართველო, ახალი, ევრორემონტიანი გალერეა ახალაშენებულ უშნო სახლში და ახალაღმოჩენილი, დღემდე უცნობი ფიროსმანები!

ნიკო ფიროსმანი ქართული კულტურის თავისებური სიმბოლოა. როგორც საქართველო ავლენს ნიჭისა და უნარის ახალ და ახალ მხარეებს, ასევე ფიროსმანიც სიურპრიზებად წარმოგვიდგენს თავის უცნობ ნამუშევრებს.

ამოუწურავ სიახლეებს აღმოვაჩენთ ხოლმე ერში - აღმოვაჩენთ ფიროსმანშიც, მაგრამ ერთსაც და მეორესაც მოვლა, დაფასება სჭირდება, არა მარტო ცალკეული ალტრუისტი, ენთუზიასტი მოღვაწეების, არამედ ერთობლივად, სახელმწიფოს მიერ.

გალერეა "კოპალაში" ფიროსმანის ახალი ნამუშევრების სანახავად მოვიდა საზოგადოება, რომელმაც კარგად იცის ფიროსმანი და მისი ფასი ქართული კულტურისათვის; თავისი თავის ფასიც იცის, როგორც ქართული საზოგადოებისა, რომელიც ქმნის, აზროვნებს, ახდენს რევოლუციებს ვარდებით ხელში და ცხოვრობს არა ისე, როგორც ამას დრო ან ხელისუფალი მოითხოვს, არამედ, ზნეობის, პრინციპების შესაბამისად, რაც ოჯახიდან, სახლიდან მოსდგამს. სახლიდან, სადაც გაიზარდნენ და სადაც ფიროსმანის ორიგინალი თუ არა, რეპროდუქცია მაინც ეკიდა, თუნდაც გაურემონტებელ კედელზე.

ფიროსმანიც ხომ იმას ხატავდა, რაც იცოდა და როგორც იცოდა. სწორედ ამაშია მისი გენიალურობა.

თუ ქართული საზოგადოება პატივს სცემს თავის თავს (22 ნოემბერს დავრწმუნდით) და შეინარჩუნებს სახეს, რომელიც, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეულახეს, ფიროსმანის შემოქმედებაც მუდამ იარსებებს და თამამად შეგვეძლება თქმა, რომ ნიკო ფიროსმანი ამ ერის შვილია.

## შინიონი მოდაშია?

ორშაბათს, საღამოს ვიჯექი ტელევიზორთან, რაც ამ ბოლო დროის ტრადიციად გადამექცა და ერთი არხიდან მეორეზე მექანიკურად ვრთავდი. უეცრად, ტელეარხ "მზეზე" ახალ წამყვანს მოვკარი თვალი. კარგად დავაკვირდი, ნეტავ, ვინ არის-მეთქი და გაკვირვებისგან ფეხზეც კი წამოვხტი. ეს ხომ ინგა გრიგოლიააა!

ინგასგან პერიოდულ გარეგნულ ცვლილებებს უკვე მეტ-ნაკლებად მივეჩვიეთ, მაგრამ ამ ბოლო სიახლემ, რატომღაც, ჩემში განსაკუთრებული გაოცება გამოიწვია.

მოლურჯო შავი ფერის თმა, დიდი, გრძელი შინიონით, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან მოუხდა, თანაც, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ლელა წურწუმიაზე მეტადაც კი, რომელიც ჩვენს შოუ-ბიზნესში მოდის კანონმდებლად ითვლება.

ნეტავი, ლელამ ათხოვა ინგას ეს შინიონი, თუ პირიქით? იქნებ, ორივემ ერთდროულად შეიძინა? თუმცა, არ მინდა, ლელა წურწუმიას პირველობა დავუკარგო, მაგრამ არც ის მინდა დავუკარგო, რომ პარფიუმერული მაღაზია "ისი-პარის" სარეკლამო კლიპის შედეგად, რომელშიც შოუ-ვარსკვლავი სწორედ ამ შინიონით გვევლინება, ნამდვილად არ მომანდომა ამ მაღაზიის სტუმრობა - იმ დღესაც კი, როდესაც ლელა წურწუმია (შინიონით?) პირადად მოგვემსახურება. ამ ფასად არც კომპიუტერი და არც აუდიო-ვიდეო აპარატურა მინდა.

თუმცა, ეგებ შინიონი მინდა? ვაითუ მოდაშია, მე კი ჩამოვრჩი ფეხის ხმას?

საინტერესოა, ინგა გრიგოლია სათვალესაც თუ გაიკეთებს, ან ხელში მაინც დაიჭერს, რომელიც, სხვათა შორის, მის პროფესიას უფრო მოუხდება, ვიდრე ლელა წურწუმიას, სარეკლამო კლიპშიც კი საკმაოდ ალოგიკურად რომ გამოიყურებოდა.

მაგრამ შინიონი და სათვალე ცალკე იყოს. თუ გადმოღებაა, ბარემ ყველაზე მნიშვნელოვანი გადმოიღოს ინგამ ლელა წურწუმიასგან და შემდეგ ორშაბათს ეთერიდან წურწუმიასეული გაგუდული, შენელებულ-დაღლილი, სიტყვაძუნწი და ეროტიკული ინტონაციით დაგველაპარაკოს.

აი, მაშინ საინტერესოა, როგორი რეიტინგი ექნება გადაცემა "მზერას"?

P.S. ინგა, ჭკვიანი ქალი ხარ და ამ რთულ დროში აჩი მეფარიძე და ფეხისგულზე ხალიანი თამუნა ამონაშვილი რად გინდა მეკვლედ ახალ წელს? რას ერჩი შენს თავს?

## "ბენვენუტო ჩელინი"




თეატრალური ნიღაბი გოგი ალექსი-მესხიშვილი

ხშირად მსაყვედურობენ, რომ ბოლო პერიოდში ჩემ მიერ ნანახ ამა თუ იმ კულტურულ მოვლენას უმეტესად ნეგატიურად ვაშუქებ.

ცოტა რომ გამოვასწორო ჩემი დანაშაული, მინდა გიამბოთ იმ თეატრალურ-საოპერო წარმოდგენაზე, რომელიც არ მინახავს და, შესაბამისად, ვერც ნეგატიური და ვერც პოზიტიური ვიქნები. უბრალოდ, თეატრის რენომე, სადაც ეს სპექტაკლი დაიდგა, იმდენად მაღალია, რომ, მგონია, ჩემს კომენტარს არ საჭიროებს.

მეტროპოლიტენ ოპერა.

"ბენვენუტო ჩელინი" - კომპოზიტორი ჰექტორ ბერლიოზი. წარმოდგენის დამდგმელთა და შემსრულებელთა სია მსოფლიოს წამყვანი ძალებისგან შედგება და მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია თეატრის ცნობილ, ქართველ მხატვარს, გოგი ალექსი-მესხიშვილს, რომელსაც მსოფლიოს გამორჩეულ თეატრებში არაერთი სპექტაკლი გაუფორმებია. სამწუხაროდ, არც ისე ბევრია ქართველი მხატვარი, რომელსაც ამხელა პასუხისმგებლობა და აღიარება ღირსებია, თანაც ისეთ წარმოდგენაში, რომელზედაც ბილეთები ორი თვით ადრეა გაყიდული და რომელსაც ისეთი პრესა მოჰყვა, მეტროპოლიტენ ოპერისთვისაც რომ არ არის ჩვეული.




თეატრალური კოსტიუმების ესკიზები (ბენვენუტო ჩელინი)

## სახლი



ასი წლის წინ ახალგაზრდა ექიმი მიხეილ გედევანიშვილი იშენებს ახალ სახლს ქიაჩელის ქუჩაზე, იმდროინდელი ქალაქის გარეუბანში და საცხოვრებელი ნაწილის პარალელურად, სახლის პირველ სართულზე ხსნის საქართველოში რენტგენის პირველ კაბინეტსა და პატარა კერძო საავადმყოფოს.

მისი მეუღლე კი აარსებს ასევე პირველ საბავშვო ბაღს, რომელშიც, მასობრივი რუსიფიკაციის ფონზე, ბავშვების ქართულად აღზრდა მიმდინარეობს და რომელსაც აკაკი წერეთელი კურირებს.

საცხოვრებელ ნაწილს აწყობენ ელემენტარული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ყოველგვარი ფუფუნების გარეშე და პირველს, რასაც იძენენ, გრიგოლ ორბელიანის უზარმაზარი საწერი მაგიდაა.

დრო მიდის. მოდის შემდეგი თაობა, აკადემიკოსი დიმიტრი გედევანიშვილი და მისი ულამაზესი მეუღლე, კინომსახიობი თამარ ციციშვილი - სახლს ემატება ახალი თაობისა და ახალი დროის მოთხოვნილებების შესაბამისი დეტალები, სითბო.

დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, ამ სახლში ცხოვრობს ქალბატონი მანანა გედევანიშვილი, რომელმაც ასევე თავისეული შარმი შემატა ინტერიერს, რომელიც მისთვის მოგონებებისა და რელიქვიებისგან შედგება, ოღონდ, ფუნქციური, ცოცხალი რელიქვიებისგან, რომლებსაც ხმარობენ, რომლებშიც ცხოვრობენ.

დიდ, მრგვალ სასადილო მაგიდას, რომელსაც თავის დროზე უფროსი გედევანიშვილები და მათი თითქმის ყოველდღიური სტუმარი, ილია ჭავჭავაძე უსხდნენ, დღეს მათი შვილთაშვილები უსხედან და წინაპრების ფოტოების, ნივთების, სულიერების აურაში, მიხეილ გედევანიშვილისა და მისი მეუღლის მიერ შეძენილი ფინჯნებით უმასპინძლდებიან სტუმრებს ჩაით.









# საახალწლო მიღება "შერატონ-მეტეხი-პალასში"



რიჩარდ დოითლი პირადი დაცვის თანხლებით



კინტოურმა საერთო აღტაცება გამოიწვია



სანდრა და ედვარდი ყურადღების ცენტრში



ცნობილი მეარღნე ელგუჯა ომიაძე



რიჩარს მაილსი (მარჯვნივ) დროს არ კარგავს

ჭაჭა ფარეჯანიშვილის ფოტოები

სხვაგან სად უნდა მომხდარიყო ასეთი რამე-რუმები, თუ არა "მეტეხში" – სასტუმროში, რომლის სახელი დაუვიწყარ წარსულთან ასოცირდება. შესასვლელში ხალიანი "არლანჩიკის" ღუღუნი – "ნუ აგროვებ ფულს და ოქროს", ვესტიბიულში შუბიანი აბჯაროსნების ღიმილი, ატრიუმში გენერალური მენეჯერის მიგებება შამპანურითურთ, ჩოხიანი მერიქიფენი და 20-ზე მეტი დასახელების უცხოური და ქართული კერძების მწკრივი ფხალიდან მწვადამდე, სცენაზე ყარაჩოღელები, კინტოები, ყაწიმიანი მომღერლები და მოცეკვავენი; ყველაფერი მოწვეული სტუმრებისათვის.

ასეთია "შერატონ-მეტეხი-პალასში" ტრადიციული ყოველწლიური მიღება, რომელზეც ხუთასი სტუმარი დაპატიჟეს. მათ შორის აშშ-ს, საფრანგეთის, ევროგაერთიანების ელჩები; ინგლისის, გერმანიის, საბერძნეთის, რუსეთის, სომხეთის, ირანის, ჩეხეთის, პოლონეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები; ავსტრიის საპატიო კონსული, მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდისა და ეუთოს მისიის წარმომადგენლები. აგრეთვე პოლიტიკოსები, საქმიანი პარტნიორები, ხელოვნებისა და მედიცინის სფეროს ცნობილი სახეები, ერთგული კლიენტები და ჟურნალისტები.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სასტუმროს გენერალურმა მენეჯერმა რიჩარდ დოითლმა, რომელმაც თანამშრომლობისათვის ყველას მადლობა გადაუხადა, მაგრამ განსაკუთრებით გამოყო მაღალი სტუმრები. დასასრულ კი საქართველოს წარმატებული მომავლის რწმენა გამოთქვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია სანდრა რულოვსისა და ედვარდ სააკაშვილის სტუმრობამ. სხვა ცნობილ სახეებს კი შამპანურის მშვიდად წრუპვის საშუალება მიეცათ.

ქართულ ხალხურ ჰანგებთან შერწყმული ძველი თბილისის სცენების ამსახველი შესანიშნავი მხატვრობა და ბრწყინვალე საახალწლო დეკორაციები საოცრად ამაღლებულ განწყობილებას ქმნიდა, რაც განსაკუთრებით უცხოელ სტუმრებს ეტყობოდათ. ისინი თვალებგაბრწყინებული ადევნებდნენ თვალ-ყურს ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს. მერე ქართველებს სთხოვდნენ, აეხსნათ, რა ფენომენთან ჰქონდათ საქმე.

"მეტეხის" დიდი სტუმრობა, რომელმაც "შეიწირა" 75 კილოგრამი მწვადი, 70 კილოგრამი ზუთხი და 200 ლიტრი სპირტიანი სასმელი, გვიან საღამომდე გაგრძელდა.

**24 საათი**

## სკანვორდი



## TV პროგრამა

20 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **09.50** დათვების ქალაქის ზღაპრები **10.20** სერიალი "ლუისი და კლარკი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "ველური სამყაროს ამბები" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "განდგომილი" **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი "მაქსი" **21.00** კურიერი ზუთყ **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ. ფილმი "ღმერთების დაღუპვა". რეჟ. ლუკინო ვისკონტი. **02.20** მხ.ფილმი "ლურჯწვერა". მთ. რ-ში: რიჩარდ ბარტონი, რეკელ უელჩი

### პირველი არხი

**08.00, 20.00, 23.50** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "მოხსენიების დღე" **09.50** კრიმინალური ქრონიკა **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** საქართველო, დრო, მოვლენები **14.30** რაგბი. საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი. შესვენებისას "მოამბე" **16.15** მხ. ფილმი "გზაჯვარედინები" **17.45** ტელეზღაპარი **18.00** "ვესტნიკი" **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.35** ცაიტნოტი **22.00** ფორტუნა **22.40** პროფათეული **23.15** ამბობენ **00.05** მხ. ფილმი "ვნებათა ორომტრიალი" **01.40** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** მულტფილმი "სინდბადი" **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "ჩეროკი" მთ. რ-ში გარრი ოლდმანი, დენის ხოპერი. **01.50** "ღამურა" მხ. ფილმი "ფარული მუქარა" მთ. რ-ში ჯონ ტრავოლტა, ვინს ვონი. **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "ჯაფარას დაბრუნება" **10.15** საბ. სერიალი "უფლისწული და მათხოვარი" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 21.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.10** სერიალი "შტრაუსების დინასტია" **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. **21.30** მხ. ფილმი "კარგი გოგონა" **23.20** მხ. ფილმი "იმპერიის საპასუხო დარტყმა"

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** მიზანი **21.00** ახლო ხედი **22.00** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი "წითელი სიცხე"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ბოლერო" **15.00** მხ.ფილმი "როგორ გახდე პრინცესა" **17.00** მხ.ფილმი "აკვნიდან საფლავამდე" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "ბელა მაფია" **00.20** მხ. ფილმი "მოჩვენება და ბნელეთი"

### იბერია

**08.00** ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "პატარა უფლისწულმა თქვა" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი "მეომარი" **02.30** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.20** მხ. ფილმი "1492 წელი სამოთხის დაპყრობა" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "მაწანწალა" **13.15, 16.20, 17.50, 22.00** მუსიკა **13.30** დოკ. ფილმი "ფურცლები საბ. შაქ. ისტ." **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" 1-ლი ნ. **21.15** სერიალი "საფრთხის ზღვარს მიღმა" მე-9ს. **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ოლიმპი" **22.50** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.15, 12.15, 14.50, 16.40, 01.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.20** ანიმაციური სერიალი "პრინცესას სასახლე" 1-ლი ნ. **10.45** მხ. ფილმი "მძიმე დანაშაული" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.40** "თემა" **15.15** მხ. ფილმი "ბედნიერება" **17.05** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია: სიეტლისან ანტონიო **18.30** ერთხელ ჰოლივუდში **19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "მშრალი ხიდის სიზმრები", "სიყვარული და კარტოფილი" **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** კომედია "ფრთოსანი გველის შურისძიება" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხ. ფილმი "გაძარცვა იტალიურად" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხ. ფილმი "გაძარცვა-იტალიურად"(გაგრძ.) **14.15** მუსიკა **14.25** ისტორიული ფილმი "დაკები" **16.20** მულტფილმი **17.25** თრილერი "შავი არწივი" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "ჭიტა-ჭიტა" **19.40** მხ. ფილმი "სიზმრების ამხსნელი" **21.50** მუსიკა **23.00** "Слово" **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.40** მხატვრული ფილმი "გლადიატორი" **03.50** მუსიკა **04.15** თრილერი "პირადი მცველი ქალიშვილისათვის"

### VII არხი

**18.10** მობილურები **18.30** მელოდია **19.00** "აჩიკუდა **19.20** "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** "ნა-ნა-ნა"-კარაოკე **21.10** მელოდია **21.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.10** მელოდია **22.00** კომპიუტერული ტექნიკა **22.35** "კინოკლუბი " - "სამოციანი წლები". მელოდრამა. რეჟისორი: მარკ პიზნარსკი. როლებში: ჰერი ო,კონელი, ჰულია სტაილზი

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10 Александр Демьяненко в фильме "Сотрудник ЧК" 09.00** Детский сериал "Твинисы" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой. Сергей Безруков. Москва" **12.10** Дог-шоу **13.10** История с географией. "Звери: внутренний мир" **14.00** Хоккей. Межд. турнир "Кубок "Балтики". Сб. Швеции - сб. России. Прямой эфир **16.10** Дисней-клуб: "Мышиный дом" **16.40** Умницы и умники **17.20** Евгений Миронов в фильме **"Перед рассветом" 19.10** "КВН-2003". Премьер-лига. Первый полуфинал **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.25** Последний герой **23.30** "Золотой Граммофон" **00.30 Николь Кидман в фильме "Именинница" 02.10** Хоккей. Межд. турнир "Кубок "Балтики". Сб. Финляндии - сб.Чехии **03.20 Триллер "Демон песков" 05.10** "Ничто не вечно". 2 с. **05.50 Сериал "Полтергейст - IV" 06.30** "Шутка за шуткой"

### РТР

**06.55 Худ. фильм "ДВА БИЛЕТА НА ДНЕВНОЙ СЕАНС" 08.30** Кино-истории Глеба Скороходова. **08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.35** "Том и Джерри". Мультсериал **10.05** Большая перемена. **10.30** "Ха". Маленькие комедии. **10.45** Утренняя почта. **11.20** "Не скуЧАЙ!" с Михаилом Евдокимовым. **12.20** Сам себе режиссер. **13.15** Крутой маршрут - Юг. **14.15** Клуб сенаторов. **15.00, 21.00** Вести. **15.20 Александр Демьяненко в фильме "КАРЬЕРА ДИМЫ ГОРИНА" 17.00 Худ. фильм "СОКОЛЬНИК ТОМАШ"** **19.00** Премьера. "Шутки юмора". Концерт. **21.25** Зеркало. **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг. **23.20 Брюс Уиллис в боевике "ГЕРОЙ-ОДИНОЧКА" 01.20 Джонни Депп в фильме "ДЕВЯТЫЕ ВРАТА" 04.00 Комедия "КУДА ЖЕ ДЕЛАСЬ СЕДЬМАЯ РОТА?"**

### НТВ

**08.00** Мультфильм "Дикие лебеди". **09.00** Сегодня. **09.15** Детское Утро на НТВ. "Улица Сезам". **09.45** Та-ра-рам! **09.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.00** Кулинарный поединок: Ирина Аллегрова - Владимир Квятковский. **11.55** Квартирный вопрос. **12.55** Спорт "Лотто 6 из 49". **13.00, 17.00** "Сегодня" **13.15** "Дикий мир: танцы с песцами". Экспедиция Тимофея Баженова. **14.05 Говард Гессеман в детективе "АЛМАЗНАЯ ЛОВУШКА" 16.05** Своя игра. **17.15** "Женский взгляд". "Муза Галины Волчек". **17.55 Сериал "КОЛЛЕКЦИЯ ДАНИЭЛЫ СТИЛ: СЧАСТЬЕ" 20.00** "Личный вклад" **21.00 Ольга Орлова, Гоша Куценко в фильме "ЗОЛОТОЙ ВЕК" 23.15 Деми Мур и Алек Болдуин в фильме "ПРИСЯЖНАЯ"** **01.50** Ночные музы. **02.05** "Стиль от..." Ренаты Литвиновой. **02.35** Просто цирк. **03.05** Про дизайн. **03.30 Сериал "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**

# "პირელი" იმიჯს იცვლის



კალენდარი "პირელი", რომელიც საზოგადოებას ყოველწლიურად წარმოუდგენს მსოფლიოს ულამაზესი ქალების ეროტიკულ ფოტოსურათებს, იმიჯის შეცვლაზე დაფიქრდა. მომავალი, 2004 წლის ფოტოსურათები ბევრად უფრო არტისტულია.

სექსუალობის ახლებურ ხედვას "პირელი" უმადლის ბრიტანელ ფოტოგრაფს ნიკ ნაიტს, რომელმაც კალენდრის ისტორიაში პირველად გადაწყვიტა კონსულტანტებად ქალები მოეწვია – იზაბელა როსელინი, ლივ ტაილერი და ბიორკი.

"ვშიშობდი, რომ კალენდარი ქალს მხოლოდ მამაკაცის თვალით დაგვანახებდა," -განმარტა თავისი არჩევანი ფოტოგრაფმა. "ამიტომ ამ პროექტზე მუშაობის დროს გადავწყვიტე, ქალებს დავკითხოდი, რის ნახვას ისურვებდნენ ისინი პირელის კალენდარში, და მათ თემის არჩევის საშუალებაც მივეცი".

კალენდრის ყველა ფოტომ ციფრული დამუშავება გაიარა და ზღაპრული ელფერი მიიღო - ივნისს იაპონელი გოგონას აის ფოტოსურათი განასახიერებს – ის, ყვავილებიანი მდელოს მსგავსად, ფერადი ლაქებითაა დაფარული. სექტემბრის სიმბოლოდ ნატალია ვოდიანოვა და რენკი რაიდერი გვევლინებიან - 60-იანი წლების სტილში. კალენდრისთვის სურათები გადაიღეს ალეკ ვეკმა, კაროლინა კურკოვამ და ლიბერტი როსმაც.

# ბრძოლა თავსაფრების წინააღმდეგ და თავსაფრებისთვის



ჟაკ შირაკის მიერ მოწონებული კანონპროექტი, რომელიც საზოგადოებრივ სკოლებში თვალშისაცემი რელიგიური სიმბოლოების ტარებას კრძალავს, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისიდან უნდა შევიდეს ძალაში. საფრანგეთის განათლების მინისტრმა ლუკ ფერიმ განაცხადა, რომ ის ამ კანონპროექტს პირადად გადახედავს და, სავარაუდოდ, თებერვალში წარუდგენს პარლამენტს.

ფერის ღრმა რწმენით, ქრისტიანული ჯვრების, მუსულმანური თავსაფრებისა და დავითის ვარსკვლავების ამკრძალავ "ძალიან მოკლე" კანონპროექტს პარლამენტში დიდი ყაყანი მოჰყვება, რადგან საფრანგეთის მოსახლეობის ნაწილი მას უმალვე ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევს.

კათოლიკური ეკლესია ამ კანონის მომხრეა: "ჩვენ გვსურს, ჩვენი წვილილი შევიტანოთ თავისუფალი, თანასწორი და ძმური საზოგადოების შექმნის საქმეში". მაგრამ, მუსულმანები ფრიად უკმაყოფილონი არიან - თავსაფრების დასაცავად პარიზელმა მუსულმანმა გოგონებმა დემონსტრაციის გამართვა განიზრახეს. ქალაქის პოლიცია უკვე გაფრთხილებულია, რომ კვირას ქალაქის ქუჩებში უამრავი თავსაფრიანი ქალი გამოვა. "ჩვენ თავად გადავწყვეტთ, გვინდა თავსაფარი თუ არა!" – ბრძანეს ქალებმა.

ჟაკ შირაკის კანონპროექტი წლევანდელმა ნობელის პრემიის ლაურეატმა შირინ ებადიმაც სასტიკად გააკრიტიკა. ირანელი ადვოკატის აზრით, ასეთი კანონი მხოლოდ ფუნდამენტალისტებს აძლევს ხელს – ქალიშვილების სკოლაში არგაშვების მეტი მიზეზი ექნებათ. "არადა, რაც უფრო განათლებულია გოგონა, რაც უფრო მეტს დადის სკოლაში, მით უფრო ემანსიპირებულია, მით უფრო დამოუკიდებელი," - თქვა მშვიდობის პრემიის ლაურეატმა.

# ათი საუკეთესო ფილმი


ბეჭდების მბრძანებელი

ტრილოგია "ბეჭდების მბრძანებელის" უკანასკნელი ნაწილი – "ხელმწიფის დაბრუნება," წლის ათ საუკეთესო ფილმს შორისაა დასახელებული. საუკეთესო ფილმების სია ამერიკის კინემატოგრაფიის ინტიტუტის მიერაა შედგენილი.

ამავე სიაში აღმოჩნდა სრულმეტრაჟიანი მულტფილმი "ნემოს კვალდაკვალ", ასევე - კინოფილმი "უკანასკნელი სამურაი", რომელშიც ტომ კრუზი თამაშობს.

ამერიკის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის ექსპერტები ასეთ ნუსხას ყოველწლიურად ადგენენ. თუმცა, ფილმებს პოპულარულობის მიხედვით არ ირჩევენ. ექსპერტთა შორის არიან - კინოკრიტიკოსები, თავად კინოინდუსტრიის წარმომადგენლები და მკვლევარები.

"ვფიქრობ, კინემატოგრაფიის ინსტიტუტი ყოველწლიური ალმანახის შექმნას ცდილობს, რომლის მიხედვითაც, იმაზე ვიმსჯელებთ, როგორი სურათები მიაჩნდათ 2003 წელს კარგი კინოს ნიმუშებად," - ამბობს ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი ჯინ პიკერ ფირსტენბერგი.

გადარჩეულ სურათთა ნაწილი "ოსკარზეც" იქნება წარდგენილი.

შარშანდელ სიაში წარმოდგენილი იყო "ჩიკაგო", "ნიუ იორკის ბანდები" და "საათებიც", რომლებმაც სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე არაერთი ჯილდო მოიპოვეს.

ამერიკის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შედგენილი 2003 წლის საუკეთესო ფილმების სია:

1. ამერიკული ბრწყინვალება;
2. ნემოს კვალდაკვალ;
3. ადამიანური ლაქა;
4. ამერიკაში;
5. უკანასკნელი სამურაი;
6. ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება;
7. თარგმანში დაკარგულია;
8. Master and Commander: Far Side of the World;
9. ურჩხული;
10 ჯადოსნური მდინარე.

# ჯადოსნური ლანდშაფტები

ვენის კულტურის ისტორიის მუზეუმის ახალი გამოფენა მრავალი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. გარდა იმისა, რომ ის ერთობ ფართომასშტაბიანია (გამოფენა 130 ტილოს და 18 გრაფიკულ ნამუშევარს მოიცავს), "1520-1700 წლების ფლანდრიული პეიზაჟი" ლანდშაფტის გამოსახვის ისტორიაში უდიდესი გარდატეხის ამსახველი ექსპოზიცია გახლავთ. დროის იმ მონაკვეთში, რომელიც გამოფენის სახელწოდებაშია მითითებული, ლანდშაფტის ხელოვნება ფლანდრიაში ფერწერის განსაკუთრებულ ჟანრად ჩამოყალიბდა. დარბაზებში სხვა ოსტატებთან ერთად რუბენსისა და ბრეიგელის ტილოებიცაა წარმოდგენილი.

"1520-1700 წლების ფლანდრიური პეიზაჟი" რურის კულტურის ფონდთან თანამშრომლობის შედეგად გაიხსნა. თავიდან მისი დათვალიერება ხელოვნების მოყვარულებს ესენში, "ვილა ჰიუგელში" შეეძლოთ.

წარწერა: ლუკა ვან ვალკენბორხი (უფროსი). "ბაბილონის გოდოლის მშენებლობა"














## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.